საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# რისით დავიწყეთ

გვ. 9



პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ოქტომბერი **შაბათი** 2010

№238 (13226) ფასი 60 თეთრი



# საქართველო ლიდერობს...

## დღეს საღამომდე

# ნავსი გატყდა!

გვ. 2



*თემურ ქეცბაია*

## პოზიტივიც იყო და ნეგატივიც

გვ. 2

# ნადირობა ჯუჯებზე

... მაგრამ ხაფანგში სერბეთიც გაება

გვ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012

შესარჩევი ტურნირი. F ჯგუფი

# ლიდერები ვართ... დღეს საღამომდე

08.10. თბილისი. ბორის პაიჭაძე
38 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 1 |
| მალტა | 0 |

1:0 სირაძე (90+2. კალაძის პასით)

| საქართველო | მალტა |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| რევიშვილი | ჰაბერი |
| სალუქვაძე | ბრიფა |
| ასათიანი | აგიუსი |
| ამისულაშვილი | კარუანა |
| კალაძე | მამო |
| მერებაშვილი | კოენი |
| ხიზანიშვილი | სიბერასი |
| კობიაშვილი | პეისი |
| გოგუა | ბაჯადა |
| ანანიძე | შკემბრი |
| დვალიშვილი | მიფსუდი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. ქეცბაია | ჯ. ბუტიგეგი |

**საქართველო**

46. მერებაშვილი - **იაშვილი**
46. დვალიშვილი - **სირაძე**
73. ანანიძე - **დაუშვილი**

*სათადარიგოები: ლორია, კვირკველია, კოშკაძე, გელაშვილი*

**მალტა**

69. სიბერასი - **რ. ფენეჩი**
80. სკემბრი - **პ. ფენეჩი**
90. კოენი - **ბრიმა**

*სათადარიგოები: ჰოგი, სამიტი, ერერა, ზერეფა*

გაფრთხილება: **ხიზანიშვილი (32), კოენი (56), სკემბრი (59), აგიუსი (65)**
არბიტრი: **ა. ბლექი (ჩრდ. ირლანდია)**

სამწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ოფიციალური მატჩის მოგების გემო გაიხსენა. მართალია, ამას სუსტ მეტოქესთან მეტისმეტად მძიმე ბრძოლაში მიაღწია, მაგრამ უკვე დიდი ხანია მივეჩვიეთ იმას, რომ დამაჯერებლად ველარავის ვჯობნით და რაგინდარა, მოგება სანატრელი გვაქვს.

გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ და ბეწვის ხიდზე გასულ **თემურ ქეცბაიასა** და მის ფეხბურთელებს გუშინდელი საღამო ცალსახად დადებითად უნდა შევუფასოთ. რა გასაკვირია, რომ ჩვენი ნაკრების თამაშში კვლავ ბევრი იყო წუნი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფეხბურთელები მოედანზე ბოლომდე დაიხარჯნენ და რაც შეეძლოთ გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთეს. საბედნიეროდ, ქვეჯგუფის უიმედო აუტსაიდერები შეხვედრის ბოლოს მაინც გავტეხეთ და კიდევ ერთი სამარცხვინო შედეგის მაგივრად, პრაქტიკული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება და ერთი დღით (სანამ დღეს ისრაელსა და ხორვატიას უთამაშიათ) ჯგუფის ლიდერობა მივიღეთ.

საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა, თუმცა წინა მატჩებთან შედარებით, სასტარტო შემადგენლობა მცირედით მაინც შეიცვალა. როგორც მოსალოდნელი იყო, დისკვალიფიცირებული **უჩა ლობჟანიძე** დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ლაშა სალუქვაძემ** შეცვალა, იმავე ფრთაზე ქეცბაიამ წინ გიორგი მერებაშვილი გაამწესა, მაგრამ შესვენების შემდეგ მას კვლავ ალექსანდრე იაშვილი ამჯობინა და სწორადაც მოიქცა. ასევე მართებული გადაწყვეტილება იყო ლადო დვალიშვილის **დავით სირაძით** შეცვლა. ეს უკანასკნელი ვინ მთვლის, უკვე მერამდენედ იქცა ნაკრების გაჭირვების ტალკვესად და მერამდენედ გაიტანა აგრერიგ საჭირო გოლი.

გამარჯვების გოლის ავტორი ყოველთვის გამორჩეული ფიგურაა და ამიტომაც სირაძის წვლილის შესახებ ბევრს აღარ ვისაუბრებთ. მის გარდა, აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ **ჯანო ანანიძე**, რომელმაც საკუთარი უსაზღვრო ნიჭი კიდევ ერთხელ წარმოაჩინა და ვფიქრობთ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში საუკეთესო მატჩი ჩაატარა; დაცვაში უნაკლო იყო **მალხაზ ასათიანი** და ისიც გაგვახსენა, რა ჩინებული შემტევი იყო უწინ; და რა თქმა უნდა, **კახა კალაძე**, რომლის მარცხენა ფლანგზე გადაწევა აშკარად გამართლებული ნაბიჯი აღმოჩნდა. ჩვენმა კაპიტანმა უშუალო ფუნქციებიც მაღალ დონეზე შეასრულა და საგოლე პასიც შეასრულა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ გამარჯვებას უპირველესად, კოლექტიური თამაშით მივაღწიეთ და ამ შედეგში სოლიდური წვლილი მოედანზე გასულმა თითოეულმა ფეხბურთელმა შეიტანა.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ქართველმა გულშემატკივრებმა მატჩისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს და სტადიონი დაახლოებით ორი-მესამედით შეავსეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩვენს ფეხბურთელებს აქტიური მხარდაჭერა არ მოჰკლებიათ და ნანატრ გოლს დიდი ზეიმიც მოჰყვა.

პირველ ტაიმში ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი შევქმენით, როცა **გოგიტა გოგუას** მიერ ჩაწოდებულ კუთხურს **ალექსანდრე ამისულაშვილმა** თავი დაუხვედრა და მიზნის მიღწევამდე სულ მცირედი დააკლდა. სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე ჩვენს ხელში იყო, მაგრამ თუკი დაცვით ფაზაში არა გვიჭირდა, შეტევის დასკვნით ნაწილში მოვისუსტებდით. მალტელებს თავიდანვე ეტყობოდათ, რომ უპირველესად, ფრეზე ფიქრობდნენ, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევებისას ჩვენს ნახევარზეც გადმოდიოდნენ. ნამდვილად არ გაგვკვირვებია, რომ სტუმართა რიგებში **მიქაელ მიფსუდი** გამოირჩეოდა, რომელსაც სოლიდური საფეხბურთო ასაკის მიუხედავად, თანაგუნდელებთან შედარებით მაღალი კლასი მაინც ეტყობოდა.

საწყისი 45 წუთი მაინც უგერგილოდ ჩავატარეთ და ქეცბაიამ შესვენებისას ორი ცვლილება უყოყმანოდ განახორციელა. ამან აშკარად გაამართლა და ქართველებმა მეტოქის კარზე დაწოლა გააძლიერეს. ანგარიშის გახსნა შეეძლოთ გოგუასა და კალაძეს, მაგრამ ორივეს მიზანმა უმტყუნა. დრო გადიოდა და ნანატრი გოლი არ ჩანდა. ის კი არადა, მალტამ კინაღამ აქეთ გაგვიტანა - **ნუკრი რევიშვილმა** გვიხსნა, როცა მასთან პირისპირ გასული შკემბრის დარტყმა მოიგერია.

მალტელებს ყველაზე კარგად სიმულანტობით დროის გაყვანა გამოსდიოდათ. მოედანზე ხშირი კოტრიალით მათ საკმაო დრო მოიგეს. ზემოთ ასათიანის შეტევაში წასვლა ვახსენეთ და მისი სოლორეიდი ალბათ, თამაშის ულამაზესი ეპიზოდი იყო. მის გადაცემას სირაძე გამოეხმაურა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა. სამაგიეროდ, სულ მალე ზუსტი და ეფექტური იყო მისი თავური, რომელიც კალაძის გამოზომილ ფლანგურ გადაცემას მოჰყვა...

მოკლედ, გუშინდელმა საღამომ ნერვიულობასთან ერთად დიდი სიხარული მოგვიტანა. ჩვენი მთავარი გუნდი იშვიათად გვაძლევს მასზე დადებით კონტექსტში საუბრის საშუალებას და მოხარულები ვართ, რომ ეს დღე სასიამოვნო გამონაკლისია. თავდადებისთვის საქართველოს ნაკრების თითოეულ წევრს მადლობას ვუხდით და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი გამარჯვება მალე არა გამონაკლისი, არამედ კანონზომიერება იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ქართველთაგან ლევან კობიშვილი (№10) ერთ-ერთი საუკეთესო იყო



ზურაბ ხიზანიშვილი მეტოქეთა გარემოცვაში

პრესკონფერენცია

## პოზიტივიც იყო და ნეგატივიც

### თემურ ქეცბაია: მოვინდომეთ და დაგვიფასდა

**ჯონ ბუტიგეგი (მალტა):**

- ალბათ, ყველა დამეთანხმებით, რომ რთული და დაძაბული მატჩი გამოვიდა. ორივე გუნდმა კარგი თამაში აჩვენა. ჩემმა ფეხბურთელებმა მაქსიმუმი გაილეს. ყველაზე მეტად იმაზე დამწყდა გული, რომ 90 წუთის განმავლობაში შევძელით კარის „მშრალად" შენახვა, ახლოსაც ვიყავით სასურველ ფრესთან, მაგრამ არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში საქართველომ გაგვიტანა და დავმარცხდით. მეტოქეს მოგებას ვულოცავ. ბურთის გატანა ჩვენც შეგვეძლო, ძალიან კარგი მომენტიც გვქონდა, მაგრამ... ის შანსი ვერ გამოვიყენეთ, არადა, იმ ეპიზოდში გოლი რომ გაგვეტანა, მოვლენები ალბათ სხვა სცენარით განვითარდებოდა.

**თემურ ქეცბაია (საქართველო):**

- ყველას ვულოცავ ამ გამარჯვებას. ჩვენს ნაკრებს შესარჩევ ციკლში სამი წელი არ მოეგო და ეს გამარჯვება ამიტაც მნიშვნელოვანი იყო. ეს 3 ქულა მომდევნო მატჩებში ფსიქოლოგიურადაც წაადგება ჩვენს გუნდს. სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა დავუშვით, თუმცა იყო პოზიტივიც. კარგია, რომ ჩვენმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, რაც დაფასდა კიდეც. მალტასთან ფავორიტები კი ვიყავით, მაგრამ... პირველ ტაიმში მოვიკოჭლებდით, მერე გამოვასწორეთ თამაში და გოლიც გავიტანეთ. ტრავმის გამო ფეხბურთელები გვაკლდა. ყენია მომჯობინდება. გავიგე, კანკავა უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მალე დაუბრუნდება მოედანს... სხვა მოთამაშეებიც დაგვემატებიან და ნაკრები უკეთ ითამაშებს... ერთსაც ვიტყვი - დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივარს. წვიმასა და ცუდ ამინდში ხალხი ბოლომდე ერთგულად გვქომაგობდა. გულშემატკივარი დღეს შედეგით გავახარეთ. კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, თამაშის ხარისხი უნდა დავხვეწოთ.

**- 17 ნოემბერს ექნება ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა?**

- სლოვენიაში თამაში თითქმის გადაწყვეტილია. ამ მატჩისთვის ძირითადად იმ ფეხბურთელებს გამოვიძახებთ, რომლებზეც დაკვირვება გვსურს. ახალგაზრდა მოთამაშეებსაც ვნახავთ... სწორედ ასეთი ფეხბურთელების საქმეში ნახვისთვის არის ეს ამხანაგური მატჩები. გარდა ამისა, ზამთრისთვის კვიპროსის ტურნირზე თამაშიც გვინდა და იქიდან პასუხს ველით.

**- მოედნის საფარზე რას იტყოდით?**

- ბალახი უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე სექტემბერში, მაგრამ ნიადაგი ცუდია. იმედია მოხერხდება და გამოიცვლება.

**- 12 ოქტომბერს ნაკრები ლატვიაში ითამაშებს. ამ მატჩზე რას გვეტყვით?**

- რთული თამაში გველის. ლატვიელებს ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავთ და „სტანდარტულებზე" არიან აქცენტირებული. მონდომება და სწორად თამაში გვმართებს...

**დავით ცაბაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მეტოქეები



ვასილის ტოროსიდისი

## ტოროსიდისის ტორმა მეტოქე გაგვიბრაზა

ჩვენი ნაკრების არ იყოს, მიმდინარე შესარჩევ ციკლში პირველი გამარჯვება მოიპოვა საბერძნეთმაც, რომელიც 6 წლის წინათ ევროპის ჩემპიონი გახდა. ბერძნები და ლატვიელები საკვალიფიკაციო ეტაპზე ბევრჯერ გადაეყარენ ერთმანეთს, მაგრამ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებიდან ერთი უნდა გამოვარჩიოთ. 1999 წელს ლატვიელებმა ბერძნები ათენში 2:1 დაამარცხეს. იმ შეხვედრაში ლატვიის ნაკრებს **რევაზ ძოძუაშვილი** თავკაცობდა, ლატვიელთა ეროვნულის ახლანდელი მესაჭე **ალექსანდრს სტარკოვსი** კი ძოძუაშვილის სამწვრთნელო შტაბში იყო. მას მერე ლატვიამ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა და ბალტიისპირელებმა გამოცდილებაც მეტი მიიღეს, მაგრამ სტარკოვსმა ძოძუაშვილის წარმატება ვერ გაიმეორა.

სექტემბრის სასტარტო მატჩისგან განსხვავებით, „გეორგიოს კარაისკაკისზე" შეკრებილმა გულშემატკივარმა გუშინ უკვე ელადელთა გამარჯვება იზეიმა. **ფერნანდო სანტუშის** გუნდმა ეს 3 ქულა საქმით დაიმსახურა. ბერძნებმა ლატიელები პირწმინდად დაჯაბნეს, მაგრამ გოლის გატანა დაუგვიანდათ, არადა, ჯერ კიდევ მე-16 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. სტუმრებმა თითქმის ერთი საათის განმავლობაში რომ შეძლეს კარის სიმშრალის შენარჩუნება, ეს ლატვიელთა მეკარის დამსახურებაა.

ამ შეხვედრაში გადამწყვეტი **ვასილის ტოროსიდისის** მიერ გატანილი გოლი აღმოჩნდა. თამაში ხისტი იყო - სტუმართა უხეშობას, მასპინძლებიც არ ტოვებდნენ უპასუხოდ. შესაბამისად, იტალიელმა არბიტრმა სტუმარმასპინძელს ჯამში 5-ჯერ „აუნთო ყვითელი". ასე რომ, ბერძნებმა სამშაბათის მეტოქე დაგვიმარცხეს და ალბათ გაგვიბრაზეს კიდეც...

**საბერძნეთი–ლატვია 1:0**

საბერძნეთი: სიფაკისი - პაპასტატოპულოსი, პაპადოპულოსი, ცაველასი - კარაგუნისი (90. კაფესი), კაცურანისი, ციოლისი, ტოროსიდისი, ნინისი (82. ფეტფაციდისი) - სამარასი, მიტროღლუ (77. სალპინგიდისი).

ლატვია: ვანინსი - ივანოვსი, ზირნისი, გორკშსი, კლავა - რუბინსი (65. ჟიგაევსი), ასტაფიევსი, ლაიზანსი (82. პერეპლოტკინსი), კაუნა - ვერპაკოვსკისი, რუდნევსი (73. კარლსონსი).

გოლი: 1:0 ტოროსიდისი (58)

ისრაელი-ხორვატია დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 2. საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 4. ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 6. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

დავით ცაგაძე

# ჯუჯებზე ნადირობა

## ...მაგრამ სერბეთი ესტონურ ხაფანგში მაინც გაება

**დღის მატჩი:** გერმანიის ნაკრებისა და თურქეთის ბერლინური დაპირისპირება ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა, თუმცა დიდი ბრძოლაც არ ყოფილა, **იოახიმ ლიოვის** გუნდი გაცილებით მაღალი კლასისაა - ტაიმის მიწურულს კლოზემ ახლო მანძილიდან თავით გაიტანა, მეორე ტაიმში ჯერ **იოზილმა** გამოიყენა მეკარესთან პირისპირ გასვლა და ისტორიული სამშობლოს ნაკრებს გაუტანა, შემდეგ კლოზემ მეკარის სულელური შეცდომით ისარგებლა და დუბლი შეასრულა - 3:0. გერმანიის ნაკრებს ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა 3-დან 3 გამარჯვება.

**წარმატებული დებიუტები:** ასეთს ორს გამოვარჩევთ: **ლოთარ მათეუსმა** ბულგარეთის ნაკრებს სტუმრად უელსთან 1:0 მოაგებინა, ხოლო **პაულუ ბენტუმ** შინ დანია დაამარცხა მისთვის სადებიუტო შეხვედრაში.

**ჰეთთრიკოსნები:** უნგრეთის ნაკრებმა ევროპის უსუსტესი ნაკრები, სან მარინო 8:0 მოსრა, ხოლო „მაინცის" შემტევმა **ადამ სალაიმ** ჰეთ-ტრიკი მიითვალა. „გრონინგენის" 21 წლის სლოვენიელმა ფორვარდმა **ტიმ მატავჟმა** ფარერელებს სამი გოლი გაუტანა.

**დღის სენსაცია:** ესტონეთის ნაკრები! ესტონელებმა სტუმრად სერბები 3:1 დაამარცხეს, თანაც მატჩის დასრულებამდე 27 წუთით ადრე აგებდნენ. სერბთა უბედობას წერტილი **ლუკოვიჩმა** დაუსვა, როცა ბოლო წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მოულოდნელი იყო სომხეთის ნაკრების გამარჯვება სლოვაკეთზე - 3:1 და ჩრდილოეთირლანდიელთა ფრე იტალიელებთან.

**ტურნირის სენსაცია:** ისევ და ისევ **ზლატან კრანჩარის** ჩერნოგორია (გნებავთ, მონტენეგრო), სამი თამაშიდან სამი მოგება, სამი გოლი არც ერთი გაშვებულის წინააღმდეგ.

### A ჯგუფი

**ყაზახეთი–ბელგია 0:2**

**ყაზახეთი (4-4-1-1):** სიდელნიკოვი - კისლიცინი, აბდულინი, პოპოვი, კიროვი - ნურგალიევი (74. როჟკოვი), კარპოვიჩი, გეტერიევი, შმიდტგალი - ჟუმასკალიევი (87. ავერჩენკო) - ხიჟნიჩენკო.

**ბელგია (4-3-3):** ბაილი - ალდერვეირელდი, ვან ბუიტენი, ლომბერტსი, დეშახტი - ვიტსელი, სიმონსი, ვან დამე (79. ლეჟერი) - ვოსენი, ფელაინი, ლუკაკუ (46. ოგუნჯიმი).

**გოლები:** 0:1 ოგუნჯიმი (52), 0:2 ოგუნჯიმი (70)

**გაძევება:** კისლიცინი (68)

**ავსტრია–აზერბაიჯანი 3:0**

**ავსტრია (4-4-2):** მახო - კლაინი, პროდლი, შიმერი, ფუხსი - არნაუტოვიჩი, შარნერი, იუნუზოვიჩი (78. ბაუმგარტინგერი), ჰარნიკი (55. კავლაკი) - მეიერჰოფერი, ლინცი (59. ჰოფერი).

**აზერბაიჯანი (4-1-4-1):** აგაევი - შუკუროვი, რ.ფ. სადიგოვი, იონისოღლუ, მალიკოვი - ალაჰვერდიევი - ამირგულიევი, აბასოვი, მამედოვი (59. ნადიროვი), ჯავადოვი (74. რ. ა. სადიგოვი) - ალიევი.

**გოლები:** 1:0 პროდლი (2), 2:0 არნაუტოვიჩი (53), 3:0 არნაუტოვიჩი (92)

**გერმანია–თურქეთი 3:0**

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი, ვესტერმანი - ხედირა, კროოსი - მიულერი, იოზილი (90. მარინი), პოდოლსკი (86. ტრაში) - კლოზე (90. კაკაუ).

**თურქეთი (4-3-3):** დემირელი - გონული, ერდოგანი, ჩეთინი, სარიოგლუ - ბელოზოგლუ, აურელიო (24. თუნჩაი), შაჰინი (78. სერკანი) - ჰურმაჩი, ჰალილ ალთინტოპი (63. შენთურქი), ჰამით ალთინტოპი.

**გოლები:** 1:0 კლოზე (42), 2:0 იოზილი (79), 3:0 კლოზე (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| 2. ავსტრია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 3. თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 4. ბელგია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |
| 6. ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

**12 ოქტომბერი**

აზერბაიჯანი-თურქეთი
ყაზახეთი-გერმანია
ბელგია-ავსტრია

### B ჯგუფი

**სომხეთი–სლოვაკეთი 3:1**

**სომხეთი (4-1-4-1):** ბერეზოვსკი - მკოიანი, არზუმანიანი (79. არაქელიანი), ოვსეპიანი, იედიგარიანი - მკრტიჩიანი - პაჩაჯიანი (46. მანუჩარიანი), მხითარიანი, პისელი (72. ედიგარიანი), ღაზარიანი - მოვსისიანი.

**სლოვაკეთი:** მუხა - პეკარიკი, შკრტელი, სალატა, ზაბავნიკი (81. შებო) - კარჰანი, კოპუნეკი (57. ჰუბოჩანი) - ვეისი, ჰამშიკი, სტოხი (ჰოლოშკო) - შესტაკი.



მიროსლავ კლოზემ თურქთა სკალპი მოინადირა

**გოლები:** 1:0 მოვსისიანი (23), 1:1 ვეისი (37), 2:1 ღაზარიანი (50), 3:1 მხითარიანი (89)

**ანდორა–მაკედონია 0:2**

**ანდორა (4-4-2):** ი. გომესი - ესკურა, ბერნაუსი, მარტინესი (74. ხიმენესი), აიალა (86. ბუსენინი) - ვიეირა, ვალესი, მეიასი (62. რონსერო), მორენო - სილვა, ს. გომესი.

**მაკედონია:** ნურედინოსკი - მიტრესკი, ნოვესკი, ლაზარევსკი, შიკოვი - შუმულიკოვსკი (83. გრნჩაროვი), გეორგიევსკი (34. ძუროვსკი), დესპოტოვსკი, ნაუმოსკი (73. იბრაიმი) - რისტიჩი, ტრიჩკოვსკი.

**გოლები:** 0:1 ნაუმოსკი (42), 0:2 შიკოვი (60)

**ირლანდია–რუსეთი 2:3**

**ირლანდია (4-4-2):** გივენი - ო'ში, დანი, სტ. ლედჯერი, კილბეინი - ლოურენსი (62. ლონგი), უელანი (66. გიბსონი), გრინი, მაკგიდი - დოილი (71. ფეჰი), კინი.

**რუსეთი (4-3-2-1):** აკინფეევი - ანიუკოვი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი - შიროკოვი, ზირიანოვი (68. სემშოვი), დენისოვი - ძაგოევი (85. ა. ბერეზუცკი), არშავინი - კერჟაკოვი (80. პოგრებნიაკი).

**გოლები:** 0:1 კერჟაკოვი (11), 0:2 ძაგოევი (29), 0:3 შიროკოვი (50), 1:3 კინი (72-პენ), 2:3 ლონგი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 2. რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| 4. სომხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 5. მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 6. ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**12 ოქტომბერი**

სომხეთი-ანდორა
სლოვაკეთი-ირლანდია
მაკედონია-რუსეთი

### C ჯგუფი

**სერბეთი–ესტონეთი 1:3**

**სერბეთი (4-4-2):** სტოიკოვიჩი - ლომიჩი, კაჩარი (47. ნინკოვიჩი), ვიდიჩი, ივანოვიჩი - სტანკოვიჩი, ლუკოვიჩი, იოვანოვიჩი (47. ტოშიჩი) - ჟიგიჩი, კუზმანოვიჩი (79. ლაზოვიჩი).

**ესტონეთი (4-4-2):** პარეიკო - იაგერი, რანი, პიროია, კლავანი - პური (70. პურიე), ვასილიევი, დმიტრიევი, კრუგლოვი - ზენიოვი (87. ვუნკი), კინკი (64. სააგი)

**გოლები:** 1:0 კუზმანოვიჩი (60), 1:1 კინკი (63), 1:2 ვასილიევი (73), 1:3 ლუკოვიჩი (91)

**ჩრ. ირლანდია–იტალია 0:0**

**ჩრ. ირლანდია (4-4-2):** ტეილორი - ჰიუზი, კრეიგენი, ევანსი, ბერდი - მაკოული, ბრანტი (71. მაგგინი), მაკკენი (80. ევანსი), დევისი - ფინი, ჰილი (66. ლაფერტი).

**იტალია (4-3-3):** ვივიანო - კრიშიტო, ბონუჩი, კიელინი, კასანი - დე როსი, პირლო, მაური (79. მარკიზიო) - პეპე (84. როსი), ბორიელო (74. პაცინი), კასანო.

**სლოვენია–ფარერები 5:1**

**სლოვენია (4-4-2):** ჰანდანოვიჩი - სესარი, იოკიჩი, ბრეჩკო, შულერი - კორენი, რადოსავლიევიჩი (59. ბაჩინოვიჩი), ილიჩიჩი, ბირსა (51. კირმი) - ნოვაკოვიჩი (73. დედიჩი), მატავჟი.

**ფარერები (4-5-1):** მიკელსენი - ბო, რუბეკსენი, გრეგერსენი, ნესი - ბენიამინსენი, ჰანსენი, ლოკინი (41. ელტორი), უდსენი (81. მოურიტსენი), ჰოლსტი (81. პეტერსენი) - ედმუნდსონი.

**გოლები:** 1:0 მატავჟი (25), 2:0 მატავჟი (36), 3:0 მატავჟი (65), 4:0 ნოვაკოვიჩი (72-პენ), 5:0 დედიჩი (84), 5:1 მოურიტსენი (93)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| 2. ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 3. სლოვენია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-3 | 4 |
| 4. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 5. ჩრ. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |

**12 ოქტომბერი**

ფარერები-ჩრ. ირლანდია
ესტონეთი-სლოვენია
იტალია-სერბეთი

### D ჯგუფი

**ლუქსემბურგი–ბელარუსი 0:0**

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი - ჰოფმანი, შნელი, კინციგერი, ბლაისე - ლევეკი, პაიალი (77. კეტენმაიერი), პეტერსი, ბეტმერი (62. ჟერსონი) - ლატერზა, იოახიმი (66. და მოტა).

**ბელარუსი:** ჟევნოვი - ომელიანჩუკი, ტიგორევი (67. პუტილო), იურევიჩი (87. მოლოში), შიტოვი - მარტინოვიჩი, კულჩი, კალაშევი, კისლიაკი - კორნილენკო, ჰლები (67. როდიონოვი).

**გაძევება:** კორნილენკო (69)

**ალბანეთი–ბოსნია 1:1**

**ალბანეთი (4-2-3-1):** ბექაი - ვანგიელი, დალკუ, კანა, აგოლი - ლილა, ბულკუ - მუზაკა (66. ლიკა), დურო, სალიჰი (85. ჰიკა) - ბოგდანი (47. სკელა).

**ბოსნია (4-1-3-2):** ჰასაგიჩი (47. ბეგოვიჩი) - მუიძა, სპაჰიჩი, მრავაცი (47. პანძა), ლულიჩი - რაჰიმიჩი - პიანიჩი, მისიმოვიჩი, მედუნიანი - იბიშევიჩი, ჯეკო (89. იბრიჩიჩი).

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (21), 1:1 დურო (45)

საფრანგეთი-რუმინეთი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 2. ბელარუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 1-0 | 5 |
| 3. ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 4. საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 5. რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

**12 ოქტომბერი**

ბელარუსი-ალბანეთი
საფრანგეთი-ლუქსემბურგი

### E ჯგუფი

**უნგრეთი–სან მარინო 8:0**

**უნგრეთი (4-4-2):** კირაი - ვერმეში, ლაცკო, იუჰასი, ვანცაკი - კომანი (79. ცვიტკოვიჩი), გერა, ელეკი (64. ვადოცი), ძუძაკი - რუდოლფი, სალაი (64. პრიშკინი).

**სან მარინო (4-4-2):** სიმონჩინი - ვალენტინი, ვანუჩი, ბაკიოჩი (52. ალბანი), დელა ვალე - ფ. ვიტაიოლი, ბერეტი, ბოლინი (84. ჩერველინი), მონტანია - მარანი, მ. ვიტაიოლი (77. ბოლი).

**გოლები:** 1:0 რუდოლფი (11), 2:0 სალაი (18), 3:0 რუდოლფი (25), 4:0 სალაი (27), 5:0 სალაი (48), 6:0 კომანი (60), 7:0 ძუძაკი (89), 8:0 გერა (94-პენ)

**გაძევება:** ვალენტინი (93)

**მოლდოვა–ჰოლანდია 0:1**

**მოლდოვა (4-4-2):** ნამაშკო - ეპურეანუ, რაცუ, ბულგარუ, გოლოვატენკო - სუვოროვი, ჩებოტარუ (69. ანდრონიჩი), ბოლოჰანი, ბორდიანი - ფრუნზა (46. ბუგაევი), დოროში (78. ჟოსანი).

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, პიეტერსი - ვან დერ ვაარტი, ვან ბომელი - კუიტი, სნეიდერი, აფელაი (90. ემანუელსონი) - ჰუნტელაარი.

**გოლი:** 0:1 ჰუნტელაარი (37)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3. მოლდოვა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-3 | 6 |
| 5. ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 6. სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-19 | 0 |

**12 ოქტომბერი**

ფინეთი-უნგრეთი
ჰოლანდია-შვედეთი
სან მარინო-მოლდოვა

### G ჯგუფი

**ჩერნოგორია–შვეიცარია 1:0**

**ჩერნოგორია (4-5-1):** ბოჟოვიჩი - ბასა, ძუდოვიჩი, იოვანოვიჩი, სავიჩი - ნოვაკოვიჩი, ვუკჩევიჩი (84. ბეჩირაი), ზვეროტიჩი, ძალოვიჩი (92. ბატაკი), ბოშკოვიჩი (46. კასცელანი) - ვუჩინიჩი.

**შვეიცარია (4-4-2):** ვოლფი - ზუტერი, ვონ ბერგენი, გრიხტინგი, ციგლერი - შაჩირი (67. დერდიოკი), ინლერი, შვეგლერი, სტოკერი (76. ჰ. იაკინი) - ფრაი, შტრელერი (67. ბარნეტა).

**გოლი:** 1:0 ვუჩინიჩი (68)

**უელსი–ბულგარეთი 0:1**

**უელსი (4-5-1):** ჰენესეი - განტერი, კოლინსი, რიკეტსი, კოლინსი - ლედლი (59. კინგი), უილიამსი, ედვარდსი (69. ჩერჩი), ვოუენი, ბეილი - მორისონი (82. რობსონ-კანუ).

**ბულგარეთი (4-4-2):** მიხაილოვი - ბოდუროვი, ილიევი (37. ვიდანოვი), ივანოვი, ზანევი - პეევი (72. რანგელოვი), პეტროვი, გეორგიევი, პეტროვი - პოპოვი, მაკრიევი (87. იანკოვი).

**გოლი:** 0:1 პოპოვი (48)

**გაძევება:** განტერი (95)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 3 | 3 | 0 | 0 | 3-0 | 9 |
| 2. ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 3. ბულგარეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 4. უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 5. შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**12 ოქტომბერი**

შვეიცარია-უელსი
ინგლისი-ჩერნოგორია

### H ჯგუფი

**კვიპროსი–ნორვეგია 1:2**

**კვიპროსი (4-4-2):** გეორგალიდესი - პურსაიტიდესი, მერკისი (81. ხრისტოფი), ხარალამბუსი (86. ეფრემი), ავრაამი - ხარალამბიდისი (46. საციასი), დობრაშინოვიჩი, მაკრიდისი, ალონეფტისი - ოკასი, კონსტანტინუ.

**ნორვეგია (4-1-2-3):** კნუდსენი - ჰოგლი, ვაელერი, ჰანგელანდი, ი. რიისე - ჰაუგერი - ბ. რიისე (74. მოენი), გრინდჰეიმი - ჰუსეკლეპი (80. რუუდი), კარეუ (83. აბდელაუე), პედერსენი.

**გოლები:** 0:1 ი. რიისე (2), 0:2 კარეუ (42), 1:2 ოკასი (58)

**პორტუგალია–დანია 3:1**

**პორტუგალია (4-4-2):** ედუარდო - პერეირა, პეპე, კარვალიო, კოენტრაო - რონალდო, მოუტინიო, მეირელეში, ნანი (88. ვარელა) - ალმეიდა (69. პოშტიგა), მარტინში (75. ტიაგო).

**დანია (4-4-2):** სორენსენი (32. ლინდეგაარდი) - იაკობსენი, კიაერი, კროლდრუპი, პოულსენი - სილბერბაუერი, იენსენი (56. ერიკსენი), კ. იორგენსენი (72. ლოვენკრანდსი), ვინგაარდი - პედერსენი, რომედალი.

**გოლები:** 1:0 ნანი (29), 2:0 ნანი (31), 2:1 კარვალიო (79-საკ. კარში), 3:1 რონალდო (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 2. პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 7-6 | 4 |
| 3. დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. კვიპროსი | 2 | 0 | 1 | 1 | 5-6 | 1 |
| 5. ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**12 ოქტომბერი**

დანია-კვიპროსი
ისლანდია-პორტუგალია

### I ჯგუფი

**ჩეხეთი–შოტლანდია 1:0**

**ჩეხეთი (4-4-2):** ჩეხი - პოსპეხი, ჰუბნიკი, სუხი, კადლეცი - როსიცკი, პლაშილი (94. რაინოხი), ჰუბშმანი, პოლაკი - ნეციდი (84. ჰოლეკი), მაგერა (59. ბედნარი).

**შოტლანდია (4-4-2):** მაკგრეგორი - ჰატონი, უეირი, მაკმანუსი, ვიტაკერი - მორისონი (84. რობსონი), კოლდველი (76. მილერი), ფლეტჩერი, დორანსი - მაკკი (76. იველუმო), ნეისმითი.

**გოლი:** 1:0 ჰუბნიკი (69)

**ესპანეთი–ლიტვა 3:1**

**ესპანეთი (4-4-2):** კასილიასი - ს. რამოსი (82. არბელოა), პუიოლი, პიკე, კაპდევილა - კასორლა, ინიესტა, ბუსკეტსი, სილვა - ლორენტე (77. ადურისი), ვილია (76. პ. ერნანდესი).

**ლიტვა (4-2-3-1):** კარჩემარსკასი - სტანკევიჩიუსი, სკერლა, კიანსკასი, რადავიჩიუსი - შემბერასი, პანკა - ე. ჩესნაუსკისი (85. პოშკუსი), დანილევიჩიუსი (82. ივაშკევიჩიუსი), მიკოლიუნასი - შერნასი.

**გოლები:** 1:0 ლორენტე (47), 1:1 შერნასი (54), 2:1 ლორენტე (56), 3:1 სილვა (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 4. ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 5. ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**12 ოქტომბერი**

ლიხტენშტაინი-ჩეხეთი
შოტლანდია-ესპანეთი

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული ფეხბურთი

● სპარტაკი

# ბადრი კვარაცხელია
# მონდომება დაგვიფასდება...

ახალი სეზონი, წინასგან განსხვავებით, მწვრთნელებისათვის ნდობის გამოცხადებით წარიმართა; თუმცა, ჩვენი მწვრთნელები ხელშეუხებლები მხოლოდ 7 ტურის განმავლობაში იყვნენ: მერე კი დაიწყო და დაიწყო საკადრო გადაადგილებები. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება მოხდა ცხინვალის „სპარტაკშიც“: VIII ტურში, ქუთაისის „ტორპედოსთან“ საშინაო მარცხის შემდეგ გოჩა ჩიქოვანის ნაცვლად ამ გუნდის გაძღოლა ბადრი კვარაცხელიას დაევალა. კვარაცხელია „გარედან“ ნამდვილად არ მოსულა: ვიდრე „სპარტაკის“ ძირითად გუნდს ჩაიბარებდა, წარმატებით მუშაობდა ამავე კლუბის დუბლშემადგენლობაში.

რაც შეეხება სამწვრთნელო გამოცდილებას, შეგახსენებთ, რომ ამ სამი წლის წინ ბოლნისის „სიონში“ კახა ცხადაძეს ეხმარებოდა; შემდეგ ეს „დუეტი“ აზერბაიჯანში გადავიდა და ბაქოს „სტანდარტს“ წვრთნიდა; 2009 წლის იანვრიდან კი კვარაცხელია უკვე დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა ამ აზერბაიჯანულ გუნდს, თუმცა სეზონის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე წამოსვლამ მოუწია. ამის მერე, ფაქტობრივად, ნელიწადი უმუშევარი იყო, ვიდრე წლევანდელ გაზაფხულზე ცხინვალის „სპარტაკის“ დუბლებს ჩაიბარებდა. მთავარი მწვრთნელის რანგში ბადრი კვარაცხელიას უმაღლეს ლიგაში დებიუტი წინა ტურში ჰქონდა; თუმცა, ვიდრე პირველ შთაბეჭდილებებზე, „სპარტაკის“ სატურნირო მდგომარეობასა და ამ გუნდის სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, კიდევ ერთხელ გვინდა შეგახსენოთ კვარაცხელიას ფეხბურთო კარიერა, საკმაოდ გვიან, 39 წლის ასაკში რომ დასრულდა. იგი მამაში მშობლიურ წალენჯიხის „სქურში“ დაიწყო, სადაც ათი სეზონის განმავლობაში ასპარეზობდა.

უმაღლეს ლიგაში დებიუტი საკმაოდ გვიან, 27 წლის ასაკში ჰქონდა და სხვადასხვა დროს გამოდიოდა: თბილისის „დინამოში“, თელავის „კახეთში“, რუსთავის „მეტალურგში“ და თბილისის „მერანი-91“-ში. 1997 წლიდან კი მის კარიერაში ახალი და მართლაც განსაკუთრებული ეტაპი იწყება: ერთ-ერთი პირველი ქართველი ფეხბურთელი გახლდათ, აზერბაიჯანში სათამაშოდ ვინც გაემგზავრა. ერთი სეზონი „ქიაფაზში“ იყო, შემდეგ კი 6 წლის (!) განმავლობაში „შამქირის“ უპირობო ლიდერი გახლდათ. სწორედ ქართველი ლეგიონერის უდიდესი დამსახურებაც იყო, ეს პროვინციული კლუბი აზერბაიჯანულ გრანდად რომ იქცა. აღსანიშნავია, რომ კვარაცხელია ამ ქვეყნის ჩემპიონი ხუთჯერ გახდა: ერთხელ - „ქიაფაზის“ შემადგენლობაში, ოთხჯერ - „შამქირის“. ამას გარდა, ორჯერ გახდა აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და თითო-თითოჯერ საუკეთესო ფეხბურთელი და ლეგიონერი. 34 წლის ასაკში კი... აზერბაიჯანის ნაკრებში მიიწვიეს და ამ ქვეყნის უპირველეს გუნდში 8 შეხვედრა ჩაატარა.

ჩვენი საუბარიც სწორედ აზერბაიჯანის ნაკრებში ჩატარებული პირველი მატჩით დავიწყეთ.

- სადებიუტო შეხვედრა... საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშე; კარგად მახსოვს, დათო გვარამაძე იდგა კარში და გვარიანი პრობლემებიც შევუქმენი.

**- გულახდილად გვითხარით: საქართველოს ნაკრებში მოხვედრაზე პრეტენზია არასდროს გქონიათ?**

- როგორ შეიძლება ქართველ კაცს ამაზე არ ეოცნება, მაგრამ, აბა, გაიხსენეთ, იმ პერიოდში საქართველოს ნაკრებში როგორი დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ. აქედან გამომდინარე, პრეტენზიაც არასდროს გამჩენია...

**- აზერბაიჯანში ბოლოს გასულ წელს მუშაობდით. მაინც რა იყო „სტანდარდიდან“ თქვენი წამოსვლის მიზეზი?**

- არ დაგიმალავთ: დამოუკიდებლად გუნდის გაძღოლა არ გამჭირვებია, გუნდიც ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ სამი თამაში წავაგეთ და წამოვედი. ხაზს ვუსვამ - საკუთარი სურვილით წამოვედი, გუნდი VII ადგილზე გავიყვანე, ჩემ მერე ვინც მივიდა, ადგილობრივი სპეციალისტი იყო და იმის ხელმძღვანელობით „სტანდარდი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

**- ამის მერე დიდხანს უმუშევარი იყავით. სხვა გუნდებიდან შემოთავაზება არ გქონიათ?**

- სხვათა შორის, საქართველოში არც ვაპირებდი მუშაობის გაგრძელებას, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ აზერბაიჯანიდან რამდენიმე ვარიანტი მექნებოდა. შედგა კიდეც კონკრეტულ გუნდთან მოლაპარაკება, მაგრამ პირობებზე ვერ მოვილაპარაკეთ: პირველ ექვსეულში მოხვედრას მთხოვდნენ, ამ დროს კი სასურველი ფეხბურთელების შესაძენად თანხების გაღება არ სურდათ. მოკლედ, წამოვედი და საქართველოში დავბრუნდი; გასულ სეზონში მცირე ხნით გოჩა ჟორჟოლიანს ვეხმარებოდი - პირველი ლიგის I.B.S.U-ს რომ წვრთნიდა. სეზონის მიწურულს კი, ცხინვალის „სპარტაკის“ დუბლებს 5 მატჩის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი.

**- ანუ, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ახალ სეზონს კვლავაც „სპარტაკში“ დაიწყებდით.**


ბადრი კვარაცხელია

- ვიდრე ამ თანამდებობაზე დავთანხმდებოდი, კონსტრუქციული საუბარი მქონდა „სპარტაკის“ ხელმძღვანელებთან: დიმიტრი სანაკოევისგან და მურთაზ შელიასგან სრული მხარდაჭერა ვიგრძენი ნებისმიერ საკითხში, უპირველეს ყოვლისა კი, ჩემს საქმიანობაში სრულ ჩაურევლობაზე. სამომავლო გეგმებიც დავსახეთ, რაც, უმთავრესად, დუბლშემადგენლობის გაახალგაზრდავებაში გამოიხატებოდა. ფაქტობრივად, წინა სეზონიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელი (სეფიაშვილი, ალავიძე, დაუშვილი) დავიტოვე, სამაგიეროდ, მთელი საქართველოს მასშტაბით სერიოზული სელექცია ვაწარმოეთ და შედეგიც სახეზე იყო.

**- მაგაში ჩვენც გეთანხმებით: ძირითადი გუნდისგან განსხვავებით, „სპარტაკის“ დუბლები ამ სეზონში საკმაოდ წარმატებით ასპარეზობენ.**

- იცით, რისი თქმა მსურს? ნუ ამბობენ - საქართველოში ნიჭიერი ახალგაზრდები აღარ იზრდებიანო! უბრალოდ, მოძებნა და მათთან სწორი მუშაობაა საჭირო; აი, ახლაც, ფოთში სადებიუტო შეხვედრა რომ ჩავატარე, დუბლებიდან 5 ფეხბურთელი ვათამაშე, მალე სხვებსაც მიეცემათ შანსი. ზოგი ისეთი ფეხბურთელიც დავაწინაურე, სხვა გუნდებში რომ დაიწუნეს - ტეტუნაშვილი, ძაგანია; ამათ გარდა, სადებიუტო შეხვედრები ჩაატარეს ჯაყელმა, ბაბულაიძემ, ნარიმანიძემ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი 16 წლის ბიჭია...

**- სოსო გრიშიკაშვილსა და შოთა კაშიას თუ არ ჩავთვლით, „სპარტაკი“ ისედაც ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდია უმაღლეს ლიგაში.**

- შოთა კაშიას ასაკი გეცოდინებათ - 25 წლის გახლავთ და ვეტერანად მოიხსენიებენ. გრიშიკაშვილისა და ბოიომოს გარდა გუნდის 80-90 პროცენტი სრულიად ახალგაზრდები არიან: დეკანოიძე, შონია, ჭაფოძე, ბუზალაძე, ხაჭვანი.

**- სხვათა შორის დეკანოიძეზე ცალკე გვინდა გკითხოთ: ამ ბიჭს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და წინა სეზონთან შედარებით, ცოტა არ იყოს, ისეთი ეფექტიანი აღარ გახლავთ. საკუთარი აზრი გვაქვს, მაგრამ ეს ნიჭიერი ბიჭი „თავის“ პოზიციაზე ასპარეზობდა?**

- ჟურნალისტს საკუთარი აზრის გამოთქმას ვინ დაუშლის; პირადად, ჩემს სადებიუტო შეხვედრაში დეკანოიძე მარჯვენა გარემარბად დავაყენე და ისე ითამაშა, მატჩის დასრულების შემდეგ ბევრმა ადგილობრივმა ქომაგმა მკითხა კიდეც: ამ ბიჭს ნაკრებში რატომ არ იძახებენო?

**- ისე, ცოტა არ იყოს უცნაურად გამოგვივიდა: ჯერ დუბლშემადგენლობაზე ვსაუბრობდით და პირდაპირ... სადებიუტო მატჩზე გადავედით. მანამდე ხომ გარკვეული „პროცედურაც“ იქნებოდა: ძირითადი გუნდის გაძღოლაზე დათანხმება, დაფიქრება, პროგრამა-მინიმუმსა და პროგრამა-მაქსიმუმზე საუბარი. მით უფრო, აუტსაიდერი გუნდის გაძღოლას გთავაზობდნენ...**

- ბევრმა ფაქტორმა გადაწყვიტა ჩემი არჩევანი: ჯერ ერთი, ჩემთვის უცხო გარემოში არ მოვდიოდი; ძირითადი გუნდის ფაქტობრივად ყველა თამაშსა თუ ვარჯიშს ვესწრებოდი და თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებიც კარგად ვიცოდი. ანუ, მეტად არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც იმ აზრის ვარ, რომ „სპარტაკს“ ბევრად უკეთესად შეუძლია იასპარეზოს. ამას გარდა, არანაკლები გავლენა იქონია დიმიტრი სანაკოევისა და მურთაზ შელიას ფეხბურთისადმი სიყვარულმა. ვიცი, ძალიან ძნელ საქმეს მოვკიდე ხელი, მაგრამ მჯერა, რომ სიტუაციის გამოსწორება შეიძლება.

**- 9 ტურის შემდეგ „სპარტაკი“ ერთ-ერთი უიმედო აუტსაიდერია; ამას გარდა, არ გეწყინოთ და, ამ სეზონში თუ რომელიმე გუნდი მიგვაჩნია უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატად, „სპარტაკია“...**

- მერწმუნეთ, ამ გუნდს დარჩენის შანსი აქვს! თანაც, ძალიან მალე გამოჩნდება, თუ რა შეუძლია „სპარტაკს“; რა თქმა უნდა, გაძლიერებაც არ გვაწყენდა - ზამთრის პაუზამდე „თავისუფალი აგენტი“ თუ დავიმატეთ, ხომ კარგი; თუ არადა, ზამთარში, სულ მცირე, ორ-სამ პოზიციაზე დაგვჭირდება კვალიფიციური ფეხბურთელები. რაც მთავარია, უიმედოდ არა ვართ და ჩვენი მონდომებაც შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

**გია ტუხაშვილი**

● საქართველოს თასი. წილისყრა



## მერვედფინალის ინტრიგა

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში საქართველოს დავით ყიფიანის ეროვნული თასის მერვედფინალური მატჩების წილისყრა გაიმართა. გუნდები ასე გადანაწილდნენ:

**დინამო (ბათუმი)-ზესტაფონი (ზესტაფონი)**
**ლოკომოტივი (თბილისი)-ოლიმპი (რუსთავი)**
**გაგრა (გაგრა)-კოლხეთი (ფოთი)**
**მერანი (მარტვილი)-სიონი (ბოლნისი)**
**სქური (წალენჯიხა)-ვიტ ჯორჯია (თბილისი)**
**ტორპედო (ქუთაისი)-ბაია (ზუგდიდი)**
**სპარტაკი (ცხინვალი)-სამტრედია**
**ჩიხურა (საჩხერე)-დინამო (თბილისი)**

ისევე როგორც 1/16 ფინალში, 1/8 ფინალშიც მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართება, რაც ამ ეტაპს განსაკუთრებულ ინტრიგას მატებს. შეხვედრებს პირველად დასახელებული გუნდები 9 და 10 ნოემბერს უმასპინძლებენ. წილისყრის დროს გათვალისწინებული იყო ის ფაქტორიც, რომ დაბალ კატეგორიაში განთესილ კლუბს შინ უფრო ძლიერი მეტოქე მიელო, რაც 1/8 ფინალს დამატებით ხიბლს სძენს.

მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ორი დამატებითი 15-წუთიანი ტაიმი დაინიშნება. თუ გამარჯვებულს ვერც ეს ნახევარი საათი გამოავლენს, 11-მეტრიანი დარტყმების სერია დაინიშნება.

პროფლიგის პრესსამსახურის ცნობით, კონკრეტული თამაშის ჩატარების კონკრეტულ თარიღს ლიგის საშეჯიბრო სამსახური უახლოეს მომავალში, ამ ეტაპზე გასული უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების საჩემპიონატო მატჩების გათვალისწინებით დაადგენს.

ამ ეტაპზე კი უმაღლესლიგელებმა მხოლოდ ორი წყვილი დააკომპლექტეს („ტორპედო“-„ბაია“ და „სპარტაკი“-„სამტრედია“), თუმცა, სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა წყვილებშიც არანაკლებ დაძაბული დაპირისპირებაა მოსალოდნელი.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

## კანკავა უკვე სრულად

თითქმის 9-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ეროვნული ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ნახევარმცველმა **ჯაბა კანკავამ** გუნდთან ერთად სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში. მოგეხსენებათ, „დნიპროს“ ბოლო ორ კვირაში ორჯერ შეეცვალა მწვრთნელი. ჯერ იყო და, ლიგის დებიუტანტ „სევასტოპოლთან“ წაგების შემდეგ **ვლადიმირ ბესონოვმა** დატოვა გუნდი, მერე კი - მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ვადიმ ტიშჩენკომ,** ამ რამდენიმე დღის წინ გაცხადდა, რომ დნეპროპეტროვსკელთა გუნდს ცნობილი ესპანელი მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** ჩაიბარებდა. ასეც მოხდა და რამოსმა, რომელმაც „სევილიას“ ზედიზედ ორჯერ (2006, 2007 და პლუს ევროპის სუპერთასიც) მოაგებინა უეფას თასი, „დნიპროს“ პირველი ვარჯიშიც ჩაუტარა. ამ წვრთნაში კანკავაც მონაწილეობდა...

*„იმედია, ტრავმირებული ჯაბა კანკავა და ლევან ყენია რამდენიმე კვირაში გამოჯანმრთელდებიან და ნაკრების შუა ხაზში კონკურენცია გაიზრდება. ამის შემდეგ ჩვენი ნაკრები ნახევარდაცვაში, წესით, უკეთ უნდა ათამაშდეს“,* - აღნიშნა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ.**

იმედია, ოქტომბრის ბოლომდე ჯაბა „დნიპროს“ შემადგენლობაშიც გამოჩნდება. თუ ჩვენს ნაკრებს 17 ნოემბერს ამხანაგური მატჩი ექნა, წესით, იმ პერიოდისთვის კანკავა უკვე კარგ ფორმაში უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ ჯაბას ფეხის თითზე ორჯერ მოუწია ოპერაციის გაკეთებამ. პირველი ქირურგიული ჩარევა უშედეგო აღმოჩნდა და მეორე ოპერაცია 24 წლის ნახევარმცველმა გერმანიაში გაიკეთა. კანკავამ ეროვნულ ნაკრებში ბოლოს 2008 წლის მარტში, ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში (1:4) ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი

## სანაიამ ალემანიაში მოიგო

20 წლის მარცხენა მცველმა **ამირან სანაიამ** მისამართის შეცვლა გადაწყვიტა და ჯერ ბელგიას, მერე კი გერმანიას მიაშურა. თავდაპირველად, ის ბელგიურ „მეხელენში“ იყო სინჯებზე, მაგრამ - უშედეგოდ. შემდეგ გერმანიაში ჩავიდა და მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე აახენის „ალემანიაშია“ გაიარა ტესტირება. სანაიამ უკვე ორი ტესტმატჩი ჩაატარა - პირველ შეხვედრაში „ალემანიამ“ ჰოლანდიური „მაასტრიხტის“ დუბლშემადგენლობა 2:1 დაამარცხა. სანაია სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ ტრავმის გამო შეხვედრა ვერ ჩაამთავრა. როგორც გავიგეთ, ჩვენებური მარცხენა მცველად თამაშობდა და დაცვის გარდა, შეტევით ოპერაციებშიც მონაწილეობდა. მისი ტრავმა საგანგაშო არ აღმოჩნდა და მომდევნო დღეს კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. აახენელებმა ბელგიური „ეუპენი“ 3:2 დაამარცხეს. სანაია ისევ ძირითად შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს.

სხვათა შორის, „ალემანია“ 4 ოქტომბერს **ლევან კობიაშვილის** „ჰერტას“ ბერლინში დაუზავდა (0:0). აახენელთა გუნდს, რომელსაც **პეტერ ჰიბალა** წვრთნის, 7 ტურის შემდეგ 9 ქულით მეათე ადგილი უკავია. სანაია, რომელიც აქამდე ფრანგულ „ლე მანში“ ირიცხებოდა, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. თუმცა ოფიციალურ მატჩებში მხოლოდ დუბლებში უწევდა თამაში.

შეგახსენებთ, რომ სანაიას ეროვნულ ნაკრებში 5 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი ტრანსფერის საკითხი სანაკრებო პაუზის დასრულებამდე უნდა გადაწყდეს. აახენელებს უახლოესი მატჩი 17 ოქტომბერს შინ „ინგოლშტადტთან“ უწევთ.

**დავით ცაბაძე**

● U 19

## ჯერ კვეკვესკირი, მერე ანანიძე

დღეს გამთენიისას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიას გაემგზავრა. **ვლადიმერ გუცაევმა** პირენეებზე 18 ფეხბურთელი იახლა:

მეკარეები - **მამუკა ნადირაძე** (დინამო), **დავით ლეგაშვილი, გიორგი აზნიაშვილი** (ორივე ნორჩი დინამოელი);

მცველები - **მამუკა კობახიძე** (ზესტაფონი), **საბა კვირკველია** (ზენიტი 2, რუსეთი), **ავთანდილ ბრაჭული** (რუბინი 2, რუსეთი), **ბაქარ მირცხულავა** (ბენფიკა 2, პორტუგალია), **ნიკა კვეკვესკირი, ნიკა აფაქიძე** (ორივე ბაია), **მინდია ფუტკარაძე** (ადელი), **ირაკლი ხუჭუა** (გაგრა);

ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ. რუსეთი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (შახტარი 2, უკრაინა), **გიორგი ჩელებაძე** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა მ, რუსეთი), **ლევან ელიზბარაშვილი** (ნორჩი დინამოელი);

თავდამსხმელები - **გიორგი ჭანტურია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ლაშა ჩაფიძე** (უკლუბოდ).

გუნდთან ერთადაა „ბაიას“ მცველი **ნიკა კვეკვესკირიც,** რომელიც მთავარ ნაკრებში იყო გამოძახებული. ასევე ეროვნულ გუნდში გამოძახებული **ჯანო ანანიძე** ჭაბუკთა ნაკრებს ლატვიასთან მატჩის შემდეგ, 13 ოქტომბერს შეუერთდება.

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუცაევის გუნდი პირველ შეხვედრას 11 ოქტომბერს, ბერძენი თანატოლების წინააღმდეგ გამართავს.

**დავით ცაბაძე**

დაფასებული ქართველები

# ჩვენი კაცი მსოფლიო ფეხბურთში

## დავით პეტრიაშვილი: მატჩების ორგანიზების მხრივ ბევრი უნდა ვისწავლოთ

**უეფას და ფიფას მატჩების დირექტორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მმართველი დირექტორი - ასეთია დავით პეტრიაშვილის რეგალიები. ბევრისთვის უცნობია, რომ ფიფამ პეტრიაშვილი სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ქალაქ ბლუმფონტეინში ჩატარებული ყველა მატჩის დირექტორად დანიშნა: იაპონია-კამერუნი, საბერძნეთი-ნიგერია, სლოვაკეთი-პარაგვაი, საფრანგეთი-სამხ. აფრიკა, შვეიცარია-ჰონდურასი და ინგლისი-გერმანია. ასეთი საპასუხისმგებლო როლები მის ავტორიტეტზე მეტყველებს. გუშინ პეტრიაშვილი საქართველო-მალტის მატჩის ორგანიზატორს ეხმარებოდა. ვისარგებლეთ შემთხვევით და ინტერვიუ ჩამოვართვით...**

**- დავით, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს რა რანგში ემსახურებოდით?**

- ფიფამ სამხრეთ აფრიკაში მატჩების გენერალური დირექტორის რანგში გამიშვა.

**- ფიფასა და უეფაში რა როლი გაქვთ?**

- სხვადასხვა ფუნქცია მავალია - დირექტორის, დელეგატის და ასე შემდეგ. ამჟამად ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონიტორინგი დამავალეს. ამას გარდა, უეფას ახალ პროგრამაშიც ჩამრთეს, რომელსაც საგანმანათლებლო როლი აკისრია - ჩვენი მოვალეობაა, ფედერაციებს მატჩების ორგანიზებაში დავეხმაროთ.

**- ამ პროგრამაში საქართველოცაა ჩართული?**

- თუ ჩვენთანაც ჩაატარებენ მსგავს ღონისძიებას, კარგი იქნება. განსხვავებული თემებია...

**- მაგალითად?**

- მაგალითად, როგორ მოვაგვაროთ ჩვენთან არსებული პრობლემები. იმიტომ კი არა, რომ ცუდად ვაკეთებთ, არამედ იმიტომ, რომ რაღაცები ვითარდება, წინ მიდის და ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის, უბრალოდ, გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. ევროპული პრაქტიკის კოპირება წარმოუდგენელია, რადგან შენი პირობები უნდა გაითვალისწინო, მაგრამ ზოგადი გამოცდილების გაზიარება სასურველი და საჭიროა. მერე მატჩების ჩატარების პრობლემა არ გვექნება. მით უფრო, რომ ბევრჯერ გამოვთქვით სურვილი, რომ საქართველოში ევროპის ლიგის ფინალის, ასაკობრივი ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობა გვსურს და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

**- თქვენი აზრით, საქართველოში მსგავსი მატჩის ან ტურნირის გამართვა რეალურია?**

- რეალურიცაა და შესაძლებელიც, თუ სტრუქტურულ და ორგანიზაციულ მხარეს გავაუმჯობესებთ.

**- საქართველოში კვლავ აქტუალურია მოედნების პრობლემა და რადგან ევროპის ჩემპიონატის სტადიონების მონიტორინგს ახორციელებთ და საინტერესოა, უკრაინა-პოლონეთში საფარს უეფას რეკომენდაციით აგებენ?**

- პოზნანსა და დონეცკში უკვე დააგეს. სხვათა შორის, უეფამ ყველა ფედერაციას გაუგზავნა სპეციალური DVD-დისკები, რომელზეც დეტალურადაა აღწერილი, თუ რა ხარისხის მოედნებს ითხოვს ეს ორგანიზაცია და როგორ უნდა მოუარონ მოედნებს. რეკომენდაციები არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ხელოვნურსაფრიან მოედნებსაც ეხება. ახლა ჩვენთან და მთელ მსოფლიოში პოპულარულია ხელოვნურსაფრიანი მოედანი, მაგრამ მას ნატურალურზე არანაკლები მოვლა რომ სჭირდება, ეს ბევრს ავიწყდება. ქვეყნები ითხოვენ, რომ უეფა ამ საკითხებში დაეხმაროს, ისიც სიამოვნებით თანხმდება და ამ ქვეყნებში ექსპერტებსაც გზავნის.

**- ექსპერტებს რომელი ქვეყნები ითხოვენ?**

- ბელარუსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ხორვატია... რა ვიცი, მოთხოვნა ძალიან ბევრი ქვეყნიდანაა. მაგალითად, ბოლო დრო ბელარუსში ბევრი ხელოვნურსაფრიანი მოედანი დააგეს. მოვლა იციან, მაგრამ ნებისმიერ სფეროში არსებობს „ნოუ-ჰაუ“ და ეს ყველას აინტერესებს. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა უეფას თასის ერთ-ერთი მატჩი შეჩერდა მე-11 წუთზე, რადგან მოედანზე წყალი დადგა და თამაში შეუძლებელი გახდა. ყველამ იცის, რომ სტადიონს დრენაჟი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მას გაწმენდაც ხომ უნდა? ამ ნიუანსების გათვალისწინებას ყველა ვერ ახერხებს. არის უსაფრთხოების საკითხები, როგორ მუშაობენ სტიუარდები, პოლიცია, უსაფრთხოების სამსახურები. როგორ უნდა იმოქმედონ, რომ უეფას სხვა მოთხოვნები არ დაარღვიონ? მაგალითად, თამაშის წესები ყველა იცის, გუნდები 11/11-ზე თამაშობენ. ასეთივე რეგლამენტი ყველა მიმართულებით არსებობს, რომლის შესრულებაც სავალდებულოა - ვთქვათ, ტრიბუნაზე არ შეიძლება ბოთლის და ბასრი საგნის შეტანა, ადამიანი უნდა გაჩხრიკო, ყველა თუ არა, ამორჩევით მაინც და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, თუ რა პრობლემა გაქვს - მადლობა ღმერთს, საქართველო რასისტულ გამოხდომებში შემჩნეული არ არის და ეს ჩვენს კულტურასა და განვითარებაზე მეტყველებს. თუმცა არსებობს ჩვენთვის დამახასიათებელი პრობლემებიც...

**- ...გულისხმობთ მოედანზე ბოთლების, ბოქლომებისა და დანების სროლას?**

- არ მსურდა დაკონკრეტება, მაგრამ თავად ბრძანეთ და დამალვას აზრი არ აქვს. რატომ ისვრიან ამ საგნებს? ესე იგი, ვილაცას ეს საგნები შემოტანილი აქვს, რაც არ შეიძლებოდა. ამაზე რეაგირებას, პრევენციული ზომების მიღება



დავით პეტრიაშვილი

და შესვლამდე მაყურებლის გაჩხრეკა სჯობია. კარგია ახალი ფანკლუბი რომ დაარსდა. შევხვდი მის ინიციატორებს და ძალიან მახარებს მათი ჩანაფიქრი, ორგანიზებული გულშემატკივრობის დანერგვა სურთ... ზოგან მეტად ემოციურები არიან, ზოგან ნაკლებად, მაგრამ მათი განწყობა ყველა ქვეყანაში ერთგვაროვანია - 99,9 პროცენტი სტადიონზე დადებითი ემოციით მოდის, საკუთარ გუნდსა თუ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს რომ უგულშემატკივროს. ის დარჩენილი მცირე რაოდენობაა, რომელსაც თავის უმსგავსი ქმედებით საერთო კეთილმობილური განწყობის გაბათილება შეუძლია. სწორედ ამ ხალხის იზოლირება ან ნეიტრალიზებაა აუცილებელი.

**- ეს როგორ უნდა გავაკეთოთ?**

- ან სტადიონზე არ უნდა შევუშვათ, ან აკრძალული საგნები სტადიონზე არ შევატანინოთ, რასაც სერიოზული მუშაობა სჭირდება. ისეთ თემებზე მეკითხებით, რაზეც საქართველოში უეფას სემინარის გამართვა არ გვაწყენდა. მაგალითად, უსაფრთხოების სისტემები ავილოთ. ჩვენთან ჯერ არაა ინგლისის მსგავსად კომპანია, რომელიც სტადიონებზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ამაში ჩართულია პოლიცია, რომელსაც საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვა ევალება. ამა თუ იმ მიმართულებით რაც უფრო მეტს ვისწავლით, მით უფრო გავძლიერდებით და მივუახლოვდებით მიზანს, საქართველოში ევროპის ლიგის ფინალისა და ასაკობრივი ნაკრებების ფინალური ეტაპის გამართვას.

**- ამჟამად უეფაში რამდენი ქართველი მუშაობთ?**

- მამუკა კვარაცხელია უეფას მედიაოფიცერია, ნოდარ ახალკაცი ნაკრები გუნდების კომიტეტშია, უეფას კომიტეტშია რეზო არველაძე, მე კი დირექტორი გახლავართ... უეფაში არ მუშაობს, მაგრამ ძალიან ახლო ურთიერთობები აქვს გაიოზ დარსაძეს, რომელსაც სამწვრთნელო განათლების მიმართულებით დიდი ავტორიტეტი აქვს.

**- გია ისიანსაც ხომ იწვევდნენ?**

- ჯერჯერობით არა, მაგრამ რატომ არ უნდა იყოს? თავისი საქმის პროფესიონალია და, ალბათ, მასაც მალე მიიწვევენ.

**- მიშელ პლატინიმ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ განაცხადა, რომ უეფას კომიტეტებში აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლებს უფრო მეტად და აქტიურად ჩართავდა. ეს პირობა შესრულდა?**

- პლატინის მართლაც სურს ევროპული ფეხბურთის მართვასა და ყოველდღიურ საქმიანობაში აღმოსავლეთ ევროპის აქტიური ჩართვა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სიტყვას შეასრულებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სამწვრთნელო საქმე

# სახლი საძირკვლიდან უნდა ვაშენოთ



ავტორის ფოტო

მარცხნიდან: ბესიკ შეროზია, თემურ მახარაძე, გაიოზ დარსაძე, რამაზ მუმლაძე, გიორგი ყიფიანი

**ყველასთვის** ცნობილია, რომ ქართული ფეხბურთის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, სახსრების ნაკლებობასთან ერთად, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხისადმი არასწორი მიდგომაა. იმ ქვეყნებში, სადაც ფეხბურთი სწორი მეთოდებით ვითარდება, ყოველთვის იმკიან გამარჯვებებს. საქართველო კი ერთ ადგილს ტკეპნის და, შესაბამისად, ღრმავდება უფსკრული ჩვენსა და გამართულად მომუშავე ქვეყნებს შორის.

ფეხბურთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ახალი თაობების სწორად აღზრდა და საფეხბურთო კლუბის სისტემის გამართული ფუნქციონირებაა. პროგრესის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ჩვენი მეზობელი თურქეთია. მის დედაქალაქ ანკარაში რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების მთავარი მწვრთნელები იმყოფებოდნენ და იქაური კლუბების, „ანკარაგიუჯუსა“ და „გენჩლერბირლიგის“ საფეხბურთო სისტემასა და მეურნეობას გაეცნენ, ასევე, დაესწრნენ სანვრთნელო სემინარებს, რომლებსაც კვალიფიციური თურქი და ევროპელი სპეციალისტები ესწრებოდნენ. ქართულ დელეგაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა.

ჩვენი მწვრთნელები თურქეთიდან გუშინ დილას დაბრუნდნენ და მათი უმეტესობა გუშინვე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციასაც დაესწრო.

**გაიოზ დარსაძე:**

- უმნიშვნელოვანესი და ძალიან საჭირო ვიზიტი იყო. მივიღეთ უაღრესად სასარგებლო ინფორმაცია, თუ როგორ უნდა განვავითაროთ საქართველოში ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთი. თურქებს აქვთ აპრობირებული მზა რეცეპტი იმისა, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ქვეყანამ საფეხბურთო წარმატებებს. ისინი მზად არიან, საკუთარი გამოცდილება უანგაროდ გაგვიზიარონ და ჩვენც დაუყოვნებლივ უნდა ავყვეთ მათ ტემპს. ბუნებრივია, თურქეთში სულ სხვა მასშტაბები და ფინანსებია, მაგრამ ჩვენს ფარგლებშიც შეგვიძლია ეფექტური მოდელის შექმნა, თუნდაც არცთუ კოლოსალური ხარჯებით. თურქეთში კი მართლაც ზღაპრული პირობებია შექმნილი ბავშვთა განვითარებისთვის. არც ერთ იქაურ უმაღლესლიგელ კლუბს 50-მილიონიანზე ნაკლები ბიუჯეტი არ აქვს. ამ თანხით მშვენივრად ხერხდება როგორც მთავარი გუნდის, ასევე ასაკობრივი და ბავშვთა გუნდების მოვლა-პატრონობა. ფეხბურთზე სიარული ბავშვებისთვის სრულიად უსასყიდლოა, ნიჭიერებს კი აქეთ უხდიან ფულს. აქვთ ბრწყინვალე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავთ უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელები. მოხარული ვარ, რომ საკუთარი თვალით მოგვეცა ამ ყველაფრის ნახვის საშუალება და კიდევ უფრო მკაფიოდ დავინახეთ, თუ რა გვაქვს გასაკეთებელი. საჭიროა გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება. ასე მაგალითად, თურქებს სამოქმედო გეგმა უკვე 2026 წლამდე აქვთ შემუშავებული. ქართველებს ნიჭი არ გვაკლია, მაგრამ მას მუშაობა და განვითარება სჭირდება. დილეტანტები კი ამ საქმეს ვერასდროს გააკეთებენ.

**თემურ მახარაძე:**

- ჩვენ ვნახეთ ქალაქი ქალაქში - ერთ ბაზაზე თავმოყრილი თორმეტი საფეხბურთო მოედანი, აქედან რვა ბუნებრივი და ოთხი ხელოვნური საფრით. თურქეთში ზრუნავენ არა მხოლოდ ფეხბურთელის, არამედ შეგნებული და განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ყველა კლუბს ჰყავს ტექნიკური დირექტორი, რომელიც ქმედითი ბერკეტებითაა აღჭურვილი და აკონტროლებს ყველა ასაკობრივი ჯგუფის განვითარებას.

**გიორგი ყიფიანი:**

- უპირველეს ყოვლისა, უკუსვლა უნდა შევწყვიტოთ. ამის გარეშე წინსვლაზე ფიქრი წარმოუდგენელია. თურქეთში უაღრესად საჭირო გამოცდილება მივიღეთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ რეგიონების რესურსის გამოყენების გარეშე არაფერი გამოგვივა. სახლის შენების დაწყება სახურავიდან არ შეიძლება, თუ მყარი საფუძველი არ ჩავყარეთ, სახლი ყოველთვის თავზე დაგვენგრევა.

**გელა სანაია:**

- გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი ცოდნა შევიძინეთ, კარგია ისიც, რომ უმაღლეს ლიგაში მომუშავე მწვრთნელებმა რამდენიმე დღე ერთად გავატარეთ, უკეთ გავიცანით ერთმანეთი, რაც მომავალში მჭიდრო თანამშრომლობასა და სწორი მიმართულებით საქმიანობაში შეგვიწყობს ხელს.

**რამაზ მუმლაძე:**

- ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოვუგოთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც აბსოლუტურად ყველა კომპონენტში კატასტროფულად ჩამოვრჩებით. უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ვზრდით არა ფეხბურთელებს, არამედ ინვალიდებს. დღეს თურქეთსა და სხვა წარმატებულ ქვეყნებს 20-30 წლით ჩამოვრჩებით. სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ, თორემ ქართული ფეხბურთი მალე აღარ იარსებებს.

**ბესიკ შეროზია:**

- მერწმუნეთ, ქართველ ბავშვებს თურქებზე გაცილებით მეტი ნიჭი აქვთ, მაგრამ სათანადო პირობების არქონის გამო სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ. საკმარისია, ქართულ ფეხბურთში ფული ჩაიდოს და დიდი გამარჯვებები აუცილებლად მოვა.

**ელგუჯა ქომეთიანი:**

- დავეთანხმები ბესოს, ჩვენს ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ ხელშეწყობა და თანადგომა. ყველაზე რთულ მდგომარეობაში მაინც მწვრთნელები ვართ, რადგან სათანადო პირობების არქონის მიუხედავად, შედეგს კატეგორიულად გვთხოვენ. თუ საწვრთნელი პირობები არ გვექნება, განსაკუთრებულ შედეგს ვერასოდეს მივაღწევთ.

**მერაბ კოჭლაშვილი:**

- რამდენიმე ათეული წლის წინ ქართველები თურქებს დიდი ანგარიშით უგებდნენ ხოლმე. ახლა კი, სამწუხაროდ, მათ გაგვისწრეს. ქართველები ამბიციური ხალხი ვართ, მაგრამ სათანადო ცოდნისა და პირობების გარეშე წინ ვერ წავალთ. ინფრასტრუქტურის მხრივ სავალალო ვითარება გვაქვს. რეგიონებზე აღარაფერს ვიტყვი და თბილისში სულ რამდენიმე მოედანი გვაქვს და იმასაც ვკარგავთ. ცოდნას რაც შეეხება, სწავლას არც მე ვთაკილობ და არც ჩემი კოლეგები. ერთობლივი ძალებით ვცდილობთ სწორ გზაზე დადგომას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისის ნაკრები

# რიო სკამზე?

**რიო ფერდინანდს** ინგლისის ნაკრების კაპიტნობაზე როგორ უნდა ჰქონდეს პრეტენზია, როდესაც **ფაბიო კაპელომ** 12 ოქტომბერს ჩერნოგორიასთან შეიძლება საერთოდ არ ათამაშოს. ინგლისელთა ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ მოედანზე მის ნაცვლად, სავარაუდოდ, **ფილ ჟაგიელკას** ვიხილავთ. თურმე, კაპელოს წინა ორ სანაკრებო შეხვედრაში „ევერტონის" 28 წლის მცველის თამაში ისე მოსწონებია, რომ მზად არის თვით გამოჯანმრთელებული ფერდინანდის გამოყვანაზე თქვას უარი - ჟაგიელკამ ბულგარეთთან (4:0) და შვეიცარიასთან (3:1) თავიდან ბოლომდე ითამაშა.

გეხსომებათ, 31 წლის ფერდინანდმა ბოლოს ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ამხანაგურ შეხვედრებში ითამაშა. შემდეგ ის სამხრეთ აფრიკაში, ვარჯიშზე დაშავდა და ინგლისში ისე დაბრუნდა, რომ მუნდიალის ერთ შეხვედრაშიც არ მიუღია მონაწილეობა.

ფერდინანდის სათადარიგოთა სკამზე დასმით კაპელო კაპიტნის პრობლემასაც გადაწყვეტს. მოგეხსენებათ, მას მერე, რაც მანჩესტერელი მწყობრში დაბრუნდა, დაისვა კითხვა, ვინ უნდა იყოს ინგლისელთა კაპიტანი, კვლავ ფერდინანდი თუ მსოფლიოს ჩემპიონატსა და მას შემდგომ პერიოდში დანიშნული **სტივენ ჯერარდი**, რომელმაც ამ საქმეში ფრიად იყოჩაღა.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მიმომხილველები დასკვნების გამოტანას ჩქარობენ. კაპელო ამბობს, რომ ფერდინანდის ფიზიკურ მომზადებაში ჯერ ბოლომდე დარწმუნებული არ არის და მანჩესტერელს უახლოეს ვარჯიშებზე დააკვირდება. რაც შეეხება ჟაგიელკას, ის ამბობს: *„რასაკვირველია, მესმის, რომ შესაძლოა ისევ სათადარიგოთა სკამზე დავბრუნდე"*.

თუმცა „ევერტონში" მისი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** სხვა აზრისაა: *„მე მგონია, რომ ფილს ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. მან ინგლისის ნაკრებს ახალი სისხლი შემატა"*.

**გარეთ ბერი** შეკრებაზე პირადი მიზეზების გამო გვიან მივა.



რიო ფერდინანდი

მძიმე ტრავმის კვალდაკვალ...

# დე იონგი კლინიკაში არ შეუშვეს

**ნაიჯელ დე იონგს** უთხრეს, რომ **ჰატემ ბენ არფას** მისი ნახვა არ სურს - ჰოლანდიელი ტუნისური წარმოშობის ფრანგთან საავადმყოფოში აპირებდა მისვლას... „ნიუკასლ იუნაიტედის" გარემარბი მანჩესტერის ჰოსპიტალში სწორედ დე იონგის მიერ ორ ადგილას მოტეხილ ფეხს მკურნალობს.

მოგეხსენებათ, გასულ შაბათს მომხდარი ეს ინციდენტი მთელ მსოფლიოში გახმაურდა და ისტლენდელთა ჰოლანდიელი ნახევარმცველს იმიჯი შეულახა, მაგრამ დე იონგმა მდგომარეობის გამოსწორება საავადმყოფოში ვიზიტით გადაწყვიტა. საამისოდ მან ბენ არფას წარმომადგენლებს „მანჩესტერ სიტის" რამდენიმე თანამშრომელი მიუგზავნა, რათა ისინი შეხვედრაზე შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ პასუხად ცივი უარი მიიღო - ბენ არფას არათუ დე იონგის, „სიტიდან" არავის ნახვა არ უნდა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მორიგი უხეშობის გამო დე იონგი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** შეკრებაზე აღარ გამოიძახა - მწვრთნელმა 25 წლის ნახევარმცველს ტელეფონით დაურეკა და უთხრა, რომ ორთამაშიანი შიდა დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. თავის მხრივ, ფეხბურთელმა გადაწყვიტა მისთვის რთული პერიოდი მოთმინებით გადაიტანოს და აცადოს, სანამ ინციდენტით დაყენებული მტვერი დაჯდება.

დე იონგის უხეშობასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება ფიფას სამედიცინო დეპარტამენტის შეფმა, დოქტორმა **მიშელ დ'უჟმაც** გამოთქვა. მან გაიხსენა, როგორ ჩაარტყა ჰოლანდიელმა წიხლი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში **ჩაბი ალონსოს** და დაასკვნა, რომ ასეთი „კრიმინალური" ჯარიმებისთვის უხეში ფეხბურთელები სერიოზულად უნდა დაისაჯონ.


ნაიჯელ დე იონგს ჰატემ ბენ არფასთვის ბოდიშის მოხდა სურდა...

კონფლიქტი


ფერნანდო ტორესი

# ტორესი ლივერპულიდან იანვარში წავა?

თუ „ლივერპულის" საქმე ისე წავა, როგორც მისი დირექტორატი ვარაუდობს, ანუ მერსისაიდულ კლუბს „ბოსტონ რედ სოქსის" მეპატრონე **ჯონ ჰენრი** იყიდის, მაშინ ერთ-ერთი პირველი, რასაც ის გააკეთებს, ესპანელ ვარსკვლავ **ფერნანდო ტორესთან** დალაპარაკება იქნება. თუმცა როგორც ზემოთ გითხარით, ამისთვის ჰენრიმ და მისმა კორპორაცია New England Sports Ventures-მა „ლივერპული" უნდა იყიდონ.

უდგას რამე წინ ამ ოპერაციას? „ლივერპულის" ახლანდელი მეპატრონეების **ტომ ჰიქსისა** და **ჯორჯ ჯილეტის** სიჯიუტე. მათ კატეგორიულად არ უნდათ, კლუბი New England Sports Ventures-მა შეიძინოს. ჰიკსმა განაცხადა, რომ თანამემამულე ბიზნესმენის წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლებს და არ დაუშვებს, „ლივერპულის" ჰენრის ხელში გადასვლას, მით უმეტეს 300 მილიონად. ორი სიტყვით შეგახსენებთ, რომ ჰიკსისა და ჯილეტის გეგმას წინ კლუბის დირექტორატის ინგლისელი წევრები აღუდგნენ და ჰენრისთან გარიგება სწორედ მათი მეცადინეობის შედეგია.

ჰიკსის პოზიცია ასეთია: ჯერ ერთი, „ლივერპული" სულ მცირე 600 მილიონი ღირს და მეორეც, კლუბის დირექტორატისა და ჰენრის გარიგება უსაფუძვლოა, რადგან დირექტორატი უფლებამოსილი არ იყო ეს მოლაპარაკებები ეწარმოებინა - ჰიკსმა და ჯილეტმა წინა დღეს დირექტორატიდან ორი წევრი **კრისტიან პარსლოუ** და **იან ეირი** გაათავისუფლეს, მაგრამ სინი არ დაემორჩილნენ, რადგან მათი გათავისუფლების ბრძანებას კლუბის პრეზიდენტმა **მარტინ ბრაფტონმა** არ მოაწერა ხელი. თავის მხრივ, ბრაფტონი და მისი დირექტორატი ახალი მეპატრონის მოსვლის ბოლო თარიღად 15 ოქტომბერს ასახელებენ.

მაშ ასე, მერსისაიდული კლების სათავეში დიდი ბრძოლაა და თუ ჰენრის ბანაკი გაიმარჯვებს, 26 წლის ტორესს ახალ მეპატრონესთან ლაპარაკი მომდევნო კვირაშივე არ ასცდება. დღეს ტორესი, მოგეხსენებათ, საზარდულის ტრავმას მკურნალობს, რათა მომდევნო კვირას პრემიერლიგის მერვე ტურში „ევერტონთან" ითამაშოს.

და მაინც, რა აქვთ New England Sports Ventures-ის წარმომადგენლებს ტორესთან გასარჩევი? ალბათ, ხელფასი... ინგლისური გაზეთები დაჟინებით წერენ, რომ თავდამსხმელის გამომეტყველება და მიხრა-მოხრა (ეგრეთ წოდებული სხეულის ენა ანუ body language) პირდაპირ მიუთითებს - ტორესს „ენფილდ როუდიდან" წასვლა უნდა.

როდის აპირებს ტორესი „ლივერპულიდან" წასვლას? ვინაიდან უახლოესი სატრანსფერო ბაზრობა იანვარშია და სავარაუდოდ, ნაახალწლევს, მაგრამ ჰენრი და მისი ხელქვეითები იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელს დაელაპარაკებიან და ზაფხულამდე მაინც დატოვებენ.

გაუგებრობა

# მაკედა: რუნი გოიმია

„მანჩესტერ იუნაიტედის" 19 წლის თავდამსხმელმა, იტალიელმა **ფედერიკო მაკედამ** ინტერვიუში ისეთი რამ თქვა, რომ ტაბლოიდებმა ხმაური ატეხეს - 24 წლის თანაგუნდელზე **უეინ რუნიზე** ლაპარაკისას იხმარა სიტყვა coatto რაც იტალიურად ხიხოს, გოიმს, ჩამორჩენილს... დაახლოებით „ბიჭუნას გარეუბნიდან" ნიშნავს. ეს ინტერვიუ მაკედამ იტალიურ გაზეთს მისცა და მისი ფრაგმენტები ინგლისში გადათარგმნეს. ზოგმა რედაქციამ coatto-ს ნაცვლად მუშათა კლასის წარმომადგენელი დაწერა, რაც, ბუნებრივია, მკითხველის დიდი ნაწილისთვის კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი და გამაღიზიანებელი გახლდათ. მოვიტანოთ ციტატა: *„რუნი დიდებული ბიჭია. ის ყოველთვის მეხმარება რჩევებით, მაგრამ ცოტა coatto-ა"*.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა, რასაკვირველია, მყისვე გაიკითხ-გამოიკითხეს და მიადგნენ მაკედას მავან მეგობარს, რომელმაც თქვა, ფედერიკო მაგას რუნიზე ცუდი გაგებით არ იტყოდა, რადგან თვითონაც coatto არისო: *„მამამისი სეზონური მუშაა, დედა - მრეცხავი. ის საშუალო კლასს არანაირად არ განეკუთვნება, ასე რომ, შეუძლებელია მას სოციალური წარმოშობის გამო რუნისთვის დაეცინა"*.

გაზეთებში კი, როგორც მოგახსენეთ, ისეთი ამბავი ატყდა, რომ მაკედამ **რიო ფერდინანდს** დაურეკა, უეინს ჩემ მაგივრად ბოდიში მოუხადეო. მან საჯარო განცხადებაც გააკეთა: *„როდესაც სიტყვა coatto-ს ვამბობდი, უეინის შეურაცხყოფას სულაც არ ვაპირებდი. მე მას ძალიან დიდ პატივს ვცემ, უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ ის უბრალო, მეგობრული ბიჭია და ვარსკვლავური სენი არ სჭირს"*.


ფედერიკო მაკედა

სამუნდიალო

# ამერიკელთა ბინძური როლი?

## დიდი ფეხბურთის დიდი გარიგებები

2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობისთვის ბრძოლამ იერი იცვალა - ფიფას ერთ-ერთმა დიდმოხელემ თქვა, აშშ-მა ძალიან ბინძური როლის თამაში დაიწყოო. თავიდან აზიელთა კონტინენტური ფედერაციის პრეზიდენტის **მოჰამედ ბინ ჰამამის** მოსაზრებას გავეცნოთ.

61 წლის ყატარელი ჩინოსანი (ყატარს კი, მოგეხსენებათ 2022 წლის მუნდიალის მასპინძლობა სურს) ამტკიცებს, რომ მასპინძლობის უფლებას, სავარაუდოდ, მოიპოვებს არა ის ქვეყანა, რომელსაც სხვებზე უკეთესი პროექტი ექნება შედგენილი, არამედ ის, რომელსაც მარკეტინგული კამპანია ექნება უფრო დახვეწილი. მაგრამ მოჰამედ ბინ ჰამამზე უარესი ფიფას პრეზიდენტის, **ზეპ ბლატერის** ახალგაჩენილმა კონკურენტმა (საპრეზიდენტო არჩევნები მომავალ მაისსაა დანიშნული), კორეელმა ვიცე-პრეზიდენტმა **ჩუნ მონ იუნმა** თქვა. მან ბრძანა, თუ ჩინეთი 2022 წლის ჩემპიონატისთვის ბრძოლაში აზიური ქვეყნის წინააღმდეგ მისცემს ხმას, 2026 წლის მასპინძლობის მოპოვებაში დიდ მხარდაჭერას მიიღებსო.

ვისგან მიიღებს ჩინეთი დიდ მხარდაჭერას? იმ ქვეყნისგან, ვისაც „დიდი მხარდაჭერის" შნო აქვს, ასეთი კი, ადვილი მისახვედრია, რომ ამერიკის მეტი ვერავინ იქნება - ევროპული ქვეყნები 2018 წლის მუნდიალისთვის იბრძვიან 2022 წლისთვის აქტიურობას არ აპირებენ.

ჩუნმა თქვა: *„მართალია, ჩინელები სასტიკ უარზე არიან, მაგრამ აზიის ფეხბურთის კონფედერაციაში რომ ვითარება და ურთიერთობები დაძაბულია, იოლი შესამჩნევია. ფიფა „ფეარ პლეის" სულისკვეთებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და მისთვის მთავრობათა პატიოსანი ქცევაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზიელი კოლეგები მიიჩნევენ, რომ კულუარული და ზურგსუკანა თამაშები ჩვენს საქმეში ყვითელ და მეტიც, წითელ ბარათს იმსახურებს"*.

ხოლო ზემოხსენებულმა ბინ ჰამამმა ასე ბრძანა: *„2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებს უმასპინძლებენ თუ არა საუკეთესო პროექტების მქონე ქვეყნები, ნამდვილად არ ვიცი, რადგან ძალიან დიდი მნიშვნელობა პროდუქტის შეფუთვასა და მარკეტინგს ენიჭება და არა მის შინაარსსა და ხარისხს"*.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


მოჰამედ ბინ ჰამამი (მარჯვნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო ბარტერი

# ბენზემა მაიკონის სანაცვლოდ

მთელი ზაფხულის განმავლობაში ვწერდით იმის შესახებ, რომ **დუგლას მაიკონი** „ინტერიდან" „რეალში" უნდა გადასულიყო, თუმცა ტრანსფერი მაინც არ შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელები დიდძალ ფულს იხდიდნენ ბრაზილიელ უკანახაზელში, **მასიმო მორატიმ** თავი მოიკლა და მაიკონის შენარჩუნება მოახერხა. თუმცა იტალიაში ამბობენ, რომ სინიორ მასიმო ამას ძალიან ნანობს. საქმე იმაშია, რომ მიმდინარე სეზონში მაიკონი უწინდებურად ველარ ბრწყინავს, რისი მიზეზიც ენთუზიაზმის ნაკლებობა უნდა იყოს. როგორც ჩანს, იმდენად უნდოდა „რეალში" გადასვლა, რომ „ინტერში" ასპარეზობას გულს ველარ უდებს. გამომდინარე აქედან, მილანური გრანდის პრეზიდენტი მის გასხვისებას ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შეეცდება და მოლაპარაკებების გამართვას კვლავაც „რეალის" მესვეურებთან აპირებს.

მაიკონს უკვე ნათამაშები აქვს ჩემპიონთა ლიგაში „ინტერის" მაისურით, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, ბრაზილიელი ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში ველარ იასპარეზებს. ბუნებრივია, ეს მის სატრანსფერო ფასსაც დააგდებს, რაც მორატის კარგად უნდა ესმოდეს. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „ნერაძურის" პრეზიდენტი მადრიდელ კოლეგას ბარტერზე ჩამოუგდებს სიტყვას - მაიკონი „რეალში", **ქარიმ ბენზემა** კი „ინტერში". მორატი ალბათ თანხის დამატებასაც მოითხოვს, მაგრამ მაქსიმუმ ათი მილიონი ევროს ფარგლებში, რაც **ფლორენტინო პერესისთვის** პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ბენზემა ვერაფრით შეეწყო სამეფო კლუბს და ნავსაყუდელის გამოცვლაზე, წესით, უარი არ უნდა თქვას. მით უმეტეს, მისით ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული, მილანის „ინტერია" დაინტერესებული.


მაიკონი ველარ ბრწყინავს

**ლაშა ნიკლაური**

ალბერტო აკვილანი


ახალი იუვენტინო

# აკვილანი: მოღალატე არ ვარ

„რომას" გულშემატკივრები **ალბერტო აკვილანის** მოღალატედ მიიჩნევენ და ამ შინაარსის ბანერი უკვე არაერთ თამაშზე გამოფინეს. შეგახსენებთ, რომ ალბერტო დედაქალაქური კლუბის აღზრდილია და სწორედ „რომაში" ასპარეზობით გაითქვა სახელი. თუმცა შემდეგ ინგლისურ „ლივერპულში" გადაბარგდა და საბოლოოდ, ტურინის „იუვენტუსში" ამოყო თავი. აკვილანი არ მიიჩნევს თავს მოღალატედ და „ჯალოროსის" გულშემატკივრებზე ნაწყენია:

*„არ მესმის რატომ არიან „ჯალოროსის" ტიფოზები ჩემდამი ასე აგრესიულად განწყობილნი. „რომაში" დარჩენა და ხელშეკრულების გახანგრძლივება მინდოდა, მაგრამ კლუბის მესვეურებმა ჩემი სარფიანად გაყიდვა ამჯობინეს. ყველანაირად მიმანიშნეს, რომ დრო იყო, წავსულიყავი. ჰკითხეთ „ჯალოროსის" ნებისმიერ ფეხბურთელს და დაგიდასტურებთ, რომ ჩემი სურვილი კონტრაქტის გახანგრძლივება იყო. თუმცა ასე არ მოხდა და იძულებული გავხდი, ინგლისში წავსულიყავი. როდესაც იტალიაში დაბრუნების შანსი მომეცა, ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ და „იუვენტუსში" ჩავირიცხე. „რომამ" კი გამყიდა და ამის გახსენება უკვე აღარ მინდა - ჩემი მიზანია, „ბიანკონერისთან" ერთად რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო".*

**ლაშა ნიკლაური**

იტალიის ნაკრები

# ბუფონი ნაკრებს ესტუმრება

**ჯანლუიჯი ბუფონი** ტრავმირებულია, დრო თავზე საყრელად აქვს და ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვისაც იცლის. „გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში ჯიჯიმ მეტწილად ეროვნულ ნაკრებზე ილაპარაკა და გამოთქვა სურვილი, რომ ამ დღეებში „კოვერჩანოს" საწვრთნელ ბაზას ესტუმროს:

*„მას შემდეგ, რაც ნაკრები ბელფასტიდან დაბრუნდება, აუცილებლად ვეწვევი საწვრთნელ ბაზას და იმ ატმოსფეროს შევიგრძნობ, რომელიც ასე ძალიან მაკლია. ამასთან, გავესაუბრები ფეხბურთელებს და უფრო ახლოს გავიცნობ ახალ მთავარ მწვრთნელს. ეროვნული გუნდი ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო და ძალიან მინდა, რომ თუნდაც ერთი დღე გავატარო „სკუადრა აძურასთან" ერთად. იმედია, ჩრდილოეთ ირლანდიიდან დადებითი შედეგი დაბრუნდებიან და შესაბამისად, კარგ განწყობაზე დამხვდებიან".*

ბუფონმა პრანდელის ფორმაციის „აძურა" დაახასიათა და შემდეგი განაცხადა: *„პრანდელი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია და ეს ბუნებრივია, თუმცა ამავე დროს, ახერხებს, თითოეული შეხვედრისთვის გუნდი მაქსიმალურად მობილიზებული იყოს და მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლოს. მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი დარტყმა მივიღეთ და თითოეული წარმატებული თამაში ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობ, პრანდელის იტალია უფრო ლაღ და თავისუფალ ფეხბურთს ითამაშებს, რაც აუცილებლად წაადგება გუნდს. ხშირად მესმის, რომ შემოქმედებითი ყაიდის ფეხბურთელები აღარ გვყავს, რასაც არ ვეთანხმები - მხოლოდ კასანოს ხსენება კმარა იმისთვის, რომ სრულიად საპირისპიროში დარწმუნდე. ერთი სიტყვით, პირადად მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი".*

ამასობაში, იტალიურ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ბუფონის გადაბირებით „მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული. ამასთან დაკავშირებით, კომენტარი კიპერის პირადმა აგენტმა **სილვანო მარტინმა** გააკეთა: *„ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან ვრცელდება ასეთი უსაფუძვლო ინფორმაციები. ბუფონი ტრავმირებულია და კიდევ მინიმუმ სამი თვის განმავლობაში ვერ დაბრუნდება მოედანზე. ამასთან, მიმდინარე სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის" საუკეთესო ფეხბურთელად ედვინ ვან დერ სარი მიიჩნევა. ასე რომ, ვერავითარ ლოგიკას ვერ ვხედავ იმაში, რომ ინგლისური გრანდი ჩემი კლიენტის გადაბირებით იყოს დაინტერესებული. თავისთავად, ბუფონის დარ მეკარეზე უარს არც ერთი გუნდი არ იტყოდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რაიმე გარიგებაზე ლაპარაკი სრული აბსურდია. ყველა სიკეთესთან ერთად, ჯიჯი ტურინში თავს შესანიშნავად გრძნობს და არსად წასვლის სურვილი არ აქვს".*

და კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ასევე ბუფონს უკავშირდება. როგორც

ჯანლუიჯი ბუფონი


იცით, ამჟამად იტალიის ეროვნულ ნაკრებში სამი კიპერია გამოძახებული: **ემილიანო ვივიანო, ანტონიო მირანტე** და **სალვატორე სირიგუ**. „გაძეტას" ჟურნალისტი სამივე მათგანს გაესაუბრა და ჰკითხა, შესწევთ თუ არა ძალა, ბუფონს კონკურენცია გაუწიონ. გავეცნოთ სამივეს პასუხს...

**ემილიანო ვივიანო (ბოლონია):** *„ბუფონისთვის კონკურენციის გაწევა წარმოუდგენლად მიმაჩნია, რადგან ის მარადონაა მეკარეებს შორის. ჩემი აზრით, ჯიჯი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო კიპერია და თავს ვერაფრით გავუტოლებ. ისე კი იტალიაში არაერთი ახალგაზრდა და ნიჭიერი მეკარეა, რომლებსაც მომავალში ბევრის მიღწევა შეუძლიათ. ჩვენი მიზანია გულშემატკივრებს ერთი რამ დავანახოთ - ბუფონს რამდენიმე ძალიან კარგი და საიმედო მეკარე უმაგრებს ზურგს".*

**ანტონიო მირანტე (პარმა):** *„რას ამბობთ, ბუფონისთვის კონკურენციის გაწევა შეუძლებელია. პირადად მე შეგუებული ვარ იმ აზრს, რომ სანამ ჯიჯი ფეხბურთს ითამაშებს, თუ ჯანმრთელად იქნება, ნაკრების კარს სწორედ ის დაიცავს. სრულიად სამართლიანადაც, რადგან მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა. ჯიჯი ჩემთვის სტიმულია და არა კონკურენტი, მინდა მივბაძო და ისეთივე სრულყოფილი ვიყო, როგორიც თავად არის. მხოლოდ დიდი შრომით მიიღწევა ეს და თავს ნამდვილად არ ვზოგავ".*

**სალვატორე სირიგუ (პალერმო):** *„უნდა ჩავხედოთ სიმართლეს თვალებში და ვთქვათ, რომ ჩვენ ყველანი მეორეობისთვის ვიბრძვით. ბუფონი არა თუ იტალიაში, მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა და მასთან კონკურენცია ასე იოლი არაა. ჩემი ვალია, თუ შანსი მომეცემა და „აძურას" ძირითად შემადგენლობაში მოვხვდები, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. იმედია, ეს გამომივა კიდეც".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## რათა ერთმანეთი არ დახოცონ...

საფრანგეთის ჩემპიონატის XII ტურის მატჩი შეზღუდული რაოდენობის მაყურებლის თანდასწრებით გაიმართება. ლაპარაკი პარიზის „პარკ დე პრენსზე" 7 ნოემბერს პსჟ-სა და „მარსელს" შორის გასამართი მატჩის შესახებ.

საქმე ის არის, რომ პარიზელი და მარსელელი საფეხბურთო ფანები ანტაგონისტები არიან და მათი სათაყვანებელი გუნდების თითქმის ყოველი შეხვედრა გულშემატკივართა მასობრივი თავპირისმტვრევით გვირგვინდება ხოლმე.

ჰოდა, გათვალისწინებით იმისა, რომ ამ გუნდების მატჩების მსვლელობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხშირად შეუძლებელი ხდება, საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობა უკიდურეს ზომაზე წავიდა და 7 ნოემბერს „პარკ დე პრენსის" ტრიბუნებზე მაყურებელთა რიცხვი ჩვეულზე მრავალი ათასით ნაკლები იქნება.

## შვარცერი საუკეთესო ავსტრალიელია




ავსტრალიის 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისური „ფულჰემის" გოლკიპერი **მარკ შვარცერი** დასახელდა. საინტერესოა, რომ წლის ბოლომდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ შვარცერი კონკურენტებს იმდენად დიდი უპირატესობით უსწრებს, რომ ნოემბერ-დეკემბერს ამ გამოკითხვისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგა და გამარჯვებულიც ოქტომბერში გამოცხადდა.

მარკ შვარცერი 38 წლისაა და ავსტრალიის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული ზედიზედ მეორედ მიიღო. ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ აღიარებული ავსტრალიელი „ფულჰემში" გადასვლამდე 11 სეზონის განმავლობაში „მიდლსბროს" კარს და ღირსებას იცავდა, ხოლო თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში შვარცერმა 80 მატჩი ჩაატარა.

## ბექჰი რონალდინიოს კალიფორნიაში უხმობს

„გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, **დევიდ ბექჰემი** თავის ამერიკულ კლუბში „მილანის" გამთამაშებელ **რონალდინიოს** უხმობს, ვისთანაც „როსონერიში" იჯარით ორგზის ყოფნის შემდეგ მეგობრობს. „ლოს ანჯელეს გელექსი" ბრაზილიელ ვირტუოზს 2014 წლამდე კონტრაქტს სთავაზობს და გასამრჯელოდ ყოველწლიურ 8 მილიონ ევროს ჰპირდება.

ალსანიშნავია, რომ „მილანს" რონალდინიოსთვის ახალი კონტრაქტი დღემდე არ შეუთავაზებია. უფრო მეტიც, მილანელებს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ხაზი ჩამოუყალიბდათ და რონალდინიოს დაკარგვა მას მაინცდამაინც არ დაასუსტებს, ხოლო გუნდის სახელფასო ფონდს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

**სლავა გასპაროვი**

უცხოური ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები



დანი ალვეშმა ირანთან თავი გამოიჩინა

# ირანი იოლი ლუკმა გამოდგა, არგენტინას ფეხი დაუცდა

**ირანი-ბრაზილია 0:3**

**ბრაზილია:** ვიქტორი - დ. ალვეში, დავიდ ლუისი, ტიაგო სილვა, ანდრე სანტოსი - ლუკასი (81. ვესლი), რამირესი (67. სანდრო), კარლოს ედუარდო - რობინიო (67. ნილმარი), პატო, კოუტინიო.

**გოლები:** 0:1 დ. ალვეში (14), 0:2 პატო (67), 0:3 ნილმარი (90)

აბუ-დაბიში ისტორიაში პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბრაზილიისა და ირანის ნაკრებები, საფეხბურთო ძალები აშკარად არათანაბარი გამოდგა - პირველ ტაიმში **დანი ალვეშის** შედეგიან საჯარიმო დარტყმას, მეორეში **ალექსანდრე პატოსა** და **ნილმარის** გოლები მოჰყვა - 3:0. მაგრამ, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად წარმართულიყო, მე-5 წუთზე **მოჰამად ლოლამის** გოლი მსაჯებს ოფსაიდის გამო რომ არ გაეუქმებინათ. ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, იყო თუ არა წესების დარღვევა, ძნელია.

მე-14 წუთზე „ბარსელონას" მარჯვენა მცველმა დანი ალვეშმა საჯარიმო ბრწყინვალედ შეასრულა, ბურთი ირანელთა კარის მარცხენა მაღალ კუთხეში გავიდა. სულ მალე პატოს ორამდე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მისი დარტყმული აზიელებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. მე-20 წუთზე **რობინიომ** მეტოქის ძელი „შეანუხა". მოკლედ, პენტაკამპეონთა უპირატესობა აშკარა იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ირანელებმა კინაღამ გაათანაბრეს - **ჯავან ნეკუნამმა** ახლო მანძილიდან ბრაზილიელთა კარის ძელს გაარტყა, **რამირესმა** კი სწრაფად განმუხტა სიტუაცია. 69-ე წუთზე პატომ მეკარე **მეჰდი რაჰმატის** აჯობა, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში კი თავი ნილმარმა გამოიჩინა, „ვილიარეალის" ფორვარდმა მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს მიუსწრო და ირანელთა რბევას წერტილი დაუსვა - 3:0.

ამ მატჩში სანაკრებო კარიერა დაასრულა ნახევარმცველმა **კარიმ ბაგერიმ**, რომელმაც ირანის ნაკრების მაისურა 87 თამაშში მოირგო და 50 გოლი გაიტანა.

**მანო მენეზესი (ბრაზილია):** *„მეორე ტაიმში ტაქტიკურ ცვლილებებს მივმართე, რადგან შეტევაში გვიჭირდა. კოუტინიო იზოლირებული იყო, ხოლო რობინიო მეტისმეტად ფლანგიდან უტევდა. ვფიქრობ, შეცვლებმა გაამართლეს".*

**იაპონია-არგენტინა 1:0**

**არგენტინა:** ანდუხარი - დემიკელისი, გ. მილიტო, ბურდისო (64. ლავესი), ჰაინცე - დი მარია, მასკერანო (46. კამბიასო), სოსა (46. ბოლატი) - მესი, ტევესი, დ. მილიტო (33. იგუაინი).

**გოლი:** 1:0 ოკაზაკი (18)

**სერხიო ბატისტამ** ნაკრების მესაჭის რანგში პირველი მარცხი იწვნია - იაპონიის ნაკრებმა არგენტინას მინიმალური სხვაობით მოუგო - 1:0. მე-18 წუთზე **შინჯი ოკაზაკიმ** კონტრშეტევაზე იხეირა. ამის შემდეგ იაპონელებმა უნაკლოდ ითამაშეს დაცვაში და **ლეო მესის** და კომპანიას საპასუხო გოლი არ გაატანინეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დიდ დაპირისპირებათა ისტორიიდან

# ფრანგული კლასიკა

**თითოეულ საფეხბურთო ქვეყანაში არსებობს დერბი, რომელიც ადგილობრივ გულშემატკივრებში დიდ ემოციებსა და ინტერესს იწვევს. საფრანგეთში ასეთი მატჩი „ოლიმპიკ დე მარსელის" და „პარი სენ-ჟერმენის", ანუ უფრო მარტივად „მარსელისა" და პსჟ-ს დაპირისპირებაა. გალიაში ამ გუნდების ორთაბრძოლას „დერბების დერბისა" და „კლასიკას" უწოდებენ. მეტსახელები სრულიად სამართლიანადაა შერჩეული - ერთმანეთს ხომ საფრანგეთის ორი ყველაზე დიდი ქალაქის, პარიზისა და მარსელის კლუბები „ეომებიან". „კლასიკა" განსაკუთრებით პოპულარული 80-იანი წლების დასასრულს გახდა, რადგან აშკარა იყო, მეტოქე ფეხბურთელები ერთმანეთს აღარ ინდობდნენ და მათი აგრესია გულშემატკივრებსაც გადადებული ჰქონდათ. რა თქმა უნდა, მტრული დამოკიდებულება დღემდე გრძელდება და დერბის დროს სამართალდამცავებს მუშტიკრივის თავიდან ასაცილებლად დიდი ძალისხმევა სჭირდებათ. თუმცა უსიამოვნო ინციდენტები მაინც ხდება. დღევანდელ ნომერში სწორედ ამ საინტერესო დაპირისპირების შესახებ უნდა გიამბოთ...**

## ისტორია

განსხვავებით „მარსელისგან", რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს, პსჟ საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია. თავად განსაჯეთ - პარიზულ კლუბს დაარსებიდან 40 წელი ახლახან შეუსრულდა. ზღვისპირელ გულშემატკივრებს ეს ფაქტი თითზე აქვთ დახვეული და მოწინააღმდეგე მხარეს მწარედ დასცინიან. საერთოდაც, საფრანგეთში პარიზი გულზე დიდად არ ეხატებათ და შესაბამისად პსჟ-ს ძირითადად დედაქალაქის მცხოვრებლები ქომაგობენ...

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, პარიზულმა კლუბმა მალევე მოიკრიბა ძალები და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 80-იანი წლების დასასრულს, ქვეყნის საუკეთესო კლუბის, „მარსელის" ყველაზე საშიში მეტოქე გახდა. იმ დროისთვის პარიზელები ჩემპიონატის ერთხელ და თასის ორჯერ მოგებით იწონებდნენ თავს. გალიაში ნელ-ნელა ყველა შეეგუა იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი პრესტიჟული ტიტულის მოგების რეალური პრეტენდენტი მხოლოდ ეს ორი გუნდი იყო...

1988/89 წლების სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატში მეტად საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. სატურნირო ცხრილს 70-70 ქულით „მარსელი" და პსჟ ლიდერობდნენ, ბოლო ტურში კი ერთმანეთს ხვდებოდნენ. გადამწყვეტი მატჩი ზღვისპირელთა „ველოდრომზე" (ასე ჰქვია მარსელის სტადიონს) გაიმართა. მთელი შეხვედრა უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა და ფეხბურთელები ერთმანეთის კარის დალაშქვრას ვერაფრით ახერხებდნენ. სწორედ მაშინ, როცა მსაჯის საფინალო სასტვენს აღარაფერი აკლდა, ოლიმპიკელთა ნახევარმცველმა **ფრანკ სოზემ** გოლი შეაგდო და „მარსელი" გაანჩემპიონა.

ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ პარიზელებმა კვლავ დიდი სირცხვილი ჭამეს. ჩემპიონატში გასამართი მორიგი დერბის წინ პსჟ-ს პორტუგალიელმა მწვრთნელმა, **არტურ ჟორჟემ** მავან ჟურნალისტთან განაცხადა - მეტოქეს გადავურბენთო. გაბრაზებულმა „ოლიმპიკის" პრეზიდენტმა **ბერნარ ტაპიმ** სტატია ამოჭრა და ფეხბურთელებს საძინებელ ოთახში გაუკრა. შედეგად, ზღვისპირელებმა პარიზიდან 3 ქულა წამოიღეს...

ყველაზე ხმაურიანი ამბავი კი 1993 წლის 29 მაისს მოხდა. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულ „მარსელს" ქვეყნის პირველობაზე პსჟ-თან გადამწყვეტი მატჩი ჰქონდა გასამართი და მოგების შემთხვევაში ოქროს მედლებს ინაღდებდა. გუნდმა მისია დიდებულად შეასრულა და მოძულე მეტოქე 3:1 დაამარცხა. თუმცა რამდენიმე დღეში კლუბის პრეზიდენტი ბერნარ ტაპი საფრანგეთის პირველობისა და ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე მატჩის ჩაწყობაში ამხილეს და შედეგად - „მარსელს" ორივე ტიტული ჩამოართვეს. ამასთან, მეორე დივიზიონშიც დააქვეითეს. წესითა და რიგით, ოქროს მედლები მეორეადგილოსან პსჟ-ს უნდა რგებოდა, მაგრამ... ავტორიტეტულმა და „ოლიმპიკის" პროტეჟე ტელეარხმა, „კანალ+"-მა თავისი აქტიური პროტესტით ფეხბურთის ფედერაციას ამის გაკეთების უფლება არ მისცა.

მთავარი კონკურენტის ჩამოშორების შემდეგ უკვე დედაქალაქელთა ჯერი დადგა. წარმატებულ სვლას მწვრთნელის პოსტზე **ლუის ფერნანდესის** მისვლამაც შეუწყო ხელი. 1996 წლის 8 მაისს პსჟ ყველაზე ახალგაზრდული ევროპული გუნდი შეიქნა, რომელმაც საერთაშორისო ტროფეი მოიგო. მაშინ დედაქალაქელებმა **იური ჯორკაეფის** ლიდერობით თასების მფლობელთა თასის ფინალში ვენის „რაპიდი" დაამარცხეს. ფერნანდესიც პირველი ფრანგი მწვრთნელი გახდა, რომელმაც ქვეყნის გარეთ მოიგო ტიტული. 1999 წელს კი პარიზელებმა დიდხნიანი პაუზის შემდეგ დერბიში გამარჯვებითაც გაიხარეს, როცა „მარსელს" 2:1 სძლიეს. წაგება „მარსელს" ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდა და პსჟ-ს ბანაკშიც წარმატება განსაკუთრებულად იზეიმეს.

ამის შემდეგ 2004 წლამდე ყველა დერბი პარიზელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. 2006-ში პსჟ-მ კვლავ მწარე სილა გააწნა მეტოქეს. „კლასიკა" საფრანგეთის თასის ფინალში გაიმართა. დედაქალაქელები ჩემპიონატის გასავარდნ ზონაში იმყოფებოდნენ, „მარსელი" კი ევროსაგზურისთვის იბრძოდა და შესაბამისად, თასის ფინალის ფავორიტად მოიაზრებოდა. თუმცა პროგნოზი არ გამართლდა და **ვიკაშ დორასოს** მიერ 25 მეტრიდან შეგდებული ლამაზი გოლით გამარჯვება პსჟ-ს დარჩა.

## საინტერესო ფაქტები

დღეისათვის საფრანგეთის ყველაზე პოპულარული კლუბი „მარსელია". მას ფრანგი გულშემატკივრების 20% ქომაგობს. 11-11 პროცენტით მეორე ადგილზე პსჟ და „ლიონი" არიან. ამ სამეულს შორის ამჟამად ფინანსურად ყველაზე ძლიერი „ლიონია".

2008/09 წლების სეზონში „მარსელის" საშინაო მატჩებს საშუალოდ 52 276 ადამიანი ესწრებოდა, ხოლო პსჟ-ს შეხვედრებს 40 902.

1994 წელს ფეხბურთის ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო დეპარტამენტმა პსჟ-ს საკლუბო რეიტინგში პირველი ადგილი არგუნა. 96-ში კი დედაქალაქელებმა უკვე უეფას მიერ შედგენილ რეიტინგში იპირველეს. საყურადღებო ისაა, რომ პარიზული კლუბი ერთადერთია სამშობლოში, რომელმაც ამ შედეგს მიაღწია.

## ინციდენტები

დერბის დროს მეტოქე გულშემატკივრებს შორის ჩხუბი ხშირია. პოლიცია წესრიგის დასამყარებლად ყველა ღონეს ხმარობს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს. თქვენი ნებართვით, ყველაზე საინტერესო ინციდენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**11 აპრილი, 1995 წელი:** საფრანგეთის თასის ნახევარფინალში მომხდარი დებოშისას 146 გულშემატკივარი დაიჭირეს, ხოლო 9 პოლიციელი ჰოსპიტალში გადაიყვანეს;

**13 ოქტომბერი, 2000 წელი:** „მარსელის" 18 წლის გულშემატკივარს „პარკ დე პრენსზე" პარიზელი ფანების სექტორთან ახლოს ერგო სკამი. მეტოქე ფანებმა მას ისე სცემეს, რომ საწყალ ბიჭს ტვინი დაუზიანდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა;

**26 ოქტომბერი, 2002 წელი:** დაიჭირეს 62 გულშემატკივარი;

**9 მარტი, 2003 წელი:** 27-მა ადამიანმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო;

**29 აპრილი, 2006 წელი:** 2 ადამიანი გარდაიცვალა.

**გიორგი ნიქაბაძე**



პსჟ-სა და მარსელის ფანების ქუჩური დაპირისპირება ჩვეულებრივი ამბავია

ამბები

## აეკ-ს ხიმენესი მიუჩინეს

ბერძნული აეკ-ის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც გუნდის მთავარ მწვრთნელად **მანოლო ხიმენესი** დაინიშნა. 46 წლის ესპანელი შაბათს ათენს ეწვევა და კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. სავარაუდოდ, ხიმენესი აეკ-ში 2012 წლის ზაფხულამდე იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ მანოლო ხიმენესმა მთელი სპორტული კარიერა (1981-1997) „სევილიაში" გაატარა და მწვრთნელობაც ანდალუსიურ კლუბში დაიწყო - 2007 წელს ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. აეკ-ში კი ხიმენესი **დუშან ბაევიჩს** შეცვლის, რომელმაც კლუბი ცუდი შედეგების ფონზე დატოვა.

## ფრანგებს ფსიქოლოგი დაეხმარება

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ლორან ბლანის** თქმით, გუნდთან პროფესიონალი ფსიქოლოგი იმუშავებს, რომელიც შიდა ატმოსფეროს დააკვირდება.

*„ეს სპეციალისტი ადამიანურ ურთიერთობებში გარკვევაში დაგვეხმარება. თითოეული ფეხბურთელის შესახებ რაც შეიძლება მეტი უნდა ვიცოდე"*, - თქვა ბლანმა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ინფორმაციით, სამშაბათს ფსიქოლოგი ფეხბურთელებს წარუდგინეს, ხოლო ეროვნულ გუნდში ეს სპეციალისტი ნაკრების ექიმის **ფაბრის ბრიანის** ხელმძღვანელობით იმუშავებს.

## ბლატერს კონკურენტი გამოუჩნდა

ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა **ჩუნ მონ იუნმა** განაცხადა, რომ 2011 წლის მაისში ორგანიზაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

*„აქამდე პრეზიდენტობაზე არასდროს დავფიქრებულვარ, მაგრამ ეტყობა ამის დროც მოვიდა. ასეთ ორგანიზაციაში ჯანსაღი კონკურენცია აუცილებლად უნდა არსებობდეს. თუმცა, არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და კონკრეტიკაზე საუბარი ნაადრევია"*, - თქვა სამხრეთკორეელმა საფეხბურთო ჩინოვნიკმა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ფიფას ბოლო 12 წლის განმავლობაში შვეიცარიელი **ზეპ ბლატერი** თავკაცობს, ვინც ამ პოსტზე 1998 წელს ბრაზილიელი **ჟოაო აველანჟი** შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში




# რიხით დაიწყეთ

საქართველოს გუნდებმა ფრიად წარმატებული სტარტი აიღეს თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დაწყებულ ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში - საჭიდაოდ გასულმა ექვსივე ქართველმა მედალი მოიპოვა. აქედან სამი ოქროა და ამდენივე - ბრინჯაო. ჯერჯერობით უფრო ჭაბუკებმა იყოჩაღეს - მათი მონაგარი ორი ოქრო და ერთი ბრინჯაოა. მათგან მსოფლიოს ჩემპიონები ფოთელი **გიორგი კაცია** (60) და კასპელი **შმაგი შარიფაშვილი** (75) გახდნენ, ქუთაისელი **ლერი ჯიხვაშვილი** (48) კი მესამეზე გავიდა. ახალგაზრდებში ჩემპიონობა ახმეტელმა **ვახტანგ სარაჯიშვილმა** (82) მოიპოვა, ბრინჯაო კი ფოთელმა **გივი ნადარეიშვილმა** (48) და გორელმა **გიორგი ტაბატაძეს** (62) ირგუნეს.

ჩემპიონატში 23 ქვეყნის გუნდი გამოდის. არადა, ორგანიზატორები ცოტა მეტს ელოდნენ. საბედნიეროდ, მასპინძლებმა საორგანიზაციო საკითხებსაც გაართვეს თავი და სტუმართა მიღება-დაბინავების, სასტუმროებსა თუ საშეჯიბრებო ადგილას მათ გადაადგილებაში შეფერხებები არაა, მაგრამ უშუალოდ სპორტის სასახლეში ცოტა მეტია საჭირო - არაა პრესცენტრი, აქა-იქ მედალოსანთა დროშებიც აერიათ...



მსაჯობას რაც შეეხება, ვერ ვიტყვით, რომ გვჩაგრავენ, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც იყო იმდენად გაუგონარი არაობიექტურობა, ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე** ლამის ლეიბზე შევარდა, მაგრამ ამაოდ. მიკერძოების რამდენიმე შემთხვევა სხვათა შეხვედრებშიც იყო, თუმცა მთლიანობაში მსაჯობას არაობიექტური არ ეთქმის და ნამდვილად არ არის ისეთი მიკერძოება, ტურნირის ხარისხზე იმოქმედოს.

გიორგი კაციამ სულ სამი შეხვედრა გამართა და ყველა დამაჯერებლად მოიგო - ლიტველი **ანდრიუს ბონდაროვასი** ქულათა დიდი უპირატესობით დაამარცხა, უზბეკი **სარბონ ენაზაროვი** კი მტკივნეულზე დაიჭირა. ფინალში ბელარუს **სიარხეი უშივეცს** მხოლოდ 2:0 მოუგო და არა დიდი ანგარიშით, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა შეხვედრის მიმდინარეობა და გამარჯვებულის უპირატესობა ანგარიშში არ აისახება. კაცია მთელი შეხვედრის განმავლობაში აკონტროლებდა ორთაბრძოლის მიმდინარეობას და მტკიცედ ეპყრა ხელთ სადავეები. მან ორჯერ გააკეთა თითოქულიანი გდება, მეტოქეს კი ქულის ალების ერთი რეალური შანსიც არ ჰქონია. ჩვენებურმა სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა.

დამაჯერებლად იპირველა შარიფაშვილმაც, რომელმაც ჩემპიონატი მტკივნეულით დაიწყო - ტაჯიკ **აზიმდზონ ბეგიდზონოვთან**, უკრაინელ **ალექსანდრ კალინჩიკს** და ბელარუს **ტსიმაფეი ემელიანოვს** კი ქულებით აჯობა. ფინალში მისი მეტოქე რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველი **გიორგი კორელი** იყო, რომელსაც გვარი იქაურებმა გადაუკეთეს, თორემ ისე **ქარელია**. თუმცა, მისი წარმომავლობა იქით იყოს, ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ შარიფაშვილმა საკმაოდ იოლად მოუგო - 2:0.

ჭაბუკთა ნაკრების ბრინჯაოს მედალოსანმა ჯიხვაშვილმა პირველივე შეხვედრა წააგო მომავალ ჩემპიონთან, სომეხ **გრიგორ მხითარიანთან**, თუმცა მცირე სხვაობით - მეტოქემ აქტიურობით მოიგო. ამ წონაში ძალიან ცოტა მონაწილე გამოდიოდა და ჩვენებურმა სანუგეშოში პირდაპირ ბრინჯაოსთვის იჭიდავა - რუსი **ეზენ კუიკოვი** 4:1 დაამარცხა.

ლირსეული ჩემპიონი ჰყავს ახალგაზრდულ ნაკრებსაც — სარაჯიშვილი, მაგრამ მისი მისამართით ერთი რჩევაც გვექნება - ტექნიკური მხარე ბევრად უნდა დახვეწოს. კონკრეტულად დამამთავრებელ ფაზას, გდების მომენტს ვგულისხმობთ, თორემ ილეთზე კარგად შედის. ამ მხრივ თითქოს პრობლემა არ აქვს, მაგრამ გდებას მთლად დახვეწილად ვერ აკეთებდა. ფინალში უკრაინელი **იური სკრიპალი** ერთხელ ჰაერშიც აიტაცა და თითქოს წმინდა მოგებას წინ არაფერი ედგა, მაგრამ უხეიროდ გადააგდო და ქულაც ვერ მიიღო. სამწუხაროდ, მსგავსი ხარვეზები იმ ორთაბრძოლაში კიდევ იყო, არადა, მთელი შეხვედრის განმავლობაში ლეიბზე ჩვენებური დომინირებდა, ძალიან დიდ უპირატესობას ფლობდა და მეტოქე გამუდმებულ წნეხში ჰყავდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მას ქულის მოპოვება ნებისმიერ წამს შეეძლო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხა. არასრულყოფილი გდება, გარდა იმისა, რომ არც შენ გაძლევს ხეირს, ძალზე ხშირად შენთვისვე ხდება ხაფანგი და კონტრილეთის საფუძველი. სარაჯიშვილსაც ასე დაემართა - უკრაინელმა ერთ მომენტში მისი დაწყებული გდება დახურა და ანგარიშიც გაათანაბრა, თუმცა ჩვენებური იმხელა უპირატესობას ფლობდა, ალბათ, შეხვედრის მიწურულს მომხდარი სავსებით ლოგიკურია - სარაჯიშვილმა ფეხი ისე ჩაუხვია მტკივნეულზე, მეტოქემ დანებების ნიშნად სასწრაფოდ დაჰკრა ხელი ლეიბს. არადა, იმ მომენტში მოვლენათა ასეთ განვითარებას თითქოს არაფერი მოასწავებდა. ეს იმდენად ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო, მეგონა, მსაჯი შეხვედრას შეაჩერებდა და მეტოქეებს ჩოქბჯენიდან წამოაყენებდა, მაგრამ სარაჯიშვილმა მოვლენებს წამიერად დაასწრო. ფინალი მის მიერ წმინდად მოგებული ერთადერთი შეხვედრა იყო - მას ქულების მოპოვება სხვა შეხვედრებშიც გაუჭირდა და დიდი მარაგი არც სხვებში დაუგროვებია. წინასწარ შეხვედრებში მან ბელარუსი **ალექსეი კუშნირი**, ყაზახი **მარეკ ტურაშევი** და რუსი **დინარ შაფიგულინი** დაამარცხა.

ალბათ, გუშინდელი შეხვედრებიდან მსაჯებმა თუ ვინმე დაგვიჩაგრეს, უპირველესად - ნოზაძე მომავალ ფინალისტთან, ყაზახ **ბალდატ ზარილგასოვთან**. ეს შეხვედრა ჩვენებურმა 1:2 დათმო, მანამდე კი ქულებით დამაჯერებლად მოუგო უზბეკ **სიროზიდინ ობიდოვს**, იაპონელ **ტაკამიცუ მაცუის** და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ტაჯიკ **კარიმდოდ უბაიდოვთან**.

გუშინ რუსებთან ერთადერთი შეხვედრა ნადარეიშვილმა დათმო - მომავალ ჩემპიონ **სერგეი ივანოვთან**. გუშინვე ერთმა ჩვენებურმა ქალთა ტურნირშიც იჭიდავა, მაგრამ უშედეგოდ - **ნინო მარტიაშვილი** ძირითადში ესტონელ **ნატალია რაკისთან** დამარცხდა, სანუგეშოში - მოლდოველ **დორინუ მიხაილოვიჩთან**.

დღეს ჭაბუკებში ჩვენგან **გიორგი საჩალელი** (52), **გოჩა ვარძელაშვილი** (65), **ბექა რატიანი** (81), **სლავა რეზესიძე** (+87), **სოფო ბერიძე** (56), **თეა სუხიტაშვილი** (70) და **ელენე ქებაძე** (+75) იჭიდავებენ, ახალგაზრდებში - **ვაჟა ლატარია** (52), ), **ზვიად კაპანაძე** (68), **ზაზა დავაძე** (90), **ლევან მუქერია** (+100), **დარინა აბულაძე** (48), **ნინო ოძელაშვილი** (70) და **თამარ ლომიძე** (+78), დანარჩენები კი ხვალ იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**კვარცხლბექი.**

**ჭაბუკები. 48 კგ.** 1. გრიგორ მხითარიანი (სომხეთი), 2. ზტსკენბი ბოლატბაევი (ბელარუსი), 3. **ლერი ჯიხვაშვილი (საქართველო)**, ტუგულდორ ერდენეცი (მონღოლეთი).

**60 კგ. 1. გიორგი კაცია (საქართველო)**, 2. სიარხეი უშივეცი (ბელარუსი), 3. სარბონ ენაზაროვი (უზბეკეთი), არტურ ტე (ყაზახეთი).

**75 კგ. 1. შმაგი შარიფაშვილი (საქართველო)**, 2. გიორგი კორელი (რუსეთი), 3. ტსიმაფეი ემელიანოვი (ბელარუსი), მკხერ კარაპეტიანი (სომხეთი).

**ახალგაზრდები. 48 კგ.** 1. სერგეი ივანოვი (რუსეთი), 2. ფუენტეს კასტელანოსი (ვენესუელა), 3. **გივი ნადარეიშვილი (საქართველო)**, ალი გიულიევი (აზერბაიჯანი).

**62 კგ.** 1. ვაე ტუტხალიანი (ბელარუსი), 2. ბალდატ ზარილგასოვი (ყაზახეთი), 3. **გიორგი ტაბატაძე (საქართველო)**, ვუგარ მამადოვი (აზერბაიჯანი).

**82 კგ. 1. ვახტანგ სარაჯიშვილი (საქართველო)**, 2. იური სკრიპალი (უკრაინა), 3. დინარ შაფიგულინი (რუსეთი), სუნნატულა აზიზოვი (უზბკეთი).

წყალბურთი

# მომდევნო ეტაპის საგზური დაიბევეს

თბილისში ლენტროფის საკვალიფიკაციო ასპარეზობის მეორე დღეს მასპინძლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის გაერთიანებული გუნდი „ლიგამუსი-თბილისი“ ევროტურნირის მომდევნო ეტაპზე გასასვლელი საგზურისთვის უმთავრეს კონკურენტს - თურქეთის ენკა-ს უნდა დაპირისპირებოდა. მართალია, შეჯიბრების სტარტმა გვიჩვენა, რომ სტამბოლელები ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდნენ, თუმცა, გამორიცხული არ იყო, მთელი ძალების მობილიზება სწორედ ჩვენებურებთან მატჩში მოეხდინათ, რომ მომდევნო რაუნდში გასვლის შანსი ხელიდან არ გაეშვათ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ერთია სურვილი და მეორე - შესაძლებლობა...

ოლიმპიკის აუზი, 8 ოქტომბერი, 12.30

**ლიგამუსი/თბილისი (საქართ.)-ენკა სტამბოლი (თურ.)**
**21:3 (5:1, 4:1, 6:1, 6:0)**

ლიგამუსი-თბილისი: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე (5), გურამ კოტარია (2), იოვან პოპოვიჩი (1), მარკო კორდიჩი (3), გიორგი ხვედელიანი (2), რევაზ ჩომახიძე (1), მიხეილ ბალათურია (1), ზურაბ რურუა (კ. 1), კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი (4), ბექა ქავთარაძე (1), იოვან სტრუიჩი, მთავარი მწვრთნელი - ზვიად დავითიანი.

ენკა: კოსი, რენლივანი, იაკიმოვიჩი, დაგდევირენი, ბალთა (3), ერგინი, აკიარი, აკსელიკი, გოკპინარი, თუნკერი, გოკსუ, გედიკი, ბაიარი, მთავარი მწვრთნელი - ემლე ვერი.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ თურქებთანაც მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო და პირველივე წუთებზე **მარკო კორდიჩმა** ზედიზედ ორი გოლით თანაგუნდელები დააწინაურა, გაქართველებულ ხორვატს მალე **რევაზ ჩომახიძემაც** აუბა მხარი და ანგარიში სამამდე გაზარდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ სტუმრები და **ბალთამ** ერთი ბურთი გაქვითა, რასაც პირველი პერიოდის ბოლომდე ჩვენი ბიჭების კიდევ ორი გოლი მოჰყვა.

პაექრობის მეორე მეოთხედში ენკას წყალბურთელებმა აქტიურად შეუტიეს **ზურაბ ჭუმბურიძის** კარს და მე-2 წუთის მიწურულს ისევ ბალთამ გამოიჩინა თავი — 5:2. მეტი საგოლე მომენტი თურქებს არ შეუქმნიათ, სამაგიეროდ, მასპინძლებმა კოსს ოთხჯერ გამოატანინეს ბურთი ბადიდან. შესვენების შემდეგ „ლიგამუსი-თბილისის“ უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და მასპინძლებმა საბოლოოდ 21:3 გაიმარჯვეს, რითაც მომდევნო ეტაპზე გასასვლელი საგზური, ფაქტობრივად, გაინაღდეს. „სასიამოვნოა, რომ ზედიზედ ორ წარმატებას მივაღწიეთ, უმთავრეს კონკურენტებს ვძლიეთ, ცხადია, სხვა მატჩებშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთიანი გუნდის ჩამოყალიბების შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის მემორანდუმმა გაამართლა. დიდი შრომა გასწიეს საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, კერძოდ, ალექსანდრე ბითაძემ და გია ნაცვლიშვილმა, რომ ეს გამარჯვება შემდგარიყო. ცხადია, ვერც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომას დავივიწყებთ. ჩვენი ბიჭები საერთაშორისო ტურნირებში თამაშის გამოცდილებას შეიძენენ და კვლავაც ეცდებიან, ქომაგები გაახარონ“, — გვითხრა თურქებთან მატჩის შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის“ პრეზიდენტმა **სერგო რატიანმა.**

აქვე გაუწყებთ, რომ მეორე ტურის დანარჩენ მატჩებში ფავორიტებმა იმარჯვეს: ჰონვედი (უნგრეთი)-ასა (ისრაელი) 18:5 (6:1, 5:2, 3:1, 4:1), პოსილიპო (იტალია)-ოლიმპიკი (საფრანგეთი) 11:6 (4:0, 2:4, 2:1, 3:1). მესამე ტურის პაექრობები გუშინ საღამოს გაიმართა.

>> მე-10 გვერდზე

● საპარლამენტო კომიტეტში

# სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები განიხილეს

მას შემდეგ, რაც „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ევროპული მოდელის ეროვნული პროგრამა“ შემუშავდა, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) სპორტის განვითარების ექსპერტთა საბჭოს (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) გუშინდელ სხდომაზე ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები განიხილეს.

ვაჟა შუბლაძემ ღრმად გააანალიზა განსახილველი თემა. დოკუმენტში კონკრეტულადაა გაწერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამოქმედო გეგმები და რეკომენდაციები შესრულების ვადებით. ამასთან, ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სპორტული ნაგებობების ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ბავშვთა და მოზარდთა სპორტის ეროვნული საშეჯიბრო სისტემის ჩამოყალიბებას, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების და მწვრთნელთა მომზადება-გადამზადების უზრუნველყოფას, სკოლებში ფიზიკური განათლებისა და სპორტის მასობრივად დანერგვას და ა.შ.

**თენგიზ თომაშვილი**

● წყალბურთი

# მომდევნო ეტაპის საგზური დაიბევეს

ოლიმპიკის აუზი, 8 ოქტომბერი, 20.00.

**ლიგამუსი/თბილისი (საქარ.)–ჰონვედი (უნგრეთი)**

**7:18 (1:7, 1:4, 4:4, 1:3)**

ლიგამუსი/თბილისი: ჭუმბურიძე, ქენქაძე, კოტარია, პოპოვიჩი (1), კორდიჩი (1), ხვედელიანი (1), ჩომახიძე, ბალათურია, რურუა (2), გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (2), ქავთარაძე, სტრუიჩი. მთავარი მწვრთნელი: ზვიად დავითიანი.

ჰონვედი: გერგელი, შეკელი (1), ჰანგორი (2), მატიანი (1), სალამონი (3), ვ. ტოტი, იანშიკი, შივოში (5), ჰარაი (2), გორ-ნაგი (1), მ. ტოტი (3), ლევაი. მთავარი მწვრთნელი: ლაიოშ ვაპი.

« მე-9 გვერდიდან

ლენ ტროფის დებიუტანტ „ლიგამუს-თბილისს“ მესამე ტურში მრისხანე მეტოქე - ბუდაპეშტის „ჰონვედი“ ელოდა. უკვე გაუწყეთ, რომ ამ გუნდის ღირსებას ოლიმპიური თამაშების სამი ჩემპიონი იცავს. უნგრელი წყალბურთელები თავიანთი ქვეყნის 6-გზის ჩემპიონები, 8-გზის თასისა და 2-გზის სუპერთასის მფლობელები არიან. 2003-2004 წლების სეზონში ევროლიგის გათამაშება მოიგეს, სამჯერ მსგავსი შეჯიბრების მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ, ერთხელ სუპერთასი დაისაკუთრეს. ცხადია, ასეთი ტიტულებით დახუნძლული სტუმრები მასპინძლებთან პაექრობაში აშკარა ფავორიტები იყვნენ და ეს მატჩის პირველი წუთებიდანვე გახდა ნათელი. „ჰონვედის“ ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშე შივოშმა დასაწყისშივე პენალტით ანგარიში გახსნა. პოპოვიჩმა მალევე აღადგინა წონასწორობა და „ოლიმპიკის“ ტრიბუნებზე მრავლად მოსულ გულშემატკივარს ერთგვარი იმედიც კი ჩაუსახა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა - უნგრელებმა პირველ პერიოდში კიდევ ექვსი უპასუხო გოლი გაგვიტანეს. მასპინძლებმა მეტოქეს მხოლოდ მე-3 პერიოდში გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა და ის პერიოდი ფრედ-4:4 დამთავრდა. საბოლოოდ „ჰონვედმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა - 18:7. აქვე შეიძლებოდა, მასპინძელთა კარის დარაჯის - **სტრუიჩისა** და მსაჯების (**ნენად გოლიჯანინი** - სერბეთი, **სტეფან ო’ბრიენი** - ირლანდია) მიერ დაშვებულ შეცდომებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, ესენიც რომ არ ყოფილიყო, მატჩის გადარჩენა მაინც შეუძლებელი იქნებოდა. უკეთეს შემთხვევაში, უფრო ნაკლები ანგარიშით წავაგებდით.

გუშინვე მესამე ტურში იტალიის პოსილიპომ ისრაელის ასა დაამარცხა - 16:6 (6:0, 3:2, 4:3, 3:1), ხოლო საფრანგეთის ოლიმპიკმა თურქეთის ენკა-ს სძლია - 16:7 (5:0, 5:1, 2:2 4:4).

სამი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: ენკა-ასა (15:30), „ლიგამუსი/თბილისი“-“ოლიმპიკი“ (17:00), „ჰონვედი“-“პოსილიპო“ (18:30).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონვედი | 3 | 3 | 0 | 0 | 47-14 | 9 |
| 2. პოსილიპო | 3 | 3 | 0 | 0 | 46-13 | 9 |
| 3. ლიგამუსი/თბ | 3 | 2 | 0 | 1 | 46-25 | 6 |
| 4. ოლიმპიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 24-29 | 3 |
| 5. ასა | 3 | 0 | 0 | 3 | 15-52 | 0 |
| 6. ენკა | 3 | 0 | 0 | 3 | 11-56 | 0 |

**ვაჟა დანელია**

● ტურნირი

# Ministerial Cup 2010 დღეს დაიწყება

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებს შორის გასამართი მინიფეხბურთის ჩემპიონატის კენჭისყრა ჩატარდა.

17 გუნდი ოთხ ჯგუფად განაწილდა. ტურნირი დღეს, 16:00 საათზე „სკა“-ს დარბაზში დაიწყება. ჯგუფური ეტაპზე დღეში 6 შეხვედრა გაიმართება. ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაშები 16 ოქტომბერს ჩატარდება, მეოთხედფინალისტები 26 ოქტომბერს ითამაშებენ. 27-ში ნახევარფინალია, 28-ში მესამე ადგილისთვის შეხვედრა და ფინალი.

ღონისძიებას „Ministerial Cup 2010“ ორგანიზატორია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და იგი ტრადიციული გახდება. ტურნირის მიზანია მასობრივი სპორტისა და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

**ირაკლი სამყურაშვილი** — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: *„ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ტურნირი ტრადიციული გახდეს. მხარში გვიდგას მინიფეხბურთის ასოციაცია და ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“. მატჩებს ფიფას მოქმედი არბიტრები მოემსახურებიან. დაწესებულია გარდამავალი თასი გამარჯვებული გუნდისთვის და ფასიანი საჩუქრები გამორჩეული ფეხბურთელებისთვის“.*

**ლადო ვარძელაშვილი** — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: „ სამინისტროებს შორის ასეთი ტურნირის ჩატარება კარგი წამოწყებაა. ერთის მხრივ გავიგებთ თუ რომელია ყველაზე ძლიერი სამინისტრო მინიფეხბურთში და მეორე მხრივ ხელს შევუწყობთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სპორტის ყველასთვის ხელმისაწვდომობას“.

ახლა კი ვნახოთ ვინ რომელ ჯგუფში მოხვდა:

**A-ჯგუფი:** 1. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, 2. ფინანსთა სამინისტრო, 3. ოკუპირებულ ტერიტორიების, იძულებით გადაადგილებულთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო, 4. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული საკითხების სამინისტრო, 5. ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტრო.

**B ჯგუფი:** 1. თბილისის მერია, 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, 3. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 4. კონტროლის პალატა.

**C ჯგუფი:** 1. თავდაცვის სამინისტრო, 2. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 3. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 4. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია.

**D ჯგუფი:** 1. შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2. რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 3. იუსტიციის სამინისტრო, 4. განათლების და მეცნიერების სამინისტრო.



## გოჩა თანდატაშვილის შამათობა

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე არ იწვის და არ დნება. შუადღეა და არც არაფერი იწვის, მართალი გითხრათ, რადგან წვიმაა. რა ვქნა, მთელ მსოფლიოში ისეა მოწყობილი გაზეთის ამბავი, რომ, რასაც ახლა კითხულობთ, ის წინა დღეს იწერება. ამიტომ, მე ახლა არ ვიცი, რა ანგარიშით მოიგო საქართველოს ნაკრებმა მალტასთან, უფრო სწორად, ახლა კი ვიცი, მაგრამ რომ ვწერდი, მაშინ არ ვიცოდი. ასე რომ, წესით რაზეც ყველაზე მეტი უნდა მელაპარაკა, ვერ ვილაპარაკებ და უფრო სხვა ამბებს შევეხები.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში სანაკრებო პაუზის გამო შესვენება გამოცხადდა. სწორედ ამ შესვენების წინ მოქმედი ჩემპიონის რუსთავის “ოლიმპის” მწვრთნელი თემურ მახარაძე გუნდს დაემშვიდობა. თავიდან კი ითქვა, 2 თამაშით შვებულებაში გავიდაო, მაგრამ, ერთი ტურის შემდეგ დაბრუნდა, თუმცა, ცხადი იყო, რომ ეს მისი გუნდიდან წასვლის წინაპირობა გახლდათ. აბა, ვის გაუგია 2 თამაშით შვებულება. ეს უცნაური დრო სხვა სახეობების წარმომადგენლებმა რომ აიტაცონ, რა გამოვა? მოჭადრაკეები გავლენ 2 პარტიით შვებულებაში, ძალოსნები 2 ატაცით შვებულებაში, მეგოლფეები 2 ორმოთი შვებულებაში, მოცურავეები 2 გაცურვით შვებულებაში, და... თანამედროვე ხუთჭიდელებს ვერაფერი მოვუფიქრე.

ქუთაისის “ტორპედომ” კი ნანატრ პირველ გამარჯვებას დროებითი მწვრთნელის **გია გიგატაძის** ხელში მიაღწია, მაგრამ ახალ მწვრთნელს მაინც ეძებენ. ეძებენ, რა თქმა უნდა, ქართული მეთოდით. ისრაელში მომუშავე **გიორგი დარასელიამ** განაცხადა, დამიკავშირდა ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი და მკითხა - რამე რომ იყოს, ჩვენთან თუ იმუშავებო. გასულ წელს ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე და შესანიშნავ სამუშაო პირობებს მიჩვეულ “მაქაბის” მწვრთნელსაც უთქვამს, ის “რამე” რა უნდა იყოს, რომ სამუშაოდ ქუთაისში წავიდეს და ამის შემდეგ სატელეფონო საუბარი შემწყდარა. არა, ეტყობა გაითიშა, თორემ სხვა რა მიზეზით უნდა შემწყდარიყო? ეს ისრაელის ხაზები მაგრად ურევს რალაც.

ევროპის წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში კი ერთობ უცნაური სიტუაციაა. სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი ლიგების ცხრილებში გასავარდნ ზონებში ან მის სიახლოვეს არიან - “ლივერპული”, “რომა”, “ფიორენტინა”, “პარმა”, “ლიონი”, “ვერდერი”, “შალკე”, “შტუგარტი”, “ბაიერნი”... მიუნხენური კლუბის მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** ფეხბურთელები დასაჯა და ლუდის ზეიმზე - ტრადიციულ ოქტობერფესტზე არ გაუშვა... და იმათაც დარდი ალბათ არაყში ჩაიკლეს. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა, ნეხვში ვზივართ და დროზე უნდა გამოვძვრეთო. პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** კი თქვა, არ დავინახო “ბაიერნის” რომელიმე ფეხბურთელმა გაიცინოს, სანამ თამაშს არ მოვიგებთო. შესაბამისად, ფეხბურთელებს აეკრძალათ კომედიური ფილმების ყურება, იუმორისტულ შოუებზე გადართვა და “მე, ბებია, ოლაფი და სებასტიანის” წაკითხვა.

გერმანიის ნაკრებმა კი სულ აილო ხელი ნაციონალურ თავმოყვარეობაზე და თითქოს 12 არაგერმანელი არ ეყოფოდათ ნაკრებში, ახლა წარმოშობით ინგლისელ **ლუის ჰოლტბის** აყვანასაც აპირებენ. ამასობაში კი ნაკრების მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ქვეყნის პრეზიდენტმა, ვინმე **კრისტიან ვულფმა** (დამერწმუნეთ, გერმანელების 80 პროცენტსაც კი არ ეცოდინება ამ კაცის ვინაობა) ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ახლა მივხვდი, რა ევალება თურმე გერმანიის პრეზიდენტს. მაგრამ შორს ჩვენგან პოლიტიკა. რამ მახსენებინა ნეტავ? ეტყობა ვინმე გვჭორავს.

ინგლისში კი “მანჩესტერ იუნაიტედის” მწვრთნელი **სერ ალექს ფერგიუსონი** ჟურნალისტებს შემოსწყრა და განუცხადა, ერთი თვე ხმას არ გაგცემთო. თურმე, იმაზე ყოფილა ნაწყენი, რომ **ფერნანდო ტორესზე** ჩემი ნათქვამი სხვანაირად დაწერეს, მე მასზე ნაძირალა არ მითქვამსო. რა ქნან ამ ჟურნალისტებმაც? იმხელა კევი უდევს ხოლმე პირში სერ ალექსს, რომ ვერ გაიგეს ალბათ სწორად.

იტალიაში კი საკარიერო მწუხრის პერიოდი უდგას “რომას” კაპიტანს **ფრანჩესკო ტოტის.** ისედაც ხომ საზიზღარ ფორმაში იმყოფება და კრიტიკოსები სულ უფრო მეტად ალიზიანებენ. ძველმა ლაციოელმა და შესაბამისად, “რომას” დაუძინებელმა მტერმა **პაოლო დი კანიომ** თქვა, ეგ ბიჭი ალარაფერში ვარგა და თან ცუდად იქცევაო (ვისზე ამბობს?!). ტოტიმ კი უპასუხა, მაგას ჩემი შურს და ეგ ალაპარაკებსო. მოკლედ, ეგ ამბავი მალე არ დამთავრდება ალბათ და თქვენი არ ვიცი და მე კი დი კანიოსკენ ვარ.

ერთი გიჟი (დი კანიო) გავიხსენეთ და არ შეიძლება სუპერ-გიჟზე არ ვთქვათ. **პოლ გასკოინი,** უკვე მერამდენედ, სმას შეეშვა და ფეხბურთს დაუბრუნდა. იგი მეხუთე ლიგის გუნდ “გერფორთ თაუნის” მწვრთნელად დანიშნეს. არაფერი ისეთის თქმა არ მინდა - მიხარია!

უცხოურ ფეხბურთში კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია შეინიშნება და ესაა მოქმედი თუ ყოფილი მოთამაშეების კინოხელოვნებაში მასობრივი გადინება. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (და მეტი არაფრის) გმირი **სალვატორე სკილაჩი** იტალიურ სერიალში ილებს მონაწილეობას, სადაც მაფიის ხელმძღვანელის როლს თამაშობს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამაზე უარეს დღეშია თავისი ორიგინალური ფინტით (და კიდევ სხვა დამსახურებებით) ცნობილი მექსიკელი ფეხბურთელი **კვატემოკ ბლანკო.** ის პარაგვაელ ლამაზმანთან ერთად, რომელიც სხვათა შორის გვარად **რიკელმეა,** მექსიკურ საპნის ოპერაში ილებს მონაწილეობას. რა სამწუხაროა, რომ “ბლანკოს ქვრივი” უკვე სხვა სერიალს ჰქვია, თორემ ამას ძალიან მოუხდებოდა. ბატონი კვატემოკი (რა საყვარლად ჟღერს) კი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, ვინც უნდა დამცინოს, მე ძალიან მომწონს ეს ამბავიო. არადა, როგორ მომწონდა ეს კაცი. მაგრამ, ჩემ მოწონებაზე სულ არ ფიქრობს ახლა მექსიკელი. მას თურმე ზემოთ ნახსენებ ლამაზმანთან სასიყვარულო სცენებიც კი ჰქონია და რატომ არ მოეწონება? იმ ქალის სურათი ვნახე და იმიტომ ვამბობ. ისე, გაიკითხოს ჯერ ბლანკომ, იქნებ არგენტინელი ფეხბურთელის რიკელმეს ნათესავია ეს ლამაზმანი რიკელმე და უხერხულში არ ჩავარდეს მერე კოლეგასთან.

ჩოგბურთთან დაკავშირებითაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს იმაზე, თუ თამაშის დროს რამდენად უშლის ერთი მოთამაშის ყვირილი მეორე მოთამაშეს ხელს. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ უშლის და ეს მგონი, ექსპერიმენტის გარეშეც გასაგები იყო. რომ დაარტყამს ერთი მოთამაშე ბურთს და დაიყვირებს გაწირული ხმით, სანამ მეორე მოთამაშე გასძახებს, რა იყო, რა მოგივიდა, ხომ კარგად ხარო, ბურთის დარტყმას ველარ მოასწრებს და დაზარალდება.

ევროპულ კალათბურთში კი წესები იცვლება. ყველაზე მთავარი სიახლე ალბათ ისაა, რომ სამქულიანის ზონა კიდევ უფრო გაფართოვდება და მსროლელებს უფრო შორი დისტანციიდან მოუწევთ ხოლმე ბურთის კალათისთვის დამიზნება. ეს, რა თქმა უნდა, ისედაც მწირქულიან ევროპულ კალათბურთზე უარყოფითად იმოქმედებს და სულ მალე შეიძლება ასეთი საკალათბურთო რეპორტაჟები წავიკითხოთ: უხვქულიანი მატჩი გაიმართა საბერძნეთში, სადაც ადგილობრივმა “პანათინაიკოსმა” გაანადგურა მოსკოვის ცსკა ანგარიშით 17:11...

P.S. ფორმულა ერთის ბოლო ეტაპი სინგაპურში გაიმართა, რომელიც ლამის განათებაზე მიმდინარეობდა. ჩვენი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** სულ იმეორებს, სინგაპურს უნდა დავემსგავსოთო და მე მგონი, პირიქით ხდება. სად იყო სინგაპურის გრან-პრი, ლამე ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე, ვაჟაზე და ნუცუბიძის პლატოებზე რბოლები რომ იმართებოდა ხოლმე. უბრალოდ, მსოფლიო პრესა არ აშუქებდა, თორემ...

● ჭადრაკი

# ლიდერები დაზავდნენ

სომხურ ჯერმუკში კარენ ასრიანის მემორიალზე გუშინ მე-4 ტურს პარტიები გათამაშდა. დიდ ინტერესს იწვევდა [illegible] ლიდერების - **კონსტანტინე შანავას** და **სერგეი ვოლკოვის** (რუსეთი) შეხვედრა. მეტოქეებმა თამაშის გამწვავებას ქულის გაყოფა ამჯობინეს. ამ დაზავებით **ტიგრან კოტანჯიანმა** (სომხეთი) ისარგებლა, რომელმაც თანამემამულე **გრიგორ დილანიანს** სძლია და 3,5 ქულით მეწინავეებს წამოეწია.

ქართველ მოჭადრაკეთაგან გუშინ წარმატებით ითამაშა ქალთა ტრიომ - **სოფიო გვეტაძემ, მაია ლომინეიშვილმა** და **ნაზი პაიკიძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, დიდოსტატი **ტიგრან პეტროსიანი, ჰოვანეს გაბუზიანი** და **არტურ ყარაგოზიანი** დაამარცხეს. **დავით მაღალაშვილი სამველ ტერ-საჰაკიანს** დაუზავდა, **გიორგი ბაღათუროვი - ჰაიკ ვარდანიანს, ნინო იმნაძე - რაშიდ აბრაჰამიანს, სოფიო გურამიშვილმა** კი **ზავენ ანდრიასიანთან** წააგო.

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართველები და ევროკალათბურთი

# სარჩევი: 1947-დან 2011-მდე

საქართველოს ნაკრებს „დაბადების დღიდან" (1994 წლის 20 მარტი) ევროპის ჩემპიონატამდე 16 წელიწადი, 76 მატჩი, 55 კალათბურთელის გამოცდა და 7 მწვრთნელის გამოცვლა დასჭირდა. რამდენი ოფლი (თავიდან ასოები ამერია და „ფოლი" დავწერე) დაიღვარა, ნერვიულობას რამდენი ჩამწვარი სიგარეტი და დაფერფლილი ოცნება მოჰყვა, ამის დათვლა შეუძლებელია. არც არის აუცილებელი. სამაგიეროდ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ **დრაჟენ ბრაიკოვიჩისადმი** (ნაკრებს 2004 წელს წვრთნიდა) წაყენებული სამართლიანი პრეტენზია: თუ ჩვენს მენტალიტეტს ვერაფერი გაუგო, ქართულ საკალათბურთო ტრადიციებზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ისტორიისთვის მაინც გადაეხედა.

ჰოდა, როცა ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე მოხვედრილ ნაკრებზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გადავფურცლოთ საკალათბურთო ისტორიის სქელი წიგნი. ბოლო ქვეთავი 2010 წლის ამბებს მოიცავს და კომპიუტერის „ფაფუკ" კლავიატურაზეა აკრეფილი. პირველი ქვეთავი კი 1947 წლით თარიღდება და მელანში ჩაწობილი ბუმბულითაა შესრულებული.

ახალ რუბრიკაში სწორედ იმას გავარკვევთ, როგორ გარდაიქმნა სამელნე - კლავიატურად, როგორ „გადაიცვეს" ევროპის ჩემპიონმა ქართველებმა CCCP-იან მაისურაზე ახალი ფორმა - GEORGIA.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ დღეიდან კვირაში ერთხელ შემოგთავაზებთ რუბრიკას „ქართველები და ევროკალათბურთი". დავიწყებთ 1947 წლით და ფურცვლა-ფურცვლით 2010-მდე მოვალთ.

რით იწყება ყოველი წიგნი? ლამაზად გაფორმებული ყდით, წინასიტყვაობით, სარჩევით... ამ სტატიის გაფორმება გაზეთის დიზაინერს მივანდოთ; წინასიტყვაობა ზემოთ უკვე დავწერეთ; მივადექით სარჩევს. სწორედ „სარჩევი" დავარქვით ამ რუბრიკის პირველ წერილს. დღეს მოკლედ მოგითხრობთ, რისი წაკითხვა შეგეძლებათ მომდევნო კვირებში. ჩვეულებრივ, წიგნების სარჩევებში გვერდების ნუმერაციაა. ჩვენ ეს არ გამოგვადგება - წლების მიხედვით დავნომრავთ.

1947. ამ წელს საბჭოთა კავშირმა ევროპის ჩემპიონატში პირველად ითამაშა. მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში დებიუტანტმა სსრკ-მ ექვსივე მატჩი მოიგო და ოქროს დაეუფლა. საეჭვოა, **ოთარ ქორქიას** გარეშე „წითლებს" წარმატებისთვის მიეღწიათ. ეს სტატიის ავტორის მოსაზრება არ არის, **ალექსანდრ გომელსკის** ნააზრევია, რასაც მომდევნო კვირას სრულად შემოგთავაზებთ. ქორქიასთან ერთად საბჭოთა ნაკრებში **ნოდარ ჯორჯიკია** თამაშობდა.

1949. არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ევროპის 1949 წლის ჩემპიონატი აფრიკაში გაიმართა. მას ეგვიპტის დედაქალაქმა კაირომ უმასპინძლა. საბჭოთა ნაკრებს ამ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია.

1951. საფრანგეთში ჩატარებულ ევრობასკეტზე სსრკ-ს ოთარ ქორქია გაუძღვა და, ცხადია, ჩემპიონი გახდა. ნოდარ ჯორჯიკია მწვრთნელ **სტეპან სპანდარიანს** პარიზში არ წაუყვანია.

1953. ევროფორუმს მოსკოვმა უმასპინძლა. ოთარ ქორქიას (მეათე ნომერი იყო) გუნდმა ათივე მატჩი მოიგო.

1955. ყველასთვის მოულოდნელად სსრკ-მ ნახევარფინალში მასპინძელ უნგრეთთან წააგო და ლეგენდარული ოთარ ქორქია ბრინჯაოს დასჯერდა.

1957. სამგზის ევროპის ჩემპიონმა ქართველმა სანაკრებო კარიერა დაასრულა და „წითლებს" ბულგარეთის ევრობასკეტზე აღარ გაჰყვა. თუმცა ამ შეჯიბრებას ჩვენიანის გარეშე არ ჩაუვლია - საერთაშორისო კარიერა ევროპის ჩემპიონობით დაიწყო **გურამ მინაშვილმა.**

1959. სსრკ თურქეთშიც საუკეთესო იყო. მინაშვილმა მეორე ოქრო მოიპოვა.

1961. იუგოსლავიის ევრობასკეტზე გურამ მინაშვილი **ვლადიმერ უგრეხელიძემ** შეცვალა. მანაც ოქრო დაისაკუთრა.

1963. მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ ნაკრებში მინაშვილი დააბრუნა, ხოლო უგრეხელიძისთვის ადგილი ვერ გამონახა. გურამ მინაშვილი ოთარ ქორქიას დაეწია - მესამედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონობა.

1965. საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამთამაშებლის პოზიციაზე გურამ მინაშვილი **ზურაბ საკანდელიძემ** შეცვალა. მასთან ერთად ოქროს მედალი **ამირან სხიერელმა** მოიპოვა. 1965 წელს ევრობასკეტს საბჭოეთის ორმა ქალაქმა უმასპინძლა - მოსკოვმა და თბილისმა.

1967. ფინეთში ზურაბ საკანდელიძე მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

1969. საკანდელიძეს ნაკრებში **სერგეი კოვალენკო** შეუამხანაგდა და სსრკ-მ მეათედ დაამტკიცა, რომ ძველ კონტინენტზე ბადალი არ ჰყავდა.

1971. გფრ-ში გამართულ ევრობასკეტზე გამოჩნდა **მიხეილ ქორქია.** ზურაბ საკანდელიძემ კი რეკორდი დაამყარა - ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ (ოთხჯერ) მოიგო ევროპის ჩემპიონატი.

1973. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... რვაჯერ?! დიახ, ზედიზედ რვაჯერ ევრობასკეტი სსრკ-მ მოიგო. თუმცა ცხრამდე ვერ ავიდა - 1973 წელს მე-3 ადგილს დასჯერდა. **ვლადიმირ კონდრაშინის** გუნდში იყვნენ ზურაბ საკანდელიძე და **სერგეი კოვალენკო.**

1975. მიხეილ ქორქიასთან ერთად საბჭოთა კრებული ფინალში გავიდა, თუმცა მასპინძელ იუგოსლავიასთან 84:90 დამარცხდა.

1977. ბელგიაშიც ზუსტად ის განმეორდა, რაც ორი წლის წინათ: სსრკ-მ იუგოსლავიასთან წააგო, მიხეილ ქორქიამ ვერცხლის მედალი მიიღო.

1979. რვაწლიანი შესვენების მერე ევროპა კვლავ განითლდა - საბჭოთა ნაკრებმა მეთორმეტედ მოიგო ევრობასკეტი. სსრკ-მ პირველად ითამაშა ქართველების გარეშე.

1981. 22 წლის **ნიკოლოზ დერიუგინმა CCCP**-იანი მაისურა პირველად ჩეხოსლოვაკიაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ჩაიცვა და მეოთხე მატჩში თავიც გამოიჩინა - თურქეთს 25 ქულა ჩაუგდო. დერიუგინის გუნდმა პირველობა არავის დაუთმო.

1983. სსრკ-ს ნაკრები საფრანგეთში ფავორიტის სტატუსით ჩავიდა, მაგრამ ნახევარფინალში ესპანეთთან 94:95 წააგო და საბოლოოდ ბრინჯაოს დაეუფლა. ნიკოლოზ დერიუგინი საშუალოდ 6 ქულას აგროვებდა.

1985, 1987, 1989, 1991, 1993, 1995... ლიტვურ, ბერძნულ ან იუგოსლავიურ გაზეთში რომ ვწერდეთ, ამ წლებში გამართულ ევროპის ჩემპიონატებზე სათქმელი გვექნებოდა, მაგრამ ქართველებს არ უთამაშიათ. ეს არც იყო გასაკვირი: საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო და დამოუკიდებლად შეუდგა ევროპის ჩემპიონატისკენ სავალ გზას. როგორც გითხარით, გზა ძალიან გაუგრძელდა...

1997. ამ წელს ევროფორუმს ესპანეთმა უმასპინძლა. პირველად საქართველოს ნაკრებმა სწორედ ევრო-1997-ის შესარჩევში ითამაშა. ნიკოლოზ დერიუგინით გაძლიერებულ GEORGIA-ს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ორი მოგება დააკლდა. მას მერე დაიწყო დალმასვლა...

1999. ევრობასკეტი-1999-ის შესარჩევის შუა პერიოდში ნაკრებში თაობათა ცვლასთან ერთად მწვრთნელიც შეიცვალა - **ბესიკ ლიპარტელიანის** ნაცვლად მთავარ მწვრთნელად **ლევან მოსეშვილი** დაინიშნა. ამ ციკლში პირველად მოირგო ნაკრების მაისურა **ვლადიმერ ბოისამ.**

2001. ყველაზე ცოტა მატჩი ევროპის 2001 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშეთ - 5. პირველივე რაუნდიდან გამოვვარდით. ნაკრებში დებიუტი ჰქონდა **ნიკა ცქიტიშვილს.**

2003. ლევან მოსეშვილი **ზურაბ ტომარაძემ** შეცვალა. ლუქსემბურგთან მატჩში ნაკრებში პირველად ითამაშა **ზაზა ფაჩულიამ.** ქართველები ჯუჯებთან 71:92 დამარცხდნენ. შემდეგ ბულგარეთთან და ბელარუსთან სტუმრად დათმეს და ევრობასკეტზე ოცნებას დაემშვიდობნენ.

2007. საქართველოს ნაკრებს ევრო-2005-ის შესარჩევში არ უთამაშია. არ გეგონოთ ფიბა-ევროპის ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს გულისხმიერება და პირდაპირ დაგვიშვეს ფინალურ ეტაპზე... პირიქით, ფიბა-ევროპის გადაწყვეტილებით ნაკრებები ორ დივიზიონად გაიყო და ქვედა ეშელონში მოხვედრილ გუნდებს უახლოეს ევრობასკეტამდე სამწლიანი გზა უნდა გაევლოთ. 2004-05 წლებში 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ვითამაშეთ, მაგრამ B დივიზიონში ჩავრჩით.



უტევს ზურაბ საკანდელიძე



1953 წელი. მოსკოვი. ევროპის ჩემპიონატი. ოთარ ქორქია ბურთისთვის ბრძოლაში

სწორედ ამ ციკლში გამოჩნდა პირველად ნატურალიზებული ამერიკელი (**შემონდ უილიამსი**) და უცხოელი მწვრთნელი (2004-ში **დრაჟენ ბრაიკოვიჩი**, 2005-ში **გორდონ ჰერბერტი**).

2009. ვერც ამჯერად ამოვძვერით მეორე ლიგიდან (ფინეთმა გვაჯობა). ამ ციკლში შემონდ უილიამსი **ტაირონ ელისმა** შეცვალა, ხოლო გორდონ ჰერბერტი - **კენ შილდსმა.**

2011. ლიტვაში გასამართი ევროფორუმისთვის ბრძოლა 2008 წლიდან დავიწყეთ. 2008-09 წლებში სერბი სპეციალისტის, **იგორ კოკოშკოვის** ხელმძღვანელობით B დივიზიონიდან ამოვძვერით, 2010-ში შესარჩევ ტურნირზე პოლონეთს, ბულგარეთსა და პორტუგალიას გავასწარით, მხოლოდ ბელგიას ჩამოვრჩით და გაისად დამატებითი საკვალიფიკაციო უნდა გვეთამაშა. თუმცა, 2010 წლის 5 სექტემბერს ფიბა-ევროპამ ევრობასკეტის მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 24-მდე გაზარდა და 28 წლის შემდეგ (1983) ქართველები ევრობასკეტს ისევ დაუბრუნდნენ. თუ აქამდე მაქსიმუმ ორი ჩვენიანი თამაშობდა, 2011 წელს ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას 12-კაციანი ნაკრები დაიცავს და რაც მთავარია - ჩვენი ჰიმნი აჟღერდება.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი NBA-ში




# გამოფენა გაიხსნა

## ზაზა ოვერტაიმში შეუცვლელია

„ჰოქსის" სათავეში **ლარი დრიუს** მისვლის შემდეგ შეტევითი სტრატეგია შეიცვალა და **ზაზა ფაჩულიაც** მეტად დაიტვირთებაო, - წერდნენ ატლანტური გაზეთები.

„მემფისთან" გამართულმა პირველმა საგამოფენო მატჩმა ეს ვარაუდი დაამტკიცა: საქართველოს ნაკრების ცენტრმა 28 წუთი ითამაშა და შეხვედრის მნიშვნელოვან მომენტებში მოედანზე იყო - მეოთხე პერიოდის დაწყებიდან ოვერტაიმის დასრულებამდე არ დაუსვენია.

იგი მოედანზე პირველი პერიოდის შუაში **ელ ჰორფორდის** ნაცვლად შევიდა და თამაშში დამატებითი ენერგია შეიტანა. ქულებთან ერთად ზაზამ პასებიც არიგა.

მეორე მეოთხედში ფაჩულიას არ უთამაშია. ამ თორმეტწუთეულში „ქორებმა" პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა განავრცეს და 23 ქულამდე ავიდნენ.

მწვრთნელმა ლარი დრიუმ ქართველი ცენტრი თამაშში მესამე პერიოდის დასაწყისში ჩართო, თუმცა, ისევე როგორც დანარჩენი ჯორჯიელები, იმ ეპიზოდში ფაჩულიაც მხოლოდ ჯარიმებითა და ფოლებით „გამოირჩა". „მემფისმა" 17:0 გაქცევა მოაწყო და მესამე მეოთხედის მერვე წუთზე დაწინაურდა კიდეც - 64:63. მეოთხე პერიოდის ბოლომდე თანაბარი თამაში გაჩაღდა, ერთი ანეკდოტის გმირისა არ იყოს, მესა „ხინკალი" არც „გრიზლებმა" შეჭამეს, არც „ქორებმა" და ძირითადი დრო 99:99 დასრულდა.

ოვერტაიმის დასაწყისში „მემფისმა" 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და მიუხედავად იმისა, რომ ფაჩულიას ორქულიანის შემდეგ სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა (110:112), გამარჯვება მაინც „დათვებს" დარჩათ.

„ატლანტას" მწვრთნელმა **დრიუმ** წაგებაზე ლაპარაკისას აღნიშნა:

- წინასასეზონო მზადებისას აქცენტი შეტევის დახვეწაზე გავაკეთეთ. ვფიქრობ, სწრაფად და მობილურადაც ვითამაშეთ. ნელ-ნელა დაცვასაც გავაუმჯობესებთ, რადგან წარმატება კარგი დაცვის გარეშე არ მიიღწევა. ამაში დღესაც დავრწმუნდით.

| მემფისი–ატლანტა | 115:111 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 28 წუთი, 8 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 5 ფოლი, 2 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 06:08 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:59 | საჯარიმოები: 2/1ძ (15:7) |
| 03:52 | პასი: 1 (ტიბი 2ძ, 17:9) |
| 02:36 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:21 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 01:09 | პასი: 2 (ტიბი 2ძ, 21:9) |
| 00:31 | საჯარიმოები: 2/1ძ (22:9) |
| 00:39 | სმითმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:17 | ფოლი: 1 |
| 10:56 | ფოლი: 2 |
| 10:56 | შეცდომა: 1 |
| 09:20 | შეცდომა: 2 |
| 08:35 | ფოლი: 3 |
| 07:59 | ფოლი: 4 |
| 07:54 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 09:51 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 08:56 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:49 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 06:54 | ორქულიანი: 4ძ (80:81) |
| 06:33 | ფოლი: 5 |
| 05:30 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 02:54 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| **ოვერტაიმი** | |
| 04:34 | პასი: 3 (პაუელი 2ძ, 101:102) |
| 02:32 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 01:08 | საჯარიმოები: 2/1 (5ძ, 104:110) |
| 00:07 | ორქულიანი: 7ძ (110:112) |
| 00:04 | საჯარიმოები: 2/1 (8ძ, 111:114) |
| 00:01 | სამქულიანი: არაზუსტი |

ვაჟა სიმონიშვილი

● ჩოგბურთი

# წყვილებში ყოჩაღობენ

კანზას სიტის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) **ანა ტატიშვილი** (136) წყვილთა ბადეში შემორჩა, სადაც ამერიკელ **კიმბერლი კაუტსთან** (282) ერთად მე-2 ნომრადაა განთესილი. მეოთხედფინალში ტატიშვილმა და კაუტსმა „უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელები, **გლეტჩი** და **ლეპჩენკო** დაამარცხეს - 7:6 (3), 6:3. ტურნირის ნახევარფინალში მათი მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი დუეტია (**დიტი, სპირსი**).

ამერიკულ უილიამსბურგში (10 ათასი) **სალომე დევიძისა** და **მაგდა ოქრუაშვილის** წყვილმა მეოთხედფინალური შეხვედრა მოუგო ამერიკელი **სეპედასა** და ბრიტანელი **ჯონსონის** დუეტს - 6:3, 7:6 (6). ნახევარფინალში ქართველები მე-3 ნომრად განთესილებს, ჩინელ **ჰეს** და ამერიკელ **ალენს** ხვდებიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტის სახეობათა ისტორია

# სუმო

**სუმო** იაპონური ჭიდაობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. სუმოს ილეთები ფართოდ გამოიყენებოდა იაპონელ მეომართა აღზრდისა და წვრთნის სისტემებში. პირველი ცნობა სპორტის ამ სახეობის შესახებ VII საუკუნის ქრონიკებში დასტურდება და უკავშირდება იმპერატორის კარზე კორეის ელჩის პატივსაცემად გამართულ შეჯიბრებას (642 წ). როგორც ჩანს, შეჯიბრებები (ბაშო) ყოველი წლის შემოდგომაზე იმართებოდა იმპერატორის ეგიდით და მინდვრის სამუშაოების დასრულებას ემთხვეოდა. ორთაბრძოლებს ახლდა რიტუალური ცეკვები, ლოცვა და რელიგიური შინაარსის წარმოდგენები. სუმოს წესები და მსაჯობის სისტემა ჯერ კიდევ VIII-XII საუკუნეებში ჩამოყალიბდა, მაგრამ თანამედროვე სახე მან XVII საუკუნეში მიიღო. დადგინდა მოჭიდავეთა საკმაოდ რთული იერარქია, ამასთან, შემოიღეს დიადი მძლეველის (ჩემპიონის) — იოკოძუნას წოდება. სუმოს სარბიელი (დოჰიო) კვადრატული ფორმის თიხის ამაღლებაა, რომლის ყოველი გვერდიც სიგრძით 7,24 მეტრია. ბრინჯის კანაფით მოხაზულია 4,55 მმ დიამეტრის წრე, რომლის შიგნითაც ბრძოლა მიმდინარეობს. დოჰიო წვრილი ქვიშით არის დაფარული. არენას თავს ადგას ფანჩატური, რომელიც ფორმით სინტოისტური ტაძრის სახურავს მოგვაგონებს. მოჭიდავეების ჩაცმულობა თეძოებზე შემოხვეული სპეციალური ქამარსახვევით (მავაში) შემოიფარგლება.



ჭიდაობის წესები ძალიან მარტივია: იმარჯვებს ის, ვინც მოწინააღმდეგეს აიძულებს წრის გარეთ გავიდეს ან სხეულის ნებისმიერი ნაწილით (გარდა ტერფისა) შეეხოს იატაკს წრის შიგნით. აკრძალულია ნებისმიერი დარტყმა ხელით ან ფეხით, მახრჩობელა ილეთების გამოყენება და თმის მოქაჩვა. მოჭიდავე (სუმოტორი), რომელსაც მავაში შეეხსნება, დისკვალიფიკაციას იღებს. ამავე დროს, აკრძალულია მოწინააღმდეგისთვის მავაშის განზრახ შეხსნა. ამისთვის მთავარი მსაჯი, გიოჯი, მოჭიდავეს მკაცრად სჯის. სუმოტორის თავზე ტრადიციული წესით განასკვული თმა წაქცევის ან დოხიოდან გადავარდნის შემთხვევაში, ანელებს დარტყმის ძალას და მოჭიდავის კეფას ტრავმისგან იცავს. პროფესიულ სუმოში წონითი კატეგორიები არ არსებობს, ამიტომ ხშირად სუმოტორს უხდება დაპირისპირება ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელიც მას წონით ორჯერ აღემატება. 1926 წლიდან ბაშოზე დაიშვებიან მხოლოდ ის მოჭიდავეები, რომლებიც 64 კგ-ზე მეტს იწონიან. თანამედროვე სუმოში სუმოტორის სარეკორდო წონამ 200 კგ-ს მიაღწია.

ბაშო 15 დღეს გრძელდება. ყველა მონაწილე, უმაღლესი კატეგორიების (მაკუუჩი და ძურიო) მოჭიდავეთა გარდა, 7 ორთაბრძოლას მაინც ატარებს. ასეთი ტურნირები იმართება წელიწადში ექვსჯერ. ბაშოში გამარჯვებული იმპერატორის თასით ჯილდოვდება. უმაღლესი თანრიგი, იოკოძუნა, მოჭიდავეს სამუდამოდ ენიჭება. ეს საკმაოდ იშვიათად ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იოკოძუნას წოდება ბოლო 300 წლის მანძილზე მხოლოდ 70 ადამიანს მიენიჭა. ბოლო ხანებში სუმო პოპულარული ხდება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ბრაზილიაში, ორივე კორეაში. 1980 წელს იაპონიის ღია ჩემპიონატში ამ ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ამიტომ ეს შეჯიბრება შეიძლება ჩაითვალოს ისტორიაში სუმოს პირველ მსოფლიო ჩემპიონატად. 1983 წელს დაარსდა სუმოს საერთაშორისო ფედერაცია (IFშ). დღეს მასში მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაა გაერთიანებული. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად, იაპონიის გამოკლებით, ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოა მონაწილეობა კონტინენტურ ჩემპიონატებში. 1997 წელს იაპონიაში ჩატარდა ქალთა პირველი ჩემპიონატი.

პირველი ევროპელი, რომელმაც ძიურეს თანრიგს მიაღწია, არის 1981 წელს სოხუმში დაბადებული ქართველი **ლევან ცაგურია,** რომელსაც იაპონელებმა კოკაი (შავი ზღვა) შეარქვეს. 1992 წელს, აფხაზეთის კონფლიქტის დროს, ლევან ცაგურიას ოჯახს სოხუმის დატოვება და თბილისში გადმოსვლა მოუხდა. ცაგურია სუმოთი საქართველოს სპორტის აკადემიაში სწავლის დროს დაინტერესდა. 1999 წელს იგი დაუკავშირდა სუმოს სტუდენტური ფედერაციის ხელმძღვანელს, **ტანაკას,** რომელმაც 150-კილოგრამიანი ქართველი გოლიათი 2001 წელს ტოკიოში მიიწვია და სუმოს ერთ-ერთ წამყვან სკოლაში მიაბარა. ამჟამად ლევან ცაგურია იაპონიაში ცხოვრობს და მონაწილეობს პროფესიონალთა ტურნირებში. პროფესიონალებში გამოდიან აგრეთვე **ლევან გორგაძე** და **თეიმურაზ ჯუღელი.** სხვა ქართველი სუმოტორები მოყვარულთა შეჯიბრებებში ასპარეზობენ. პირველი ასეთი შეჯიბრება იყო 1998 წელს რიიზიში (გერმანია) გამართული ევროპის IV ჩემპიონატი, სადაც **ალექსი დავითაშვილმა** ვერცხლისა (აბსოლუტური კატეგორია) და ბრინჯაოს (+115 კგ) მედლები დაიმსახურა. ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **გიორგი წმინდაშვილი, ლევან ჯაფარიძე** და **ჯონდო დაბრუნდაშვილი.** შემდეგ წლებში ქართველებს არაერთი თვალსაჩინო წარმატება მოუპოვებიათ როგორც პროფესიულ, ისე სამოყვარულო სუმოში.

საქართველოში სუმოს დანერგვის თაოსნები და მხარდამჭერები იყვნენ **ანზორ მარტყოფლიშვილი, თენგიზ რუხაძე, თამაზ ჩხარტიშვილი, მერაბ ლოსეურაშვილი, ლაშა აბესაძე** და **ზურაბ რეხვიაშვილი.** მათ 1998 წელს დააფუძნეს სუმოს ეროვნული კავშირი-ფედერაცია, რომელიც იმავე წელს ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციებში გაერთიანდა.

## საინტერესო ამბები

### ჭადრაკის ფიგურები ერთმანეთისკენ ისწრაფვიან



1831 წელს ლუისის კუნძულზე, შოტლანდიის ნაპირებზე აღმოაჩინეს შუა საუკუნეების დროინდელი 78 საჭადრაკო ფიგურა, რომელთა შექმნას XII საუკუნის ნორვეგიელ საჭრეთლის ოსტატებს მიაწერენ. სწორედ ნორვეგიაშია ასევე მიკვლეული ანალოგიური ფიგურები, თანაც იმ პერიოდში კუნძული ლუისი ნორვეგიის სამეფოს მიწების შემადგენლობაში შედიოდა.

კერძო პირის მიერ შეძენილი 10 ფიგურა შემდეგ ედინბურგში, სამეფო მუზეუმში მოხვდა. დანარჩენი ფიგურები შეიძინა ბრიტანეთის მუზეუმმა.

## შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა: თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ ოლიმპიურ ფიცს დებენ სპორტსმენებიც და მსაჯებიც. თუ შეიძლება, უფრო ვრცლად დაწეროთ ამ რიტუალის შესახებ?**

**მამუკა ჩიქოვანი**
თერჯოლა

სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას.

**ოლიმპიური ფიცი ტრადიციული რიტუალია ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე. ფიცის ტექსტი შეიმუშავა პიერ დე კუბერტენმა (1913) და სოკ-ს შესთავაზა აღედგინა ფიცის დადების ძველბერძნული რიტუალი.**

**ოლიმპიური ფიცის სიტყვები თანამედროვე თამაშებში პირველად ანტვერპენში, VII ოლიმპიადაზე (1920) წარმოითქვა. ქარტიის თანახმად, მასპინძელი ქვეყნის სპორტსმენი ადის ტრიბუნაზე, მარცხენა ხელში უჭირავს ოლიმპიური დროშა, მარჯვენა ხელს ზეაღმართავს და საზეიმოდ დებს ფიცს: „ყველა სპორტსმენის სახელით გპირდებით, რომ ჩემი გუნდის სპორტული დიდებისა და ღირსებისთვის, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით ვიასპარეზებ ოლიმპიურ თამაშებში, პატივს ვცემ და დავიცავ მის კანონებს“.**

**1968 წლიდან (მეხიკო, XIX თამაშები) ფიცის სიტყვებს წარმოსთქვამს მსაჯიც. ტექსტს აქაც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი კითხულობს:**

**— „ყველა მსაჯის სახელით, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით, სპორტული დიდებისა და პატივისთვის, პირობას ვიძლევი, მიუკერძოებლად შევასრულო მოვალეობა, პატივი მივაგო და ვუერთგულო ოლიმპიური თამაშების კანონებს“.**

## ვიქტორინა

**1. სხვებზე უწინ, შორეულ წარსულში რბენაში ვარჯიშობდნენ და მალემსრბოლები ჰყავდათ**

ა – ინდოელებს
ბ – ჩინელებს
გ – ეგვიპტელებს

**2. რომელი წლის ოლიმპიურ თამაშებში დაწესდა პირველად ფულადი ჯილდო — 500 დრაჰმა გამარჯვებულისთვის?**

ა – 594 წელს
ბ – 598 წელს
გ – 606 წელს

**3. ვინ არის ჭადრაკში კაცთა შორის მსოფლიოს მესამე ჩემპიონი?**

ა – ეივე
ბ – კაპაბლანკა
გ – ლასკერი

**4. ვინ არის ფეხბურთელი ედუარდო გონსალეს დე ანდრადე?**

ა – ტოსტაო
ბ – სოკრატესი
გ – რიველინო

**5. რომელ წელს ჩატარდა პირველი უნივერსიადა სპორტის ზამთრის სახეობებში?**

ა – 1952 წელს
ბ – 1956 წელს
გ – 1960 წელს

პასუხები იხ. „ლელოს“ მომდევნო ნომერში.

## თარიღი. 9-15 ოქტომბერი

**09.10.1978 წ. ბიორნ ბორგმა** მესამედ მოიგო უიმბლდონი.
**09.10.1978 წ. მარტინა ნავრატილოვა** პირველად გახდა უიმბლდონის ჩემპიონი ქალებში.
**09.10.1962 წ.** დაიბადა **ხოსე ლუის ბურუჩაგა** (არგენტინა) — ფეხბურთი.
**10.10.1942 წ.** დაიბადა **რეინჰარდ ლიბუდა** (გერმანია) — ფეხბურთი.
**11.10.1938 წ.** დაიბადა **ბობი ჩარლტონი** (ინგლისი) — ფეხბურთი.
**12.10.1926 წ.** დაიბადა **ნიკიტა სიმონიანი** (სსრკ) — ფეხბურთი.
**13.10.1931 წ.** დაიბადა **რაიმონ კოპა** (საფრანგეთი) — ფეხბურთი.
**15.10.1947 წ.** დაიბადა **ლასლო ფაზეკაში** (უნგრეთი) — ფეხბურთი.

## ლვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

1863 წლის პირველ ოფიციალურ წესებში არაფერია ნათქვამი მეკარის შესახებ. ამ დროისთვის მეკარის ამპლუა არ არსებობდა. ჰაერში ბურთის დაჭერის უფლება ყველა მოთამაშეს ჰქონდა. 1870 წელს პირველად შემოვიდა მეკარის ცნება. მას შეეძლო განუსაზღვრელი მანძილით ბურთით ხელში სირბილი. 1877 წელს კი მეკარეებს აეკრძალათ დიდ მანძილზე ბურთის ხელით ტარება.

1898 წელს მეკარე ხელით საკუთარ ნახევარზე თამაშობდა, ხოლო 1912 წლიდან მკაცრად განისაზღვრა მეკარის ხელით თამაში და ის მხოლოდ საჯარიმო მოედნის ფარგლებში გახდა შესაძლებელი.

დღესდღეობით ნებადართული არ არის, მცველის (ან ნებისმიერი ფეხბურთელის) ფეხით გამიზნულად გაკეთებული პასისას მეკარემ ხელით ითამაშოს. ბურთის ხელში დაჭერა შესაძლებელია, თუკი ფეხბურთელი მეკარეს პასს მიაწვდის სხეულის სხვა ნაწილით (თავით, მკერდით ან ფეხით) ან გააკეთებს არამიზნობრივ პასს (ბურთის მოგერიების დროს და სხვა შემთხვევებში).

## ქროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 1. ერთ-ერთი ქალაქი, რომელმაც ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა; 7. 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების ადგილი; 8. გამოჩენილი საბჭოთა ჰოკეისტი, მეკარე; 10. თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, ეროვნებით ოსი; 11. წარმოშობით აფხაზი თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი; 13. მძლეოსნობის იარაღი; 14. ბუენოს-აირესის საფეხბურთო კლუბი; 16. ჰოლანდიური ლუდის ფირმა, უეფას ჩემპიონთა ლიგის სპონსორი; 19. უკრაინის ნაკრებისა და კიევის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი; 22. ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელი; 23. მუჰამედ ალის გვარი ისლამის მიღებამდე; 24. ქალაქი, სადაც უეფას ოფისი მდებარეობს; 25. ცნობილი საბჭოთა სპორტსმენი ფიგურულ სრიალში ...... როდნინა; 28. ჰოკეის ბურთი; 30. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 31. ფეხბურთში კუთხურის მოძველებული ტერმინი; 32. ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, დიდოსტატი.

**ვერტიკალურად:** 1. "მილანის" ბრაზილიელი თავდამსხმელი; 2. "ვალენსიას" მთავარი მწვრთნელი; 3. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი; 4. საფრანგეთის ფრენბურთის კლუბ "კანის" თბილისელი კაპიტანი; 5. ქართველი პროფესიონალი მოკრივე; 6. თავდასხმაში მოთამაშე ფეხბურთელი; 9. სპორტული ორთაბრძოლის სახეობა; 10. ბილიარდის წითელი ბურთი; 12. ვაჟთა შორის მსოფლიოს ყოფილი ნომერ პირველი ჩოგანი(ბრაზილიელი); 15. "მილანის" კაპიტანი; 17. სუმოისტ ლევან გორგაძის ფსევდონიმი; 18. რუსი ჰოკეისტი და მწვრთნელი; 20. ვეტერანი ქართველი წყალბურთელი; 21. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე; 26. ასპარეზი, სარბიელი; 27. განელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 29. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი; 30. ჩინური საბრძოლო ხელოვნება.

პასუხები იხილეთ „ლელოს“ მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

## თავსატეხი „ანთა“. მეოთხე ამოცანა

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 8-2 | 5 | I |
| B | | | | | | | | | 2-1 | 5 | II |
| C | | | | | | | | | 2-2 | 4 | III |
| D | | | | | | | | | 0-7 | 1 | IV |

### წინა შაბათს გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 4:3 | 2:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 9 | I |
| B | 0:1 | | 1:0 | 4:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 5-1 | 6 | II |
| C | 3:4 | 0:1 | | 0:0 | 3 | 0 | 3 | 0 | 3-5 | 1 | III |
| D | 0:2 | 0:4 | 0:0 | | 3 | 0 | 1 | 2 | 0-6 | 1 | IV |

გვერდი მოამზადა თენგიზ თომაშვილმა

ევროთასები



# ტულონი და კლერმონი ფავორიტები არიან

დღეს ევროთასების გათამაშება იწყება. ყველაზე პრესტიჟულ, „ჰეინეკენის“ თასის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა სამი ფრანგული კლუბი, „კლერმონი“, „კასტრი“ და „ტულონი“ იასპარეზებს. სამიც, „მონპელიე“, „აჟენი“ და „ბრივი“ „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში მოსინჯავს ძალებს.

„ჰეინეკენის“ თასის ამჟამინდელი მფლობელი ფრანგული „ტულუზია“, რომელმაც შარშანდელი გათამაშების ფინალში ბასკური „ბიარიცი“ დაამარცხა. ფრანგული კლუბები წლეულსაც ერთობ სოლიდურად გამოიყურებიან და გამორიცხული არ არის, ისევ ფრანგული ფინალის მომსწრენი გავხდეთ.

„ჰეინეკენის“ თასის წლევანდელ გათამაშებაში 24 გუნდი ექვს ჯგუფშია განაწილებული. **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ A ჯგუფში იასპარეზებს. ჩვენებურთა გუნდს მეტოქეობას გაუწევენ უელსური „კარდიფი“, შოტლანდიური „ედინბურგი“ და ინგლისური „ნორსჰემპთონი“.

ინგლისელები ჯგუფის ფავორიტებად არიან მიჩნეული, თუმცა არც უელსელების გამორიცხვა შეიძლება, მით უფრო, რომ „ჰეინეკენის“ თასის ფინალს წლეულს სწორედ კარდიფი უმასპინძლებს. კარდიფელები ყველა ღონეს იხმარენ როგორც ჯგუფური ტურნირის, ისე მთლიანად გათამაშების მოსაგებად.

რაც შეეხება „კასტრს“, ის შინ ბევრს გაამწარებს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ვინც კასტრში მოიგებს, ჯგუფის გამარჯვებულიც ის იქნება. „ედინბურგი“, ალბათ, აუტსაიდერია, რისი დასტურიც „მაგნერს“ ლიგაში ამ გუნდის სუსტი თამაშია.

პირველ ტურში „კასტრი“ სტუმრად ეთამაშება „ნორსჰემპთონს“. ფეიქრიშვილი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა, სათადარიგოთა შორისაა. გიორგაძე განაცხადში არ არის.

B ჯგუფი „სიკვდილის ჯგუფადაა“ შერაცხილი. ოთხივე გუნდი ტურნირის ფავორიტია: საფრანგეთის ჩემპიონი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, წლევანდელი გათამაშების ლიდერი პარიზული „მეტრო რასინგი“, ინგლისის ჩემპიონატის ლიდერი „სარასენზი“ და „ჰეინეკენის“ თასის 2009 წლის გათამაშების გამარჯვებული ირლანდიური „ლენსტერი“.

შარშანდელ გათამაშებაში „ვულკანები“ მეოთხედფინალში სწორედ ირლანდიურმა კლუბმა გამოთიშა, ასე რომ, ზირაქაშვილს და კომპანიას რევანშის აღების კარგი შანსი ეძლევათ. აღსანიშნავია, რომ „კლერმონი“ ევროთასების გათამაშებაში მინიმუმ ნახევარფინალამდე ყოველთვის აღწევდა. სწორედ შარშან მოხდა პირველად, ჩვენებურის გუნდი რომ მეოთხედფინალში დამარცხდა.

პირველ ტურში „კლერმონი“ შინ „სარასენზს“ ეთამაშება. „ვულკანების“ ახალზელანდიელი თავკაცი **ვერნ კოტერი,** როგორც ჩანს, ამ მატჩს და ზოგადად ტურნირს ამჯერად შარშანდელზე მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება და ინგლისელებს უძლიერესი შემადგენლობით დახვდება. მან ქართველი შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში დააყენა.

ჯგუფის და, სავარაუდოდ, გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია პარიზული „მეტრო რასინგი“. **პიერ ბერბიზიემ** ირლანდიაში „ლენსტერთან“ საპაექროდ ასევე უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი. **სებასტიან შაბალი, ლიონელ ნალე, ფრანსუა სტეინი** და **ხუან მარტინ ერნანდესი,** ნებისმიერი გუნდისთვის მრისხანე ძალაა.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ მეტოქეები C ჯგუფში ირლანდიური „მანსტერი“, ინგლისური „ლონდონ აირიში“ და უელსური „ოსფრიზი“ იქნებიან. ჯგუფის ფავორიტი ჩვენებურის გუნდთან ერთად „მანსტერიცაა“, რომელიც წლეულს ბრწყინვალე ფორმაშია და „მაგნერს კაპის“ გათამაშებას ლიდერობს. მანსტერელებმა ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგეს.

ცხადია, გულხელდაკრეფილნი არც ინგლისური და უელსური კლუბები ისხდებიან, თუმცა ტულონელების ამბიციები ნამეტანი მოსძალებიათ. მათი მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** მარტო საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებაზე როდი ოცნებობს. ელიტურ, პირველ დივიზიონში ტულონელები ახლა მესამე ადგილზე არიან, რაც მათ საშუალებას აძლევს, მთელი ძალები „ჰეინეკენის“ თასის გათამაშებაში გადაისროლონ.

შარშან „ტულონმა“ „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ფინალში გააღწია და იქ უელსურ „კარდიფთან“ დამარცხდა.

ბურჯელალის იმედი და გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონია,** რომელიც წლეულს ბრწყინვალე ფორმაშია. პირველ ტურში „ტულონი“ უელსურ „ოსფრიზს“ უმასპინძლებს. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაშია.

შეგახსენებთ, რომ „ჰეინეკენის“ თასის გათამაშება 1996 წლიდან იმართება. ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ მას ფრანგული „ტულუზი“ ფლობდა, რომელიც წლეულსაც ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია. ორ-ორჯერ გაიმარჯვეს „ჰეინეკენის“ თასის გათამაშებაში ინგლისურმა კლუბებმა „ლესტერ ტაიგერზმა“ და „ვოსფსმა“. ასევე ორჯერ შემართა თასი ირლანდიურმა „მანსტერმაც“.

### ჰეინეკენის თასი

**A ჯგუფი**

**ნორსჰემპთონი (ინგ) -კასტრი (საფ), კარდიფი (უელ) -ედინბურგი (შოტ)**

**B ჯგუფი**

**კლერმონი (საფ) -სარასენზი (ინგ), ლენსტერი (ირლ) -მეტრო რასინგი (საფ)**

**C ჯგუფი**

**ტულონი (საფ) -ოსფრიზი (უელ), ლონდონ აირიში (ინგ) -მანსტერი (ირლ)**

**D ჯგუფი**

**ალსტერი (ირ) - აირონი (იტ), ბასი (ინგ) - ბიარიცი (საფ)**

**E ჯგუფი**

**ბენეტონი (იტ) - ლესტერი (ინგ), ჰლანეჰლი (უელ) - პერპინიანი (საფ)**

**F ჯგუფი**

**გლაზგო (შოტ) - ნიუპორტი (უელ), ტულუზი (საფ) - ვოსფსი (ინგ).**

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში ოცი გუნდი ხუთ ჯგუფშია განაწილებული. აქ, როგორც უკვე ვთქვით, ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი ასპარეზობს.

**დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი“ კენჭისყრამ B ჯგუფში გაამწესა, სადაც მას მეტოქეობას ინგლისური „სეილ შარქსი“, ესპანური „ელ სალვადორი“ და იტალიური „პადოვა“ გაუწევენ. ბრივიელებისთვის კონკურენტი მხოლო ინგლისური კლუბია. ვფიქრობთ, ესპანურ და იტალიურ გუნდებს ბრიველები იოლად გაუსწორდებიან, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენებურთა გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს და ამიტომ, შესაძლოა, ძალები დაზოგოს.

პირველ ტურში „ბრივი“ შინ ეთამაშება „პადოვას“.

ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ C ჯგუფშია. მისი მეტოქეები არიან ინგლისური კლუბები „ნიუკასლი“ და „ექსეტერი“ და საფრანგეთის ჩემპიონატის აუტსაიდერი „ბურგუენი“.

პირველ ტურში „მონპელიე“ სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „ექსეტერს“. **ფაბიენ გალტიემ** და **ერიკ ბეშუმ** ინგლისში, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობა იახლეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენებურთა გუნდი „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში სერიოზულ მიზნებს არ ისახავს. „ექსეტერთან“ მატჩში ძირითად შემადგენლობაში არიან შველიძე და ჩხაიძე. გორგოძე, ჟღენტი და ნარიაშვილი განაცხადში არ არიან.

ცხადია, „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ საბრძოლველად არ სცხელა საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს **ბექა შეყლაშვილის** „აჟენსაც“. ჩვენებურის გუნდი E ჯგუფში იასპარეზებს ინგლისურ „გლოსტერთან“, ფრანგულ „ლა როშელთან“ და იტალიურ „როვიგოსთან“ ერთად. მაქსიმუმი, რისი მიღწევაც „აჟენს“ შეუძლია, ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებაა.

ქარის თასი

# ბრძოლა ორი საგზურისთვის

ქარის თასის რეგულარული გათამაშების ბოლო ტურის წინ პლეი ოფში თამაში მხოლოდ ორ გუნდს, დურბანის „ნატალ შარქსს“ და კეიპთაუნის „ვესტერნ პროვანსს“ აქვს განაღდებული. დარჩენილი ორი ადგილისთვის კი სამი გუნდი იბრძვის.

ქარის თასის შარშანდელი გამარჯვებული, პრეტორიის „ბლუ ბულზი“, შესაძლოა, ნახევარფინალის მიღმა დარჩეს. „ლურჯი ხარები“, რომლებიც 42 ქულით მე-4 ადგილზე არიან, სტუმრად ეთამაშებიან უმოტივაციოდ დარჩენილ „გრიკასს“.

პრეტორიელები, ცხადია, ყველაფერს ილონებენ, სირცხვილი რომ არ ჭამონ, მაგრამ გრიკასელებმა, შესაძლოა, სიურპრიზიც შემოგვთავაზონ. ისინი ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალნი არიან და ეცდებიან, მეტოქეს მაქსიმალურად გაუძალიანდნენ, რასაც ვერაფრით ვიტყვით „ბლუ ბულზზე“, რომელიც წლეულს თავის თავს არ ჰგავს.

„ბლუ ბულზი“ ბოლო ტურში საბრძოლო შემადგენლობით ითამაშებს. მწყობრში არიან ფულბეკი **ზან კირხნერი,** შუამარბი **ვინანდ ულიფიე,** მგეზავი **მორნი სტეინი,** დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა მეორეხაზელი **ბაკის ბოთა.**

Planetrugby-ს მიაჩნია, რომ პრეტორიელები პლეი ოფში მოხვედრის შანსს ხელიდან არ გაუშვებენ და მასპინძლებს მინიმუმ 20 ქულით დაამარცხებენ.

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც შესაძლოა, პლეი ოფში ვერ მოხვდეს, ბლუმფონტეინის „ჩიტაზია“, რომელსაც ასევე 42 ქულა აქვს, მაგრამ მე-3 ადგილზეა. ჩიტაზელების საქმე მაინც უკეთესადაა, რადგან სტუმრად აუტსაიდერ „ლეოპარდსს“ ეთამაშებიან, რომელსაც თითქმის ყველა მინიმუმ 30-ქულიანი სხვაობით უგებს. ვფიქრობთ, „ლეოპარდების“ დამარცხება არც ბლუმფონტეინელებს გაუჭირდებათ.

პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს იოჰანესბურგის „ლაიონზი“, რომელიც 37 ქულით მე-5 ადგილზეა. „ლომები“ შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „პუმასს“ ეთამაშებიან და აუცილებლად უნდა მოუგონ, თანაც ისე, რომ მინიმუმ ოთხი ლელო გაუტანონ და ერთი საპრემიო ქულაც მიიღონ. ამასთან, ორი კონკურენტიდან ერთმა უნდა წააგოს.

Planetrugby-ს პროგნოზით, „ლაიონზი“ მინიმუმ 40 ქულით მოიგებს.

ლიდერების, „ნატალ შარქსისა“ და „ვესტერნ პროვანსის“ დაპირისპირებაში, სავარაუდოდ, მეორეადგილოსნის ვინაობა უნდა გაირკვეს. წაგების შემთხვევაში „ზვიგენებს“ პირველ ადგილს მაინც ვერავინ შეეცილება. „დასავლელები“ კი მეორე ადგილს გაინაღდებენ, რაც საშუალებას მისცემთ პლეი ოფში მესამეადგილოსანს შეხვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შესაძლოა, მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ და ნახევარფინალში ისევ „ნატალ შარქსთან“ მოუწიოთ ურთიერთობის გარკვევამ.

**XIV ტური**

**ლეოპარდსი-ჩიტაზი, ლაიონზი-პუმასი, გრიკასი - ბლუ ბულზი, ვესტერნ პროვანსი-ნატალ შარქსი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნატალ შარქსი - 52 ქულა, 2. ვესტერნ პროვანსი - 44, 3. ჩიტაზი - 42, 4. ბლუ ბულზი - 42, 5. ლაიონზი - 37, 6. გრიკასი - 36, 7. პუმასი - 18, 8. ლეოპარდსი - 5.**



ITM-ის თასი

# ვინ იქნება ლიდერი: საუთლენდი თუ ქენთერბერი?

ITM-ის თასის გათამაშების მე-11 ტური პლეი ოფში თამაშისთვის ერთ-ერთი მებრძოლის, „ვაიკატოს“ გამარჯვებით დაიწყო. ვაიკატოელებმა შინ აუტსაიდერ „ოტაგოს“ მოუგეს იოლად - 41:15.

მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი მგეზავი **სტივენ დონალდი** იყო, რომელმაც ორი ლელო, ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (26 ქულა).

მე-11 ტურის ცენტრალური შეხვედრა „საუთლენდისა“ და „ქენთერბერის“ დაპირისპირება იქნება. ამ მატჩში გამარჯვებული სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცევა და ჩემპიონობაზე სერიოზულ განაცხადს გააკეთებს.

შედარებით იოლი მატჩი ელის შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „მანავატუსთან“ მეოთხეადგილოსან „ტარანაკის“. საკმაოდ გაუჭირდება პლეი ოფის საგზურის კიდევ ერთ მაძიებელ „ოქლენდს“, რომელიც უახლოეს მდევარ „მანუკაუს“ სტუმრად ეთამაშება.

**XI ტური**

**ჰოუქს ბეი-ნორთლენდი 25:13, ვაიკატო-ოტაგო 41:15, ტარანაკი-მანავატუ, მანუკაუ-ოკლენდი, საუთლენდი-ქენთერბერი, ნორთ ჰარბორი-ველინგტონი, ტასმანი-ბეო ოფ პლენტი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ვაიკატო - 36 ქულა, 2. ქენთერბერი - 36, 3. საუთლენდი - 34, 4. ტარანაკი - 32, 5. ოკლენდი - 30, 6. ბეი ოფ პლენტი - 30, 7. მანუკაუ - 29, 8. ველინგტონი - 28, 9. ჰოუქს ბეი - 23, 10. ნორთლენდი - 22, 11. ნორთ ჰარბორი - 19, 12. მანავატუ - 12, 13. ტასმანი - 11, 14. ოტაგო - 10.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

უცხოური სპორტი

კალათბურთი

# ევროლიგამ NBA-ს მოუგო


სტუმართაგან გასოლი საუკეთესო იყო

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ზედიზედ მეორე საჩვენებელი შეხვედრა წააგო. ამჯერად NBA-ის ჩემპიონი ევროლიგის საუკეთესო გუნდთან - „ბარსელონასთან" დამარცხდა, რომელმაც მატჩის მსვლელობისას შეძლო 12-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება.

ბარსელონაში გამართულ შეხვედრას კალიფორნიელები თავიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ. სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა **კობი ბრაიანტი**, რომელმაც პირველი ქულა საჯარიმო ტყორცნით მოიპოვა. **პაუ გასოლთან** ერთად კობიმ ძალიან გაანწვალა კატალონელთა დაცვა და ესპანელ ლეგიონერს პირველ მეოთხედში 13 ქულის დაგროვებაში დაეხმარა. მაგრამ „ბარსამ" ამ დუეტს **ხუან კარლოს ნავარო** დაუპირისპირა, რომელიც არ შეუშინდა სტუმართა დაცვას და თავისი აქტიური მოქმედებით პარტნიორებს პირველ მეოთხედში 6-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილებინა. ნავაროს **ერაზემ ლორბეკიც** დაეხმარა, რომელმაც ზუსტი სამქულიანით გაათანაბრა ანგარიში. სლოვენიელს მეოთხედის ბოლოსაც შეეძლო იმავეს გაკეთება, მაგრამ 21:24-ზე შეცდომა დაუშვა.

მეორე 10-წუთეულში ლიდერებმა პაუზის აღება გადაწყვიტეს. ბრაიანტი სათადარიგოთა სკამზე დაჯდა, გასოლი და ნავარო ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდნენ. პაუ მხოლოდ მეოთხედის ბოლოს გააქტიურდა, იქვე ხუან კარლოსმაც „გაილვიძა" და ზუსტი სამქულიანით გამოიჩინა თავი. შემდეგ კი შედეგიანი პასიც გააკეთა, თუმცა დიდი შესვენებისთვის არაფერი იყო გარკვეული - „ბარსას" ერთქულიანი უპირატესობა ჰქონდა.

„ლეიკერსმა" მესამე მეოთხედის სტარტზე სცადა გაქცევა - ზედიზედ შვიდი ქულა აიღეს **რონ არტესტმა, ლამარ ოდომმა** და ბრაიანტმა. თითქოს „ბარსელონას" დაცვამ გაუძლო შტურმს - ლორბეკმა თითოჯერ დაუფარა ოდომსა და ბრაიანტს და ერთხელ ჩაჭრაც გამოუვიდა, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით NBA-ის ჩემპიონის უპირატესობა 12 ქულამდე გაიზარდა. თუმცა მატჩის სურათი მალე შეიცვალა - ბრაიანტის პერსონალურებისა და **ტერენს მორისის** ზუსტი ტყორცნების შემდეგ „ლეიკერსის" უპირატესობისგან თითქმის აღარაფერი დარჩა - მხოლოდ ორი ქულა ბოლო მეოთხედის წინ.

მეოთხე მეოთხედის დასაწყისში ეს სხვაობაც გაქრა, როცა ნავარომ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. რაც მთავარია, მისი კარგი თამაში პარტნიორებსაც გადაედოთ, რასაც ვერ ვიტყვით „ლეიკერსის" კალათბურთელებზე, რომლებმაც მხარი ვერ აუბეს ბრწყინვალედ მოთამაშე პაუ გასოლს.

25 წამით ადრე სხვაობა სულ ორი ქულა იყო მასპინძლების სასარგებლოდ. „ბარსელონამ" მეტოქეს იმით აჯობა, რომ გადამწყვეტ მომენტში ზუსტად შეასრულა საჯარიმოები - ამ მხრივ თავი გამოიჩინეს იმავე ნავარომ და **პიტ მაიკლმა**. ხოლო კობი ბრაიანტის ერთი აცილებული ტყორცნა „ლეიკერსს" ძვირად დაუჯდა. „ბარსელონამ" ოთხი ქულით გაიმარჯვა.

**ბარსელონა-ლეიკერსი 92:88**

21:24, 24:20, 23:26, 24:18

ბ: მიკელი (26+13 მოხსნა+7 პასი), ნავარო (25+6 პასი), მორისი (12+7 მოხსნა), ვასკესი (10+7 მოხსნა).

ლ: გასოლი (25+10 მოხსნა), ბრაიანტი (15), ფიშერი (12), ოდომი (12+18 მოხსნა), არტესტი (10+4 ჩაჭრა).

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 92:96**

28:19, 26:37, 15:21, 23:19

ნ-ჯ: ლოპესი (23), უილიამსი (17), სმიტი (10).

ბ: დევისი (20), რობინსონი (17+5 პასი), პირსი (15+6 მოხსნა), დ. უესტი (12+6 მოხსნა).

**კლივლენდი-ვაშინგტონი 83:97**

20:16, 14:17, 19:28, 30:36

კ: ჰიქსონი (16+8 მოხსნა), გიბსონი (10), სეშენსი (10+10 მოხსნა+6 პასი), ჰოლინზი (6+14 მოხსნა).

ვ: იანლიანი (16+7 მოხსნა), არენასი (13), ბლეტჩი (13+7 მოხსნა), ტორნტონი (13), უოლი (12+9 პასი).

**ატლანტა-მემფისი 111:114 (ო)**

22:11, 32:22, 18:42, 27:24, 12:15

ა: ტიგი (20+6 პასი), უილიამსი (18+10 მოხსნა), სმიტი (15), კროუფორდი (13), ჯონსონი (10), ფაჩულია (8+7 მოხსნა).

მ: ლოუ (19+5 პასი), რენდოლფი (18+8 მოხსნა), გეი (18), იანგი (13), კონლი (13), ალენი (10).

**დალასი-ჩიკაგო 88:83**

18:23, 27:21, 21:19, 22:20

დ: ნოვიცკი (30+10 მოხსნა), ბატლერი (22), ტერი (13), ჰეივუდი (3+9 მოხსნა).

ჩ: როუზი (17), ნოა (13+8 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ბოგანსი (10), კორვერი (10).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 90:87**

23:32, 27:18, 27:18, 13:19

ჰ: მარტინი (21), ჰილი (16), ბრუქსი (14), ლი (11), იაო მინი (5+7 მოხსნა), ჰეიესი (3+10 მოხსნა).

ს-ა: ბლერი (12+8 მოხსნა), კაზინი (10+8 მოხსნა), პარკერი (10+5 პასი), დანკანი (7+7 მოხსნა).

**იუტა-პორტლენდი 100:96**

31:15, 27:40, 21:14, 21:27

ი: უილიამსი (15+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), მილსეპი (14+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

პ: მეტიუზი (21+5 პასი), კანინგემი (18+10 მოხსნა), ფერნანდესი (15), ოლდრიჯი (15).

**საკრამენტო-კლიპერსი 88:120**

24:33, 14:30, 23:28, 27:29

ს: კაზინსი (15), კ. ლენდრი (14), ევანსი (11), ჰედი (11), გრინი (10).

კ: კამანი (20), გრიფინი (18+13 მოხსნა), ამინუ (17+8 მოხსნა), გორდონი (12), დენისი (11) , სმიტი (10), კუკი (10), ფოიე (7+8 პასი).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მარცხი ახალ არენაზე

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში „კაროლინასა" და „მინესოტას" მატჩით გაიხსნა ჰოკეის ეროვნული ლიგის 93-ე სეზონი. სტუმრის სტატუსით მოთამაშე „კაროლინამ" 4:3 მოიგო, ხოლო ახალი ჩემპიონატის პირველი გოლი მინესოტელმა **გიიომ ლატენდრესმა** ჩაიწერა აქტივში.

მაგრამ ოკეანისგაღმელ გულშემატკივრებს პირველ დღეს სულ სხვა მატჩი აინტერესებდათ. პიტსბურგში გამართული შეხვედრა განსაკუთრებული იყო: „პინგვინებმა" ახალი სტადიონი - Consol Arena გახსნეს, რომელმაც მოძველებული Mellon Arena შეცვალა - ეს უკანასკნელი ტევადობის მხრივ ბოლოდან მესამე იყო ლიგაში. მატჩის წინ მოედანზე გავიდა „პიტსბურგის" ლეგენდა **მარიო ლემიე** და Mellon Arena-ს დამდნარი ყინულისგან მიღებული წყალი მოედნის ცენტრში დაღვარა. პიტსბურგში ახალი სეზონის დაწყება მართლაც ამაღელვებელი გამოვიდა და მისი ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო „პინგვინზის" პირველი მოგება ჩემპიონატში. მათი მეტოქე „ფილადელფია ფლაიერზი"იყო.

მეკარე **მაიკლ ლეიტონის** ტრავმის გამო, სტუმართა მთავარი მწვრთნელი **პიტერ ლავიოლეტი** იძულებული გახდა კარში დაეყენებინა რუსი დებიუტანტი **სერგეი ბობროვსკი**, რომელიც ამ ზაფხულს გადავიდა NHL-ში. სწორედ ეს მეკარე გახდა მატჩის პირველი ვარსკვლავი. მან 29 დარტყმა მოიგერია და თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა „პიტსბურგის" ვარსკვლავებს - **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინს**, რომლებმაც უქულოდ დაასრულეს პირველი შეხვედრა.

„ტორონტოსა" და „მონრეალის" კანადურ დერბიში ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ, პირველ რიგში იმიტომ, რომ „კანადიენსმა" „სენტ ლუისში" გაუშვა შარშანდელი პლეი ოფის გმირი, სლოვაკი მეკარე **იაროსლავ ჰალაკი**. პროგნოზი გამართლდა - ტორონტოელებმა მინიმალური ანგარიშით - 3:2 მოიგეს.

პირველ სათამაშო დღეს კიდევ ერთმა რუსმა მეკარემ გამოიჩინა თავი - სეზონის პირველი „შათაუტი" დააფიქსირა **ნიკოლაი ხაბიბულინმა**, მისმა „ედმონტონმა" კი 4:0 დაამარცხა „კალგარი". გოლი და შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში **ჯორდან ებერლემ**.


ახალი არენა მარიო ლემიემ გახსნა

წაგებით დაიწყო სეზონი სტენლის თასის მფლობელმა „ჩიკაგომ". მუდმივად მდევრის როლში მყოფმა „ბლეკჰოქსმა" „კოლორადოსთან" მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, მაგრამ შეხვედრის გმირმა **პოლ შჩასტნიმ** გამარჯვება მოუტანა „ზვავებს". ამერიკელი ფორვარდი სეზონში პირველი დუბლის ავტორი გახდა.

**მინესოტა-კაროლინა 3:4**

1:1, 1:3, 1:0

**გოლები:** 1:0 ლატენდრესი-1 (მ. კოივუ-1, ბროძიაკი-1), 1:1 სატერი-1 (ი. იოკინენი-1, მაკბეინი-1), 1:2 ბაბჩუკი-1 (ე. კოული-1, დელპი-1), 2:2 კულენი-1 (ჰავლატი-), 2:3 ი. იოკინენი-1 (კორვო-1, პიტკანენი-1), 2:4 სატერი-2 (დუაიერი-1, გლისონი-1), 3:4 ბერნსი-1 (მიეტინენი-1, კულენი-1).

**პიტსბურგი-ფილადელფია 2:3**

0:0, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ბრიერი-1 (მ. რიჩარდსი-1, ლეინო-1), 0:2 ბეტსი-1 (პოუ-1, ვან რიმსდიკი-1), 1:2 ტაილერ კენედი-1 (მარტინი-1, ლეტანგი-1), 1:3 ჟირუ-1, 2:3 გოლიგოსკი-1 (ზ. მიხალეკი-1, კუნიტცი-1).

**ტორონტო-მონრეალი 3:2**

2:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ბრენტი-1 (ფანოფი-1), 2:0 კესელი-1 (ბოჟაკი-1, კომისარეკი-1), 2:1 ბოიდი-1, 3:1 მაკარტური-1 (კულემინი-1, გრაბოვსკი-1), 3:2 ჰალპერნი-1 (ლაპიერი-1, პუიო-1).

**კოლორადო-ჩიკაგო 4:3 (ო)**

1:1, 2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბიკელი-1 (მარიან ჰოსა-1, ბროუერი-1), 1:1 კ. სტიუარტი-1, 2:1 დუშენი-1 (ფუტი-1, კამისკი-1), 3:1 პ. შჩასტნი-1 (ლაილზი-1, კ. სტიუარტი-1), 3:2 მარიან ჰოსა-1 (შარპი-1, კოპეცკი-1), 3:3 შარპი-1 (კოპეცკი-2, ტეუვზი-1), 4:3 პ. შჩასტნი-2 (დუშენი-1, ლაილზი-2).

**ედმონტონი-კალგარი 4:0**

1:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 ბრული-1 (რაიან უიტნი-1), 2:0 ებერლე-1 (ვანდერმეერი-1), 3:0 ჰემსკი-1 (სემ განიე-1, შმიდი-1), 4:0 პორკოფი-1 (ებერლე-1, რაიან უიტნი-2).

ჰოკეი. NHL ოქტომბრის კალენდარი

**8 ოქტომბერი**

კაროლინა-მინესოტა
სან ხოსე-კოლამბუსი
დეტროიტი-ანაჰაიმი
ნიუ ჯერსი-დალასი
ატლანტა-ვაშინგტონი
ოტავა-ბაფალო

**9 ოქტომბერი**

ბოსტონი-ფინიქსი
კოლამბუსი-სან ხოსე
ბაფალო-რეინჯერსი
აილენდერსი-დალასი
პიტსბურგი-მონრეალი
ტორონტო-ოტავა
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-ატლანტა
ნეშვილი-ანაჰაიმი
სენტ ლუისი-ფილადელფია
ჩიკაგო-დეტროიტი
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი

**10 ოქტომბერი**

ფინიქსი-ბოსტონი
კალგარი-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-ფლორიდა

**11 ოქტომბერი**

ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
აილენდერსი-რეინჯერსი
სენტ ლუისი-ანაჰაიმი
ბაფალო-ჩიკაგო
ფილადელფია-კოლორადო
ვაშინგტონი-ოტავა
ვანკუვერი-ფლორიდა

**12 ოქტომბერი**

დეტროიტი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ატლანტა

**13 ოქტომბერი**

ბაფალო-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-აილენდერსი
მონრეალი-ტამპა ბეი
პიტსბურგი-ტორონტო
ჩიკაგო-ნეშვილი
ანაჰაიმი-ვანკუვერი

**14 ოქტომბერი**

ფილადელფია-ტამპა ბეი
ოტავა-კაროლინა
ნეშვილი-სენტ ლუისი
დალასი-დეტროიტი
მინესოტა-ედმონტონი
კალგარი-ფლორიდა

**15 ოქტომბერი**

კოლამბუსი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-კოლორადო
რეინჯერსი-ტორონტო
პიტსბურგი-აილენდერსი
ბაფალო-მონრეალი
ანაჰაიმი-ატლანტა
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი

**16 ოქტომბერი**

ფლორიდა-ტამპა ბეი
მონრეალი-ოტავა
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
აილენდერსი-კოლორადო
ფილადელფია-პიტსბურგი
დალასი-სენტ ლუისი
მინესოტა-კოლამბუსი
ნეშვილი-ვაშინგტონი
ჩიკაგო-ბაფალო
ფინიქსი-დეტროიტი
კალგარი-ედმონტონი
სან ხოსე-ატლანტა

**17 ოქტომბერი**

ანაჰაიმი-ფინიქსი
ვანკუვერი-კაროლინა

**18 ოქტომბერი**

რეინჯერსი-კოლორადო
პიტსბურგი-ოტავა
ტორონტო-აილენდერსი
ტამპა ბეი-დალასი
ჩიკაგო-სენტ ლუისი

**19 ოქტომბერი**

ვაშინგტონი-ბოსტონი
ნეშვილი-კალგარი
მინესოტა-ვანკუვერი
სან ხოსე-კაროლინა

**20 ოქტომბერი**

ატლანტა-ბაფალო
კოლამბუსი-ანაჰაიმი
ჩიკაგო-ვანკუვერი
ლოს ანჯელესი-კაროლინა

**21 ოქტომბერი**

ბოსტონი-ვაშინგტონი
დეტროიტი-კალგარი
ფილადელფია-ანაჰაიმი
ტორონტო-რეინჯერსი
ფლორიდა-დალასი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-აილენდერსი
ნეშვილი-პიტსბურგი
კოლორადო-სან ხოსე
ედმონტონი-მინესოტა
ფინიქსი-ლოს ანჯელესი

**22 ოქტომბერი**

კოლამბუსი-კალგარი
ატლანტა-ტამპა ბეი
ბაფალო-ოტავა
სენტ ლუისი-ჩიკაგო
ვანკუვერი-მინესოტა

**23 ოქტომბერი**

ბოსტონი-რეინჯერსი
დეტროიტი-ანაჰაიმი
ფლორიდა-აილენდერსი
ნიუ ჯერსი-ბაფალო
ოტავა-მონრეალი
ფილადელფია-ტორონტო
ვაშინგტონი-ატლანტა
დალასი-ნეშვილი
სენტ ლუისი-პიტსბურგი
ჩიკაგო-კოლამბუსი
კოლორადო-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-კაროლინა
ედმონტონი-სან ხოსე

**24 ოქტომბერი**

ტამპა ბეი-ნეშვილი
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
კალგარი-სან ხოსე

**25 ოქტომბერი**

კოლამბუსი-ფილადელფია
მონრეალი-ფინიქსი
მინესოტა-ლოს ანჯელესი

**26 ოქტომბერი**

ფილადელფია-ბაფალო
ტორონტო-ფლორიდა
ოტავა-ფინიქსი
კალგარი-ედმონტონი
დალასი-ანაჰაიმი
ვანკუვერი-კოლორადო

**27 ოქტომბერი**

კაროლინა-ვაშინგტონი
რეინჯერსი-ატლანტა
მონრეალი-აილენდერსი
ტამპა ბეი-პიტსბურგი
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ნიუ ჯერსი

**28 ოქტომბერი**

ბოსტონი-ტორონტო
კოლამბუსი-ედმონტონი
დეტროიტი-ფინიქსი
ოტავა-ფლორიდა
მინესოტა-ვაშინგტონი
ნეშვილი-სენტ ლუისი
დალასი-ლოს ანჯელესი
კალგარი-კოლორადო

**29 ოქტომბერი**

აილენდერსი-მონრეალი
რეინჯერსი-კაროლინა
პიტსბურგი-ფილადელფია
ატლანტა-ბაფალო
ჩიკაგო-ედმონტონი
ანაჰაიმი-ნიუ ჯერსი

**30 ოქტომბერი**

კაროლინა-პიტსბურგი
დეტროიტი-ნეშვილი
მონრეალი-ფლორიდა
ოტავა-ბოსტონი
ფილადელფია-აილენდერსი
ტორონტო-რეინჯერსი
დალასი-ბაფალო
მინესოტა-ჩიკაგო
სენტ ლუისი-ატლანტა
კოლორადო-კოლამბუსი
ფინიქსი-ტამპა ბეი
კალგარი-ვაშინგტონი
ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი
სან ხოსე-ანაჰაიმი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. იაპონიის გრან-პრი

# რედ ბულს ვერავინ ეწევა

## მერსედესმა მიხაელ შუმახერს ულტიმატუმი წაუყენა

როგორც მოსალოდნელი იყო, „რედ ბულის" დომინირებით დაიწყო იაპონიის გრან-პრი. გუშინ ორივე საწვრთნელი სესია ამ საჯინიბოს გამარჯვებით დასრულდა.

უკვე მრავალი წელია იაპონური ეტაპი ჩემპიონატის ბოლოს ტარდება და აქ არაერთი საჩემპიონო ტიტულის ბედი გადაწყვეტილა. მიუხედავად იმისა, რომ წელს „სუზუკას" რბოლას კიდევ სამი ეტაპი მოჰყვება, სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იაპონიაში ტრადიციულად წარმტაც და დაძაბულ ბრძოლას ვიხილავთ, რადგან ჩემპიონის ტიტულისთვის კვლავაც ხუთი პილოტი აცხადებს პრეტენზიას.

„სუზუკას" ტრასა უნიკალურია - ის არ გამოირჩევა მაღალი საშუალო სიჩქარითა და ბევრი სწორი მონაკვეთით, სამაგიეროდ, სწრაფი მოსახვევები მრავლად არის. სწორედ ამ მიზეზის გამო, უახლოეს უქმეებზე გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად **სებასტიან ფეტელი** და **მარკ უებერი** მიიჩნევიან. მათი ბოლიდები ხომ იდეალურად ერგებიან ტრასის ამ პროფილს. გარდა ამისა, გასულ წელს კვალიფიკაციასა და რბოლაში გამარჯვება სწორედ ფეტელმა მოიპოვა.

„სუზუკაზე" რბოლა **ფერნანდო ალონსოსაც** აქვს მოგებული, თუმცა ეს შორეულ 2006 წელს მოხდა, როცა ესპანელი „რენოს" ღირსებას იცავდა. ახლა ნანდოს იმედი აქვს, რომ „ფერარის" მანქანით მოიპოვებს გამარჯვებას. მას ამაში თანაგუნდელი **ფელიპე მასა** უნდა დაეხმაროს - ბრაზილიელმა დიდი ხანია დაკარგა ჩემპიონობის შანსები და ახლა იძულებულია „სკუდერიას" სასარგებლოდ იმუშაოს.

„მაკლარენის" მრბოლელები იაპონიაში დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. **ჯენსონ ბატონმა** რვაჯერ მიიღო მონაწილეობა ამ ეტაპში და 24 ქულა დააგროვა, აქედან ერთადერთხელ მოხვდა პოდიუმზე. ჰემილტონი კი შარშან პირველად გამოვიდა „სუზუკაზე" და რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა.

ლუისმა, რომელიც ბოლო ორი გრან-პრის ანტიგმირი აღმოჩნდა, გუშინ გააგრძელა თავისი უიღბლო სერია. პირველი თავისუფალი სესიის შუაში ბრიტანელმა Degner-ის მოსახვევში დაუშვა შეცდომა და ბოლიდი დაამტვრია. თანაც ისე, რომ მეორე სესიაში მხოლოდ რამდენიმე წუთი მოასწრო ტრასაზე გასვლა და მხოლოდ მე-13 დრო აჩვენა.

ორივე სესია სებასტიან ფეტელმა მოიგო, რომელმაც უკან ჩამოიტოვა უებერი. ასევე ორივე შემთხვევაში „რედ ბულის" წყვილს ყველაზე ახლოს „რენოს" პილოტი **რობერტ კუბიცა** მიუახლოვდა. მეოთხე იყო ფერნანდო ალონსო, ხოლო ერთადერთი გადარჩენილი „მაკლარენი" (საჭესთან ჯენსონ ბატონი) მეექვსე იყო - ფელიპე მასას უკან.

■ ■ ■

ჰემილტონისა არ იყოს, არც ისე სასიამოვნო განწყობით ხვდება იაპონიის გრან-პრის **მიხაელ შუმახერი**. გერმანული „ბილდის" ინფორმაციით, „მერსედეს გრან-პრის" ბოსმა **როს ბრაუნმა** ულტიმატუმი წაუყენა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს: მიხაელი 2011 წელს დაიწყებს მისი სტატუსის შესაფერისი შედეგების ჩვენებას ან გუნდის ხელმძღვანელობა სამ წელზე გათვლილ კონტრაქტს გაუუქმებს.

*„სრულიად მაკმაყოფილებს ის შედეგები, რომელსაც ნიკო როსბერგი აჩვენებს,* - განაცხადა ბრაუნმა. - *მიხაელისგან კი ამაოდ ველოდებით პროგრესს. გუნდის პროდუქტიულობისთვის საჭიროა ორივე პილოტი მაქსიმალურად მაღალ დონეზე გამოვიდეს და ერთმანეთში კონკურენცია გააჩაღოს. ჩვენ არ გვაწყობს ისეთი სიტუაცია, როცა ერთი პილოტი მეორეს ძალიან ჩამორჩება".*

თავად შუმახერმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ წელს მისგან მაღალ შედეგებს არ უნდა ველოდოთ და ის მთლიანად 2011 წლის სეზონზეა გადართული. ბრაუნმა კი ცხადად მიანიშნა გერმანელს, რომ „მერსედესი" მზად არის კიდევ ერთი შანსი მისცეს შუმახერს, მაგრამ თუ მომავალ წელს ის როსბერგს ვერ გაუთანაბრდება, 2012 წელს „წითელი ბარონის" ადგილი გუნდში აღარ იქნება.

გერმანულმა პრესამ სამართლიანად გააკრიტიკა მიხაელი სინგაპურის გრან-პრის შემდეგ. შუმახერმა, რომლისგანაც სეზონის წინ სასწაულს ელოდნენ, უკვე 15 რბოლა ჩაატარა და ვერც ერთ ეტაპზე პოდიუმზე ასვლა ვერ შეძლო.

**იაპონიის გრან-პრის განრიგი**

**შაბათი**

კვალიფიკაცია - 09:00

**კვირა**

რბოლა - 10:00



ჰემილტონის ბოლიდი ავარიის შემდეგ

# ბრიატორეს პროგნოზი

„რენოს" ყოფილმა ბოსმა **ფლავიო ბრიატორემ** მსოფლიოს ჩემპიონობის ხუთი პრეტენდენტის შანსები შეაფასა. იტალიელმა კიდევ ერთხელ გაიმეორა საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „რედ ბულმა" აქცენტი სეზონის ლიდერ **მარკ უებერზე** უნდა გადაიტანოს და აღარ უნდა მისცეს თავის პილოტებს თანაბარი შანსი.

სინგაპურის გრან-პრიზე „რედ ბულის" პილოტებმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, ამასთან, **ფეტელმა** თანაგუნდელზე ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი, არადა პირად ჩათვლაში 20 ქულას აგებს უებერთან - ასეთ ტაქტიკას ბრიატორემ „გაუგებარი" უწოდა.

*„ბევრი ისეთი საკითხია, რომელიც არ მესმის,* - ამბობს ფლავიო „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - *სინგაპურში ფეტელმა ქულები აართვა უებერს, რითაც დიდი საჩუქარი გაუკეთა „ფერარის". მართალია, იმ რბოლაში მარკი არც ისე კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ამ ფაქტს მაინც გაუგებრობას ვუწოდებ. შეიძლება საქმე იმაში მდგომარეობს, რომ „რედ ბული" აქცენტს კონსტრუქტორთა თასზე აკეთებს".*

ბრიატორე, რომელიც დღემდე უებერის მენეჯერია, ავსტრალიელს მიმდინარე სეზონის მთავარ აღმოჩენას უწოდებს: *„მარკი ბრწყინვალე ადამიანი, პატიოსანი სპორტსმენი და უმაღლესი კლასის პილოტია. იმის მიუხედავად, როგორ დასრულდება სეზონი, ის ჩემპიონატის მთავარი სიურპრიზის ავტორად უნდა მოვნათლოთ. მარკს სათვალავში არავინ აგდებდა, მაგრამ მან მოიპოვა ფავორიტის სტატუსი, გამოავლინა საუკეთესო თვისებები, რომლის შესახებაც მე უკვე მრავალი წელია ვიცოდი.*

*უებერი შესანიშნავად იყენებს ყოველ შანსს და იაპონიის რბოლაშიც ველი მისგან შეტევას".*

ამავდროულად, ფლავიო ბრიატორე მიიჩნევს, რომ დღევანდელ ფორმულა 1-ში საუკეთესო პილოტი **ფერნანდო ალონსოა.** სწორედ ესპანელმა მოუტანა იტალიელის გუნდს ჩემპიონობა 2005 და 2006 წლებში.

*„ალონსო ყველაზე ძლიერია, მან იცის, როგორ წაიყვანოს გუნდი სწორი მიმართულებით. ესპანელის გარეშე „რენო" ორჯერ ვერ მოიგებდა მსოფლიოს ჩემპიონატს,* - ირწმუნება ბრიატორე. - *ის უმაღლესი კლასის ავტომრბოლია, ხოლო „ფერარიმ" ბოლო ორ რბოლაში საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა თავი. ფერნანდომ თავისი კლასი და სისწრაფე აჩვენა, მექანიკოსებმა ამას პიტსტოპებზე მუშაობის ოსტატობა დაუმატეს, ინჟინრებმა კი მანქანა ახალი დეტალებით აღჭურვეს".*

გარდა ამისა, ფლავიომ აღნიშნა, რომ ფელიპე მასა არ უნდა შემოიფარგლოს მეორე პილოტის როლით: *„ის სწრაფი და ძლიერია, მაგრამ უნდა მიხვდეს, რომ მასთან ერთად გუნდში განსაკუთრებული პილოტი ირიცხება. მე რომ აღმოვჩენილიყავი მსგავს სიტუაციაში, იოლად გადავჭრიდი ამ პრობლემას".*

იტალიელ ბიზნესმენს არც **ლუის ჰემილტონი** დავიწყებია. როგორც ბრიატორეს მიაჩნია, ბრიტანელმა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ტიტულის დაკარგვა, რადგან სეზონის მსვლელობისას ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა.

*„ჰემილტონმა თავად გააკეთა ყველაფერი. სინგაპურში მისი გასწრების მცდელობა აუცილებლად მარკ უებერთან შეჯახებით უნდა დასრულებულიყო. ორი გავარდნა ორ რბოლაში - უმძიმესი დარტყმაა: დასანანია სეზონის ასეთ სტილში ნაგება,* - ამბობს ფლავიო. - *ეს უკვე მეორედ ხდება - მან თითქმის იგივე შეცდომები დაუშვა 2007 წელს. ლუისს უფრო მეტი მოთმინება რომ ჰქონდეს, ტიტულისთვის ბრძოლის მთავარი პრეტენდენტი იქნებოდა".*

რაც შეეხება ჩემპიონობის მეხუთე პრეტენდენტს **ჯენსონ ბატონს**, მისთან მიმართებაში იტალიელის პროგნოზი არასახარბიელოა: *„ვერ ვხედავ, რის ხარჯზე შეიძლება მოიპოვოს მან ტიტული".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2011 — UNDER 21**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-საბერძნეთი | 3:0 |
| იტალია-ბელარუსი | 2:0 |
| ინგლისი-რუმინეთი | 2:1 |

**ევრო 2011 — UNDER 19**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-სან მარინო | 3:0 |
| ავსტრია-ჩერნოგორია | 1:1 |
| გერმანია-ანდორა | 10:0 |
| შვეიცარია-ჩრ. ირლანდია | 0:0 |
| ინგლისი-ალბანეთი | 6:1 |
| ბელგია-კვიპროსი | 4:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იაპონია-არგენტინა | 1:0 |
| ტაივანი-მაკაო | გადაიდო |
| ჩინეთი-სირია | 2:1 |
| ომანი-გაბონი | 1:0 |
| ინდონეზია-ურუგვაი | 1:7 |
| ინდოეთი-ვიეტნამი | 3:1 |
| ქუვეითი-ბაჰრეინი | 1:3 |
| უკრაინა-კანადა | 2:2 |

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-თურქეთი | 2:0 |

**ფინეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კლუბი-იიპო | 0:2 |

**თურქეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სამსუნი-ადანა | 3:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა — კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| ხიმკი-ლე მანი | 87:66 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ლუდვიგსბურგი-გისენი | 58:64 |
| მიტელდოიჩე-ბრემერჰავენი | 78:86 |
| ოლდენბურგი-ბრაუნშვაიგი | 72:68 |
| ტრირი-ტუბინგენი | 68:63 |
| ჰაგენი-ბამბერგი | 65:71 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შოლე-პო ორტეზი | 89:51 |

**ჰოკეი — კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ამური | 4:2 |
| სიბირი-ბარისი | 1:3 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 3:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ლინცი | 9:0 |
| ალბა-კლაგენფიურტი | 5:5 დ.დ. 5:6 |
| ვენა-ზალცბურგი | 7:1 |
| ვილახი-ოლიმპია | 6:3 |
| გრაცი-აკრონი | 3:5 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 2:3 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 4:7 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 1:3 |
| ნიურნბერგი-მიუნხენი | 4:6 |
| აისბარენი-ჰამბურგი | 2:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ოდენსე | 7:4 |
| სონდერიისკი-როდოვრე | 9:2 |
| ფრედრიკშავენი-ოლბორგი | 3:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-კარლ. ვარი | 3:3 ბულ. 0:1 |
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 2:3 |
| კლადნო-პლზენი | 3:3 |
| ბოლესლავი-ლიბერეცი | 3:5 |
| ბრნო-ვიტკოვიცე | 4:1 |
| პარდუბიცე-სლავია | 2:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-რაპერსვილი | 3:2 |
| დავოსი-ცუგი | 1:1 ბულ. 2:1 |
| კლოტენი-ამბრი | 5:2 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| სერვეტი-ბილი | 1:5 |
| ციურიხი-ლანგნაუ | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-სიმონი | 6:3, 6:2 |
| დავიდენკო-ისნერი | 6:7, 4:6 |
| სიოდერლინგი-ფერერი | 2:6, 4:6 |
| მიურეი-ლუბიჩიჩი | 3:6, 2:6 |

**ATP. ტოკიო**

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-ნიემინენი | უარი |
| როდიკი-მონფილსი | 6:7, 6:4, 6:7 |
| ნადალი-ტურსუნოვი | 6:4, 6:1 |
| ტროიცკი-გარსია ლოპესი | 6:2, 3:6, 6:4 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| ზვონარევა-სკიავონე | 6:0, 6:2 |
| ნა ლი-სევასტოვა | 7:6, 6:3 |
| ვოზნიაცკი-ივანოვიჩი | 7:6, 6:4 |
| პეერი-ბაშჩინსკი | 7:6, 6:4 |

TV პროგრამა

**9 ოქტომბერი. შაბათი**

**I არხი**

17:00 წყალბურთი. LEN Trophy. I საკვალიფიკაციო ეტაპი. ლეგამუს თბილისი-ოლიმპიკი (საფრანგეთი) (LIVE).
18:30 ქართული ჭიდაობა. საქართველოს პრეზიდენტის თასი (LIVE).
00:00 წყალბურთი. LEN Trophy. I საკვალიფიკაციო ეტაპი. ჰონვედი (უნგრეთი)-პოსილიპო (იტალია).

**რუსთავი 2**

12:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:40 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ყაზახეთი-ბელგია.
08:30 საფეხბურთო კლუბი.
09:20 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. უელსი-ბულგარეთი.
11:10 სასტვენი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-შვეიცარია.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:30 ახალი ამბები.
15:50 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-თურქეთი.
17:40 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ავსტრია-აზერბაიჯანი.
19:30 ახალი ამბები.
19:55 ევრო 2011. 21-წლამდელები. პლეი ოფი. I მატჩი. ინგლისი-რუმინეთი.
21:45 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ყაზახეთი-ბელგია.
23:35 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. უელსი-ბულგარეთი.
01:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ატ. პარანაენსე (LIVE).
03:25 საფეხბურთო კლუბი.
04:15 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-შვეიცარია.

**EUROSPORT**

10:30 ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. 1/2 ფინალი.
14:55 ოლიმპიური თამაშები. ლონდონი 2012. ტელეჟურნალი.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩრ. ირლანდია-იტალია.
16:45 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. I რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-რუსეთი.
18:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. 1/2 ფინალი.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-რუსეთი.
21:30 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
22:30 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კენტუკი. აშშ (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
01:45 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩრ. ირლანდია-იტალია.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-რუსეთი.
03:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.

**10 ოქტომბერი. კვირა**

**I არხი**

13:30 წყალბურთი. LEN Trophy. I საკვალიფიკაციო ეტაპი. ლეგამუს თბილისი-პოსილიპო (იტალია) (LIVE).
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:05 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-თურქეთი.
07:55 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ავსტრია-აზერბაიჯანი.
09:45 ევრო 2011. 21-წლამდელები. პლეი ოფი. I მატჩი. ინგლისი-რუმინეთი.
11:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ატ. პარანაენსე.
14:10 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ყაზახეთი-ბელგია.
16:00 ახალი ამბები.
16:20 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. უელსი-ბულგარეთი.
18:10 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-შვეიცარია.
19:55 ახალი ამბები.
20:20 საფეხბურთო კლუბი.
21:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ატ. პარანაენსე.
22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-ფლუმინენსე (LIVE).
01:00 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-თურქეთი.
02:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-ფლუმინენსე.
04:40 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ავსტრია-აზერბაიჯანი.

**EUROSPORT**

10:35 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
11:30 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჩრ. ირლანდია-იტალია.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-რუსეთი.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ახალი ამბები.
14:00 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კენტუკი. აშშ.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. ფინალი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პარიზის ტური. საფრანგეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ახალი ამბები.
21:00 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კენტუკი. აშშ (LIVE).
22:15 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. II რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი.
22:45 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
23:00 კრივი. Super Six World Boxing Classic. საშუალო წონა. ა. უორდი (აშშ)-ე. გრინი (აშშ). აშშ.
01:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. ფინალი.
02:15 ველოსპორტი. პარიზის ტური. საფრანგეთი.
03:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

# კაროლინ ვოზნიაცკის ცხოვრების წესები

**მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი კაროლინ ვოზნიაცკი გვიყვება თავისი ცხოვრების საუკეთესო და უარეს მომენტებზე, მშობლიურ ქალაქსა და ოჯახზე, შიშებსა და იმედებზე, აგრეთვე ბოიფრენდის ძიების სირთულეებზე.**

**ქალაქი, სადაც მე დავიბადე** - ოდენსე ანდერსენის მშობლიური კუთხეა. ახლა, როცა დანიაში ჩავდივარ, კოპენჰაგენში ვცხოვრობ, მაგრამ ბავშვობა ყოველთვის მახსენდება - ვკითხულობდი ანდერსენის ზღაპრებს და ყოველთვის პრინცესად წარმომედგინა თავი. ეს სულ სხვა სამყარო იყო.

**ბავშვობაში ყველაფერში ჩემს ძმას ვბაძავდი.** მის ყველა მოქმედებას ვიმეორებდი. ის ფეხბურთს თამაშობდა, მეც ვთამაშობდი... სამწუხაროდ იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, არ იყო გოგონების საფეხბურთო კლუბი, თორემ დღეს, ალბათ, ფეხბურთელი ვიქნებოდი. კორტზეც ძმას გავყევი. ის ჩოგბურთს თამაშობდა, მე კი მოედნის გარშემო დავდიოდი. თავიდან უბრალოდ ვაკვირდებოდი, ვცდილობდი ჩოგნის ხელში სწორად დაჭერას, ყველაფერს ხელით ვეხებოდი... შემდეგ ბურთის კედელზე დარტყმა ვისწავლე. აქ მთავარი ისაა, რომ არავინ მაიძულებდა ჩოგბურთში მეცადინეობას. უბრალოდ, მე მინდოდა იგივეს გაკეთება, რასაც ჩემი უფროსი ძმა აკეთებდა. თავიდან არავინ მეთამაშებოდა, იმიტომ, რომ პატარა ვიყავი და ჩოგანს ცუდად ვიქნევდი. როცა ჩემი ძმა თავის მეგობრებთან თამაშობდა, მე მსაჯის როლში ვიყავი. მაგრამ მინდოდა ყველა დარწმუნებულიყო, რომ მეც შემეძლო თამაში და მოგება. ამიტომაც ვაგრძელებდი ვარჯიშს. როცა პირველად საკუთარ მშობლებს მოვუგე, უბედნიერესი ვიყავი. შემდეგ ძმაც დავამარცხე და ასე დაიწყო ყველაფერი.

**არასოდეს მიგრძვნია ზეწოლა ოჯახის წევრების მხრიდან.** არ მჭირდებოდა ფულზე ფიქრი, ყველაფერი მქონდა იმისთვის, რომ მეთამაშა და ჩოგბურთისგან სიამოვნება მიმეღო.

**მამა მწვრთნელიცაა და ჩემს წარმატებებში მისი დიდი წვლილია.** დედაჩემიც ყოფილი სპორტსმენია - პროფესიულ დონეზე თამაშობდა ფრენბურთს. საჭიროების შემთხვევაში, დედა ყოველთვის ჩემს გვერდითაა. მაგალითად, მან ჩემთვის გემრიელი კერძების დამზადება ისწავლა. როცა შინ ვბრუნდები, მხოლოდ ჭამით ვარ დაკავებული. გარდა ამისა, როგორც ყოფილი სპორტსმენი, ფიტნესში მავარჯიშებს. დედა, მამა და ძმა - ისინი შესანიშნავ ტრიოს ქმნიან, რომელიც დიდ სამსახურს მიწევს.

**მიყვარს ცხოვრება.** მომწონს მოგზაურობა, ახალი ადამიანების გაცნობა. რა თქმა უნდა, ჩოგბურთი ურთულესი სამუშაოცაა, მაგრამ ამად ღირს. დილის ცხრიდან 11 საათამდე კორტზე ვარჯიში მაქვს, შემდეგ შინ ვბრუნდები, ვსაუზმობ და ვისვენებ. ორიდან ოთხამდე ისევ კორტზე ვარ, ამას ფიტნესი მოჰყვება და ასე ყოველდღე.

**დისკვალიფიკაცია იუნიორებს შორის ამერიკის ღია პირველობაზე - ყველაზე უარესი მოგონებაა ჩემს ცხოვრებაში.** მაშინ შემეძლო გავმხდარიყავი პირველი ჩოგანი იუნიორთა შორის. პირველი წრის მატჩის მსვლელობისას მომეჩვენა, რომ ხაზის მსაჯები მუდმივად ჩემ საწინააღმდეგოდ ცდებოდნენ. და მე მთავარ არბიტრს ვუთხარი, რომ მას სათვალე სჭირდებოდა. ამას მოჰყვა დისკვალიფიკაცია. ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ამას ვერ გავექცევით. რადგან ასე მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ აქედან გაკვეთილი უნდა მიმეღო. მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი და ეს გაუმართლებელი საქციელი იყო, არადა, თავიდან მეგონა, რომ უსამართლობასთან მქონდა საქმე. მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში ყველაფერ ცუდს მეორე მხარეც გააჩნია. თუ უსიამოვნებებისგან შეიძლება რაიმე გაკვეთილის მიღება, მაშინ ამ ყველაფერს აქვს აზრი.

**იუნიორთა წლებიდან ყველაზე კარგი მოგონებაა - 2006 წლის უიმბლდონზე გამარჯვება.** კარგად მახსოვს, რომ ჩემს ყოველ მატჩზე გულშემატკივართა დიდი ჯგუფი მოდიოდა. მათ დანიის დროშის ფერებში გაწყობილი მაისურები ეცვათ, რომლებზეც წინ „კაროლინი“ ეწერა, უკან - „ვოზნიაცკი“. სასიამოვნო მომენტი იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მას შემდეგ ყოველთვის ვამბობ, რომ უიმბლდონი - ჩემი საყვარელი ტურნირია, ხოლო ბალახი და ჰარდი - ჩემი საყვარელი საფარი. სამწუხაროა, რომ დღეს ცოტა ტურნირი იმართება ბალახის კორტებზე.

**ვაპირებ სწავლის გაგრძელებას.** უნივერსიტეტში უნდა ვისწავლო. ალბათ, ბიზნესის მიმართულებით ვიმუშავებ. იმის გამო, რომ ძმასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, მინდა მასთან ერთად რაიმე ერთობლივი ბიზნეს-პროექტი წამოვიწყო.

**ხშირად ვმღერი** ჩემს PlayStation-ზე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კარგად გამომდის.

**შესაფერისი ბიჭის მოსაძებნად დრო არის საჭირო.** ხდება ისე, რომ ვილაცას გაიცნობ, თითქოს თავიდან კარგი ურთიერთობა გაქვს, მაგრამ შემდეგ ხვდები, რომ ეს ის ადამიანი არ არის. არც ისე იოლია საჭირო მამაკაცის პოვნა...

**ხანდახან რთულია პოპულარობა.** ყოველთვის გიწევს საკუთარი საქციელისთვის თვალყურის დევნება, არაფერი არ უნდა გამოგეპაროს, რადგან ადამიანები მუდმივად გაქცევენ ყურადღებას. მაგრამ მაინც, პოპულარობა შესანიშნავი რამაა.

**მიყვარს გულღია, მხიარული და ჭკვიანი ადამიანები.** არ მიყვარს მატყუარები.

**დედამიწაზე ბევრი შესანიშნავი ადგილია.** ძალიან მომწონს ავსტრალია, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ქვეყანა შორს არის. მომწონს რამდენიმე ადგილი ამერიკაში, რომელიც საერთოდ არ ჰგავს ევროპას. დიდი ქალაქები მხიბლავს. და რა თქმა უნდა, კოპენჰაგენი.

**საყვარელი თვე - დეკემბერი.** სწორედ ამ დროს მაქვს არდადეგები, რომელსაც ყოველთვის შინ, ოჯახთან ერთად ვატარებ. ჩვენ ერთად ვზეიმობთ შობას.

**ვერ მივეჩვიე სიმდიდრესა და დიდებას.** საკმაოდ მოკრძალებული ადამიანი ვარ და ამიტომაც მიმიჩნევს ხალხი „თავისიანად“. მიყვარს ჩემი სამშობლო და არ მინდა დავივიწყო ჩემი ფესვები.

**შემიძლია ნებისმიერი მეტოქე დავამარცხო.** მოვუმატე როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მომწონს, როცა მეტოქეებს წინასწარ ეშინიათ ჩემი. ვგრძნობ, რომ ძლიერი და საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ.

**მომდევნო მატჩზე შორს არ ვიყურები** და ყოველ შეხვედრაში ასი პროცენტით ვიხარჯები.

**კრივი - ეს არის ფიზიკური მომზადების კიდევ ერთი სახეობა.** კრივსა და ჩოგბურთს ბევრი რამ აქვს საერთო: მაგალითად, სწრაფი ხელები და ფეხები. თავიდან მრავალფეროვნებისთვის ვცადე ბედი, ახლა კი მომწონს რინგზე ვარჯიშები.

**ცხოვრებაში არაფრის მეშინია.** ჩემი აზრით, მოსახდენი აუცილებლად მოხდება - ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. მხოლოდ სიმაღლის მეშინია, ოღონდ მაშინ, როცა ღია სივრცეში ვიმყოფები.

**პროფესიულ ტურში რთულია მეგობრების შეძენა.** ჩოგბურთში დიდი კონკურენციაა. ბევრს ვმოგზაურობთ, ბევრს ვვარჯიშობთ და დრო მხოლოდ სასტუმროში დასვენებისთვის გვრჩება. მაგრამ მე გამიმართლა, რადგან გოგონებს შორის შესანიშნავი მეგობრები მყავს.

**დიეტას არ ვიცავ,** მაგრამ, რა თქმა უნდა, ვცდილობ ჯანმრთელი საკვების მიღებას, რათა თამაშისა და ვარჯიშებისთვის ენერგია მეყოს. ვარჯიშების გარდა, მასაჟს მიკეთებენ - ეს ძალების აღდგენას ეხმარება. ბოლო დროს იმდენს ვმუშაობ, რომ დასვენებისას ვარჯიშების თავი აღარ მაქვს.

**სტელა მაკარტნის ტანსაცმელი ძალიან ქალურია,** ამასთან, კორტზე მეტად პრაქტიკული. როცა მოედანზე ლამაზად გამოიყურები, თამაშიც უკეთ გამოგდის. მე ერთადერთი ვარ, ვინც ამ ტანსაცმელს ატარებს და ეს დამატებით ყურადღებას წარმოშობს.

**მოდისადმი მიდრეკილება, რაშიც ბევრ ქალ ჩოგბურთელს ადანაშაულებენ, პრობლემა არ არის.** ყველა გოგონას უნდა კარგად გამოიყურებოდეს როგორც კორტზე, ასევე მის მიღმა. ეს, უბრალოდ, თამაშის ნაწილია.

**ჩემთვის მისაბაძი მაგალითები არიან მარტინა ჰინგისი და შტეფი გრაფი.** კიდევ ჩემს მშობლებზე მაქვს სწორება, რომლებიც ასევე შესანიშნავი სპორტსმენები იყვნენ.

**მინდა რაიმე მნიშვნელოვანის მოგება.** და მზად ვარ ამისთვის მსხვერპლი გავიღო, მაგალითად, უარი ვთქვა თავისუფალ დროზეა. მაგრამ ამას არ შეიძლება მსხვერპლი ეწოდოს, ეს უფრო არჩევანის პრობლემაა. თუ გინდა რაიმეს მიღწევა, უნდა იმუშაო და საკუთარი დრო ამაში დახარჯო. მაგრამ მე კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით.



კაროლინ ვოზნიაცკი



ივანოვიჩმა მეტოქეზე ინერვიულა

# ანამ შანსი დაკარგა

გუშინ, პეკინის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. კაროლინ ვოზნიაცკიმ პირველი ჩოგანის რანგში პირველი მატჩი სერბი **ანა ივანოვიჩის** წინააღმდეგ ჩაატარა. დანიელს მცირე სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მაინც რთული ბრძოლის გადატანამ მოუწია. პირველ სეტში მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს, რის შემდეგაც მე-12 გეიმში მიღებაზე ვოზნიაცკიმ სამი სეტბოლი გაანიავა. დაინიშნა ტაი-ბრეიკი, რომელიც სერბმა აშკარად ჩააგდო და მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

მეორე პარტია ვოზნიაცკის ბრეიკით დაიწყო. 3:1-ზე მან ცუდად დადგა ფეხი კორტზე და კარგა ხანი იწვა მოედანზე. ბოლოს მუხლი შეუხვიეს და დანიელმა თამაში გააგრძელა, თუმცა ისე ჩანდა, რომ ნაადრევად შეწყვეტდა თამაშს. კაროლინმა გაძლო. ერთადერთი რაც შეიცვალა ის იყო, რომ უფრო ნელა გადაადგილდებოდა კორტზე, თუმცა ამას შედეგზე არ უმოქმედია. თავის მხრივ, ივანოვიჩი აგრესიულად თამაშს ცდილობდა, მაგრამ ამან შეცდომების რაოდენობა გაზარდა. საბოლოოდ, კაროლინმა მეორე ბრეიკი მიითვალა და აქ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ამ მოგებით ვოზნიაცკიმ **სერენა უილიამსს** 275 ქულით გაუსწრო რეიტინგში. ფინალში გასვლა კიდევ 250 ქულას მოუტანს, გამარჯვება - 550-ს. ასე რომ, პეკინში ტიტულით კაროლინი ფაქტობრივად გაინაღდებს ახალი სეზონის დაწყებამდე კლასიფიკაციაში პირველობას.

ასევე ნახევარფინალში გავიდა ჩინელი **ნა ლი.** მას თითქოს იოლი მეტოქე ჰყავდა ლატვიელი **ანასტასია სევასტოვას** სახით, მაგრამ პირველ პარტიაში ბალტიისპირელს კარგი შანსი ჰქონდა - რამდენჯერმე ბრეიკით იგებდა და სეტზე აწოდებდა, მაგრამ ყოველთვის კარგავდა უპირატესობას. სევასტოვა ტაი-ბრეიკზეც წინ იყო და იქაც არ გაუმართლა. საბოლოოდ, ჩინელმა მორიგ საჩუქარზე უარი არ თქვა და 7:6(8:6) მოიგო. განბილებულმა ლატვიელმა მეორე სეტში თავიდანვე წინ გაუშვა მეტოქე და 2:5-დან დაიწყო რეალური ბრძოლა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

ამ მოგებით ნა ლიმ ჩემპიონთა რბოლაში გაუსწრო **ვიქტორია აზარენკას** და მე-10 ადგილზე გადავიდა. იმის გათვალისწინებით, რომ **ვენუს უილიამსმა** სეზონი დაასრულა, ჩინელმა წლის შემაჯამებელ ტურნირში პირველი სათადარიგო მოთამაშის სტატუსი მოიპოვა.

ბოლო მეოთხედფინალისტი გახდა **შაარ პეერი,** რომელმაც მეოთხედფინალში მოულოდნელად გასული შვეიცარიელი **ტიმეა ბაშჩინსკი** დაამარცხა. აქაც პირველ სეტში ტაიბრეიკი უფრო გამოცდილმა პეერმა მოიგო, მეორეში კი ისრაელელი დამაჯერებლად დაწინაურდა (4:1) და ბაშჩინსკის სეტის მეორე ნახევარში გაბრძოლებამ ველარ უშველა. ნა ლის მსგავსად, პეერიც აგრძელებს დოჰაში გასამგზავრებელი საგზურისთვის ბრძოლას.

**WTA**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 7:6(1), 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 15)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 7:6(4), 6:4; **ნა ლი (ჩინ, 9)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 7:6(6), 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5) 6:2, 6:0.

**1/2 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-პეერი (15); ნა ლი (9)-ზვონარევა (2).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**